გულის ქირურგია	5,700,000	1,200,000	1,500,000	1,500,000	1,500,000
სახსრების ენდოპროთეზირება	950,000	200,000	250,000	250,000	250,000
ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა	2,250,000	450,000	600,000	600,000	600,000

სულ პროგრამა	14,085,000	3,165,000	3,640,000	3,640,000	3,640,000
--------------	------------	-----------	-----------	-----------	-----------

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

დაცული იქნა ბენეფიციარები მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. შეუნარჩუნდათ ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით 2014 წელს დაფინანსდა 2895-ზე მეტი ბენეფიციარი.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის გაუმჯობესება.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	2543	3500	4500	5500	ბენეფიციართა რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070201

ქვეპროგრამის დასახელება:

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,315,000
სულ ბიუჯეტი:	1,315,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ოჯახის მცირე შემოსავლების გამო არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები დაფაროს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლებიც არ იფარება სახელმწიფოს მიერ და მას ამის აუცილებლობა დაუდგა. ხშირ შემთხვევაში სამედიცინო დახმარების მიღება მათთვის ფინანსურად ხელმიუწვდომელი რჩება, რის შედეგად იზრდება გართულებულ შემთხვევათა რაოდენობა, შრომისუუნარობისა და სიკვდილიანობის რისკი. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშგაქტურის საფუძველზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. მოსარგებლეთა შერჩევის წესი: ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ: პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეები, დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეები; პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები; უსახლკაროთა თავშესაფარის კონტინგენტი; უსახლკაროები; მარტოხელა დედები და პაციენტები, რომლებიც ამ დროისთვის არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არა აქვთ მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მაგრამ მათი მატერიალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას დააფინანსოს აუცილებელი მკურნალობა, რაც დასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან წარმოდგენილი შუამდგომლობით. გადაწყვეტილებას ბენეფიციართა მკურნალობის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია (შემდეგ-კომისია), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს: - განცხადება; - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია; - ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი; - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად); - სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-გაქტურა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მკურნალობა დაფინანსდება ფაქტიური ხარჯით შემდეგი პროპორციებით: მკურნალობის ღირებულება _ 1000 ლარის ჩათვლით _ 100%-ით; მკურნალობის ღირებულება _ 1001 ლარიდან _ 2000 ლარის ჩათვლით _ 90%-ით; მკურნალობის ღირებულება _ 2001 ლარიდან _ 3000 ლარის ჩათვლით _ 80%-ით; მკურნალობის ღირებულება _ 3001 ლარი და მეტი _ 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 7000 ლარისა. პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დაფინანსდება სრულად არაუმეტეს 10 000 ლარისა; ონკოლოგიურ პაციენტთა ტარგენტული, იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებისა და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება სამკურნალო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით არაუმეტეს 5000 ლარისა, წლიური ლიმიტი კი შეადგენს 10 000 ლარს. აჭარის რეგიონში არსებული უმწეოთა თავშესაფარის კონტეინტის და უსახლკაროების მკურნალობა დაფინანსდება სრული მოცულობით თანაგადახდის გარეშე ზღვრული ტარიფით არაუმეტეს 3000 ლარისა. იმ შემთხვევებში, როცა გარკვეული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის დაფინანსება გათვალისწინებულია „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამით“, მაგრამ პაციენტი არ წარმოადგენს მის ბენეფიციარს, მაშინ პაციენტის გამოკვლევები „მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის 70 % - ით, მაგრამ არაუმეტეს „ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ტარიფების 80 %-ისა. ქვეპროგრამით პირველი რიგის პრიორიტეტი ენიჭება სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების დროს დაზიანებულებს, 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, მოქალაქეებს, რომელთა ოჯახებს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა. ქვეპროგრამის მაღალი რესურსტევადობის გამო გეგმიური მკურნალობის დაფინანსებისას გამოყენებული იქნება რეგითობისა და მოცდის პრინციპი. ქვეპროგრამის ფარგლებში (შესაბამისი პროპორციების დაცვით) დაფინანსდება სამედიცინო რეაბილიტაციის (პაციენტის ფუნქციონალური, ფსიქოლოგიური შესაძლებლობებისა და კომპენსატორული მექანიზმების განვითარება) ხარჯები. მკურნალობის დაფინანსების შესახებ პაციენტის წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მომართოს პაციენტის მკურნალობის დაწყებამდე ან მკურნალობის პროცესში (სტაციონარიდან გაწერამდე). კომისია გადაწყვეტილებას პაციენტის დაფინანსების შესახებ ღებულობს მომართვიდან პირველ სხდომაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი, მისი ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნით გადაჰყავთ ქვეპროგრამაში მონაწილე სხვა სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ სამედიცინო ვაუჩერით დაიფარება მკურნალობის ხარჯები მათ მიერ არჩეულ ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში, მეორე სტაციონარში მკურნალობის ხარჯებს სრული მოცულობით ფარავს ბენეფიციარი. დაუშვებელია ქვეპროგრამის მოსარგებლის მკურნალობის ერთსა და იმავე ეპიზოდზე ერთი და იგივე ნოზოლოგიური კოდის სხვადასხვა კლინიკაში დაფინანსება ან მკურნალობის გახანგრძლივების შემთხვევაში განმეორებით დაფინანსება. სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი (სამედიცინო მომსახურება, რომელიც საჭიროებს პაციენტის სტაციონარში 24 (ოცდაოთხი) საათზე მეტი დროით მოთავსებას და რომელიც არ წარმოადგენს დღის სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებას) პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში დაფინანსების საკითხის განხილვის მიზნით პაციენტის წარმომადგენელმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა მომართოს გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლები ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით (არსებული პროპორციების დაცვით) ისარგებლებენ შესაბამისი ლიმიტის ამოწურვის შემდეგ. ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარების მკურნალობის წლიური ლიმიტი შეადგენს 5 000 ლარს. ხოლო პაციენტები სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფების შედეგად გამოწვეული დაზიანებებით დაფინანსდება სრულად (თანაგადახდის გარეშე) არაუმეტეს 10 000 ლარისა; შენიშვნა: სამინისტროს 2015 წლის „სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება“ პროგრამის სხვა ქვეპროგრამებში ფინანსური დეფიციტის წარმოშობის შემთხვევაში ფინანსური პრობლემის დაძლევაზე მისაწოდებელი სერვისები შესაძლებელია დაფინანსდეს მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამით, დასაფინანსებელი ქვეპროგრამის დაფინანსების წესით განსაზღვრული პირობებით და მოცულობით. ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება ა) სამედიცინო ჩვენებისა და ექიმის დანიშნულების გარეშე მკურნალობა, თვითმკურნალობა; ამბულატორიული მკურნალობისათვის მედიკამენტების ხარჯები (გარდა ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის ტარგენტულ მკურნალობასთან დაკავშირებით საჭირო მედიკამენტებისა და ბისფოსფონატების ჯგუფის მედიკამენტებისა); ბ) საზღვარგარეთ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; გ) სანატორიულ-კურორტული მკურნალობა; დ) ესთეტიკური ქირურგია, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობა; ე) სექსუალური დარღვევების, უშვილობის მკურნალობის ხარჯები; ვ) აივ-ინფექციის/შიდსის, ქრონიკული ჰეპატიტის სპეციფიკურ ანტივირუსულ მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; ზ) თუ სამედიცინო მომსახურების საჭიროება დადგა თვითდაზავების, კრიმინალურ აქტებში მონაწილეობის ან ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებული ნარკოტიკული და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად, ასევე ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქვევითი აშლილობების მკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები. თ) ორგანოთა ტრანსპლანტაციის ხარჯები; ი) უკვე ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ); კ) სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.			
დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	855	1538	1,315,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,315,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	X	X	X	X
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციარების სიცოცხლისა შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	1,538	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	855	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070202

ქვეპროგრამის დასახელება:

გულის ქირურგია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,200,000
სულ ბიუჯეტი:	1,200,000

ქვეპროგრამის მიზანი:

18-წლის ასაკიდან მოსახლეობის (რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით) კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება

ქვეპროგრამის აღწერა:

გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკებით, გულის იშემიური დავადებით, გულის სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დროულად მიწოდებული კარდიოქირურგიული დახმარება მნიშვნელოვნად ამცირებს სიკვდილობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის რისკს, რაც დღის წესრიგში აყენებს მოზრდილი მოსახლეობისათვის კარდიოქირურგიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

– მოქალაქის განცხადება;

– ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა NIV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);

მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა;

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;

– ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზიდან“ - სარეიტინგო ქულის შესახებ.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე და არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული გულის ქირურგიის სამედიცინო მომსახურებით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაფინანსდება მიმწოდებლის მიერ გაცემული ანგარიშფაქტურის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ტარიფისა, შემდეგი პროპორციებით:

1) 100 000- ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს დაუფინანსდებათ ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფის - 90 %;

2) ყველა სხვა კატეგორიის პაციენტს, დაუფინანსდებათ ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფის - 80 %,.

3) ვეტერანებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად ქვეპროგრამით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, როცა სამედიცინო მომსახურების ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ტარიფზე ზემოაღნიშნული პროპორციებით განსაზღვრული მაჩვენებლები გაითვლება წარმოდგენილი ღირებულებიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მიმწოდებლის ტარიფი აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღირებულებას, მაგრამ პაციენტი მოითხოვს სამედიცინო მომსახურების ჩატარებას ამ მიმწოდებელთან, მაშინ მომსახურება დაფინანსდება ქვეპროგრამის ტარიფით დადგენილი დაფინანსების პროპორციებით. განსხვავებას ღირებულებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის ფარავს პაციენტი.

პაციენტისთვის ორი კოდის მინიჭების შემთხვევაში ძვირადღირებული კოდი დაფინანსდება ქვეპროგრამით განსაზღვრული პროპორციების მიხედვით, ხოლო მეორე კოდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსდება ქვეპროგრამით აღებული ვალდებულების 50%-ით.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება არ ვრცელდება:

სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებულ სამედიცინო პროგრამის მოსარგებლეებზე.

ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევის მოსარგებლეების მკურნალობა პირველ რიგში დაფინანსდება სადაზღვევო ლიმიტის ზღვრული ტარიფით, დარჩენილი თანხის დაფარვაზე გაერცელდება ქვეპროგრამა შესაბამისი პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა, ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ) და მოქმედი სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დანართი 1			1,200,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,200,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო დაწესებულებებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
გულის დაავადებების კარდიოქირურგიული მკურნალობა	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა.	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	5,555	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	216	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

N	საქმიანობის აღწერა	ერთეულის დასახელება	სულ პაციენტთა რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)	თანაგადახდა 1) 100 000 - ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები - 10 % 2) ყველა სხვა კატეგორიის პაციენტისათვის - 20 %		ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი
2015 წელი								
						1	2	
1	გულის თანდაყოლილი მანკები		16					187,848
ა)	ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევით	პაციენტი	6	17,456	104,736	5,237	10,474	89,026
ბ)	ოპერაცია სისხლის ხელოვნური მიმოქცევის გარეშე	პაციენტი	10	11,491	114,910	6,895	9,193	98,823
2	ენდოვასკულური ოპერაციები		19					66,830
ა)	ამპლაცერი/პეისმეიკერი	პაციენტი	8	5,570	44,560	2,228	4,456	37,876
ბ)	ვალვულოპლასტიკა/რაშკინდი	პაციენტი	11	3,016	33,176	2,413	1,810	28,954
3	გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიები:		29					271,984
ა)	იშემიური დაავადებების, გულის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობა		29	10,793	312,997	21,586	19,427	271,984
ბ)	შეძენილი მანკები		22					307,895
ბ.ა)	ერთი სარქველის / აღმავალი აორტის / აორტის რკალის პროთეზირება / პლასტიკა		6	13,776	82,656	4,133	8,266	70,258
ბ.ბ)	ბიოლოგიური სარქველი	პაციენტი	10	17,568	175,680	8,784	17,568	149,328
ბ.გ)	ბენტალი / მწვავე მანკი / ინფარქტის შემდგომი გართულებები: სარქველვანი პათოლოგია, პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტი, მარცხენა პარკუჭის ანევრიზმა	პაციენტი	3	17,808	53,424	3,562	3,562	46,301
ბ.დ)	ორი სარქველის / სარქველის და აღმავალი აორტის პროთეზირება	პაციენტი	3	16,157	48,471	3,231	3,231	42,008
4	კორონარული ანგიოპლასტიკა		121					228,263
ა)	კორონარული ანგიოპლასტიკა ერთი სტენტით	პაციენტი	41	2,148	88,068	4,511	8,592	74,918
ბ)	კორონარული ანგიოპლასტიკა ორი ან მეტი სტენტით	პაციენტი	29	2,440	70,760	3,172	7,808	59,780
გ)	კორონარული ანგიოპლასტიკა 3 და მეტი სტენტით	პაციენტი	19	2,640	50,160	2,904	4,224	43,032
დ)	ბალონური ანგიოპლასტიკა	პაციენტი	32	1,851	59,232	3,147	5,553	50,532
5	მუდმივი კარდიოვერტერდეფიბრილატორი		9					137,181
ა)	ერთკამერიანი	პაციენტი	3	15,336	46,008	3,067	3,067	39,874
ბ)	ორკამერიანი	პაციენტი	3	17,313	51,939	3,463	3,463	45,014
ბ)	სამკამერიანი (რესინქრონიზატორი)	პაციენტი	3	20,113	60,339	4,023	4,023	52,294
სულ ჯამი			216					1,200,000

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070203

ქვეპროგრამის დასახელება:

სახსრების ენდოპროთეზირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	200,000
სულ ბიუჯეტი:	200,000

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად მოიმატა სახსრების ართროზით დაავადებულ მოქალაქეთა მომართვიანობამ. პაციენტები საჭიროებენ რესურსტევად ოპერაციულ ჩარევას ენდოპროთეზირების სახით. მიმდინარე სოციალური პირობების გამო, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ გააჩნია საკმარისი ფინანსური სახსრები, რომ უზრუნველყოს აღნიშნული პათოლოგიის ქირურგიული სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რის გამოც იზრდება დაავადებათა გართულებების რაოდენობა, დროებითი და მყარი შრომისუუნარობის შემთხვევები. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით.

ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვაუჩერით დასაფინანსებელი თანხა განისაზღვრება წარმოდგენილი ანგარიშგაქტურის საფუძველზე, ქვეპროგრამით გათვალისწინებული პროპორციების დაცვით. ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქვეპროგრამის მოსარგებლის მკურნალობის დაფინანსების ზღვრული თანხა შეადგენს 4000 ლარს.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში მკურნალობა დაფინანსდება: 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტებისათვის ფაქტიური ხარჯის 90 %-ით, სხვა ბენეფიციარებისათვის (რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში მონაწილეები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები) ფაქტიური ხარჯის 80%-ით, სხვა დანარჩენი მოქალაქეებისათვის 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 4000 ლარისა. მკურნალობის ღირებულების დარჩენილი ნაწილი დაიფარება პაციენტის მიერ.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის მოსარგებლები, ასევე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ქირურგიულ მკურნალობას.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება უკვე ჩატარებული მკურნალობა (პაციენტის სტაციონარიდან გაწერის შემდეგ), საზღვარგარეთ მკურნალობა და ასევე არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- განცხადება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
- ქვეპროგრამის ბენეფიციარის დამადასტურებელი საბუთი;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა (პაციენტის დიაგნოზი, ჩარევები და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);
- სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-გაქტურა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	70	2857.143	200,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			200,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება	x	x	x	x
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა	x	x	x	x
დაფინანსება	x	x	x	x

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება სახსრების ენდოპროთეზირებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება; მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	70	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	2857	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070204

ქვეპროგრამის დასახელება:

ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2014 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	450,000
სულ ბიუჯეტი:	450,000

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპიუტერულ ტომოგრაფიული, მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიული, კორონაროგრაფია/ვენტრიკულოგრაფიული, ანგიოგრაფიული და სხვა კვლევები. მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური გამოკვლევები ძვირადღირებულ სამედიცინო მომსახურებას მიეკუთვნება და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მიუწვდომელი რჩება, მაშინ როდესაც მთელი რიგი დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის (შემდეგ-ვაუჩერი) საშუალებით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, ქვეპროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ქვეპროგრამით განხორციელებული მომსახურება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსდება მიმწოდებლის მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამაში გათვალისწინებული ღირებულებისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულების (პროპორციების) მოცულობით:

1) 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები, 200 000 - ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები - 100 %-ით.

2) 70 001- დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები -90 %-ით.

3) 100 001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პაციენტები - 80%-ით.

იმ შემთხვევაში, როცა გამოკვლევების ღირებულება ნაკლებია ქვეპროგრამით გათვალისწინებულ თანხაზე, ზემოაღნიშნული პროპორციებით განსაზღვრული მაჩვენებლები გაითვლება წარმოდგენილი ღირებულებიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მიმწოდებლის ტარიფი აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღირებულებას, მაგრამ პაციენტი მოითხოვს გამოკვლევების ჩატარებას ამ მიმწოდებელთან გამოკვლევები დაფინანსდება ქვეპროგრამის ტარიფით დადგენილი დაფინანსების პროპორციებით. განსხვავებას ღირებულებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასაფინანსებელ თანხას შორის ფარავს პაციენტი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია საჭიროებისას (ექიმის დანიშნულებით) პაციენტისათვის ორი ან მეტი გამოკვლევების დაფინანსება.

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ:

- საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ვაუჩერის გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

- ქვეპროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“

რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებს.

- ქვეპროგრამით გათვალისწინებული სერვისებით ვერ ისარგებლებენ სახელწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული სამედიცინო პროგრამის მოსარგებლები, აგრეთვე ინდივიდუალური და კორპორაციული დაზღვევით მოსარგებლები, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სადიაგნოსტიკო კვლევას.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

— მოქალაქის განცხადება;

— ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა IV-N100/ ა(პაციენტის დიაგნოზი და გამოკვლევები მითითებული უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილი კლასიფიკატორების შესაბამისად);

— სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა.

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია.

— ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზიდან“ 200 000- ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის შესახებ.

ქვეპროგრამის მოცულობით არ დაფინანსდება საზღვარგარეთ ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევა და ასევე, უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურება. ასევე არ დაფინანსდება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული თანაგადახდა მოსარგებლის მხრიდან.				
№	დასახელება	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
1	კომპიუტერული ტომოგრაფია	367		76,262
1.1	გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია	26	182	4,732
1.2	გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	35	260	9,100
1.3	მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	15	200	3,000
1.4	მუცლის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	25	260	6,500
1.5	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია	25	162	4,050
1.6	თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	30	240	7,200
1.7	სინუსების-პარანაზალური წიაღების, ყურისა და დრეილისებრი მორგების კომპიუტერული ტომოგრაფია	35	138	4,830
1.8	კიდურების მგლოვანი კომპიუტერული ტომოგრაფია რბილქსოვილოვანი წარმონაქმნების დროს.	34	150	5,100
1.9	ხერხემლის 1 სეგმენტის კომპიუტერული ტომოგრაფია	30	170	5,100
1.10	მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია	20	195	3,900
1.11	მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტირებით	30	255	7,650
1.12	სხვა ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფია	32	200	6,400
1.13	სხვა ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფია (კონტრასტირებით)	30	290	8,700
2	ანგიოგრაფიები:	289		110,290
2.1	თავის ტვინის ანგიოგრაფია კონტრასტით	42	375	15,750
2.2	კისრის სისხლძარღვების ანგიოგრაფია	36	375	13,500
2.3	გულმკერდის ანგიოგრაფია	31	375	11,625
2.4	მუცლის ღრუს ანგიოგრაფია	35	425	14,875
2.5	ქვემო კიდურების ანგიოგრაფია	32	425	13,600
2.6	სამარდე გუბის კტ	41	340	13,940
2.7	ღვიძლის ანგიოგრაფია	37	375	13,875
2.8	სხვა სისხლძარღვების ანგიოგრაფია	35	375	13,125
3	მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	671		217,498
3.1	თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	35	268	9,380
3.2	თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	30	406	12,180
3.3	თავის ტვინის სისხლძარღვების უკონტრასტო ანგიოგრაფია	34	320	10,880
3.4	ექსტრაკრანიალური სისხლძარღვების კისრის უკონტრასტო ანგიოგრაფია	31	200	6,200
3.5	გულმკერდის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	42	250	10,500
3.6	გულმკერდის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	40	400	16,000

3.7	მუცლის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	38	283	10,754
3.8	მუცლის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	35	433	15,155
3.9	ცხვირის დანამატების ღრუების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	33	210	6,930
3.10	კისრის მალეზის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	39	255	9,945
3.11	მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	33	257	8,481
3.12	მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	30	370	11,100
3.13	ხერხეშმლის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	34	556	18,904
3.14	წელის მალეზის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	35	255	8,925
3.15	წელის მალეზის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	30	392	11,760
3.16	კიდურების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	35	241	8,435
3.17	კიდურების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტირებით	35	391	13,685
3.18	სხვა ორგანოების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია	34	270	9,180
3.19	სხვა ორგანოების მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია (კონტრასტირებით)	48	398	19,104
4	ანესთეზია	25	103	2575
5	კორონაროგრაფია/ვენტრიკულოგრაფია	35	875	30,625
6	პერიფერიული სისხლძარღვების ინვაზიურ რენტგენო-კონტრასტული ანგიოგრაფია	15	850	12,750
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				450,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების გაფორმება	X	X	X	X
მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში დაავადებათა დაგვიანებული დიაგნოსტიკით გამოწვეული გართულების პრევენცია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში დაავადებათა დაგვიანებული დიაგნოსტიკით გამოწვეული გართულების პრევენცია მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.	ბენეფიციართა რაოდენობა (არაუმეტეს)	1,402	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს
	ბენეფიციარებისათვის ფინანსური რისკების შემცირება (ლარი)	320	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი საბიუჯეტო წლის დასასრულს

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0703

პროგრამის დასახელება:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4,453,600	1,253,400	1,053,400	1,053,400	1,093,400
სულ ბიუჯეტი:	4,453,600	1,253,400	1,053,400	1,053,400	1,093,400

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2015–2018 წლები

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესება და მობილურობის გაზრდა; სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

პროგრამის აღწერა:

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან მუნიციპალიტეტებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა. ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით.

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ექიმების დეფიციტისა და მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. საექიმო კადრების სოფლებში დამატების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი მატერიალური სტიმულირება ხელფასის დანამატის დანიშვნით.

სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესებისა და მობილურობის გაზრდის მიზნით განხორციელებს მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენას. ქვეპროგრამის დაფინანსება განხორციელდება გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად თანადაფინანსების პრინციპით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება	3,133,600	783,400	783,400	783,400	783,400
თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადაძხადება	40,000	-	-	-	40,000
სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება	1,080,000	270,000	270,000	270,000	270,000
სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა	200,000	200,000	-	-	-
სულ პროგრამა	4,453,600	1,253,400	1,053,400	1,053,400	1,093,400

აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებს გადაეცათ მაღალი გამავლობის ავტომანქანები. სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნა უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურებით.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით გადაეცემათ მაღალი გამავლობის ავტომანქანები. გაუმჯობესდება პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისები, სოფლის მოსახლეობას მიეწოდება მაღალხარისხიანი, უწყვეტი, ბაზისური (სოფლის ექიმისა და ექიმამდელი) სამედიცინო მომსახურება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესება. სოფლის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი, უწყვეტი, ბაზისური (სოფლის ექიმისა და ექიმამდელი) სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015წელი	2016წელი	2017წელი	2018წელი				
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესება. სოფლის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი, უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდება.	სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება მატერიალური სტიმულირების გზით	107	107	107	107	რაოდენობა	პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი
	სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარება	100%	100%	100%	100%	%	ქვეპროგრამაში მონაწილე დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიში	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი
	მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	10				რაოდენობა	მუნიციპალიტეტის გამგებობებიდან მოწოდებული ინფორმაცია	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა		
--------------------------------	--	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070301

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	783,400
სულ ბიუჯეტი:	783,400

ქვეპროგრამის მიზანი:

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამის ამოქმედებით აჭარის სოფლის მოსახლეობა ადგილზე უზრუნველყოფილი იქნება ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდება პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი და სადიაგნოსტიკო საშუალებები.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან მუნიციპალიტეტებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა. დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. თემის სამედიცინო პუნქტების (შემდეგ-თსპ) მედდებთან ხელშეკრულების გაფორმებას, თსპ-ისათვის მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ქვეპროგრამაში მედდების ჩართვა განხორციელდება მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მედდების ხელფასები	230	250.0	690,000
გლუკომეტრის აპარატები	100	40.0	4,000
მედიკამენტები სამედიცინო პუნქტებისთვის	186	37.337	83,336
სადიაგნოსტიკო საშუალებების (გლუკომეტრის ტესტ-ჩხირები) რეაბილიტირებული სამედიცინო პუნქტებისათვის	186	32.6	6,064
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			783,400

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მომსახურების მიმწოდებელთან ხელშეკრულებების (კონტრაქტების) გაფორმება	X	X	X	X
მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების მომწოდებლის შერჩევა	X	X	X	X
სამედიცინო მომსახურება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმადელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით უზრუნველყოფა.	სოფლის მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი	100%	თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები	ყოველთვიურად	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ყოველი თვის დასასრულს

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა		
--------------------------------	--	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070303

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	270,000
სულ ბიუჯეტი:	270,000

ქვეპროგრამის მიზანი:

საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურებისათვის სოფლის ექიმების მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშნით, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში, განსაკუთრებით მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებული ექიმების დეფიციტისა და მაღალი დენადობის გამო სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სრულად არ მიეწოდება პირველადი ჯანდაცვით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურება. საექიმო კადრების სოფლებში დამაგრების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი მატერიალური სტიმულირება ხელფასის დანამატის დანიშნით.

ქვეპროგრამის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის ექიმები. დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ქვეპროგრამაში სამედიცინო პერსონალის ჩართვა განხორციელდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და მუნიციპალიტეტების გამგებლების მომართვის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმების ხელფასის დანამატი	43	300.0	154,800
ქობულეთისა და ხელვაჩაურის სოფლის ექიმების ხელფასის დანამატი	64	150	115,200
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			270,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ხელფასის დანამატი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი ბაზისური, ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება.	სოფლის ექიმების ადგილზე დამაგრება	მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის რაოდენობა – 43 ქობულეთის და ხელვაჩაურის სოფლის ექიმები– 64	მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია დასაქმებული სოფლის ექიმებისა და მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ	ყოველთვიურად	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაციისა და სოფლის ექიმების მიერ ჩატარებული მუშაობის ყოველთვიური ანალიზი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა		
--------------------------------	--	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

070304

ქვეპროგრამის დასახელება:

სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	200,000
სულ ბიუჯეტი:	200,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გაეროს მოსახლეობის განვითარების ფონდთან ერთად ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესებისა და მობილურობის გაზრდის მიზნით განახორციელებს მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენას. ქვეპროგრამის დაფინანსება განხორციელდება გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად თანადაფინანსების პრინციპით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	10	20,000.00	200,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			200,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაიზრდება ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობა. მოსახლეობას დროულად მიეწოდება სამედიცინო მომსახურება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული (რაოდენობა)	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის მაღალი გამავლობის ავტომატური შეძენა	პირველადი ჯანდაცვის ცენტრების უზრუნველყოფა ავტომატური	10	მუნიციპალიტეტის გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შესრულებული სამუშაოს ანალიზი წლის ბოლოს

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა		
--------------------------------	--	--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0704

პროგრამის დასახელება:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 080301

ქვეპროგრამის დასახელება:

მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	196,900
სულ ბიუჯეტი:	196,900

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული დეგრადირებული ბაღების განახლება, შიდა მოხმარებასა და ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა, დაბალმოსავლიანი ბაღების უფრო პერსპექტიული ალტერნატიული კულტურებით ჩანაცვლება და შესაბამისად ფერმერთა და აგრომეწარმეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის რეგიონი თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურებებით შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა სახეობის ხეხილოვანი კულტურებიდან წარმოებული იქნას მაღალხარისხიანი პროდუქცია, როგორც ადგილობრივი მოხმარებისათვის, ასევე ექსპორტზე რეალიზაციისათვის. აქედან გამომდინარე, მოსახლეობაში თანდათანობით იზრდება მოთხოვნილება მრავალწლიანი კულტურების გაშენებაზე. ამ მიმართულებით ბოლო წლებში განხორციელებულმა მიზნობრივმა პროგრამებმა ცხადყო, რომ პერსპექტიული და ბაზარზე ორიენტირებული მაღალმოსავლიანი კულტურების ნერგების მიწოდებით, მოსახლეობაში გაჩნდა ინტერესი ახალი ბაღების ინტენსიური ტექნოლოგიებით გაშენების საქმეში. საბაზრო-სამრეწველო მიმართულებით პრიორიტეტული დარგების (სუბტროპიკული კულტურები, მევენახეობა და მეხილეობა) განვითარების საქმეში რეგიონში მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ფართობები (გარდა ციტრუსოვნებისა) გაფანტული ნარგავების ჩათვლით 4500 ჰა-მდეა, ნარგავობის 80 % დაბალმოსავლიანი (4-5 ტონა, ნაცვლად 12-15 ტონისა) და არარეგულარულ მსხმოიარეა (მკვეთრად გამოხატული მეწლეობა), რაც გამოიხატება ძლიერი მეჩხერიანობითა და ნარგავების ხანდაზმულობით. ერთეული ფართობების ოპტიმალური ათვისებით, ხეხილის მაღალმოსავლიანი ჯიშების გაშენებითა და თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით შესაძლებელია მოსავლიანობის მაქსიმალური ამაღლება და მეწლეურობის დაძლევა. აჭარის რეგიონის ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური და რელიეფური პირობების გათვალისწინებით მეხილეობის ზონებში და მიკროზონებში შესაძლებელია სამრეწველო ბაღების გაშენება ისეთი ხეხილოვნებით, როგორიცაა კაკალი, მოცვი, თხილი და სხვა კულტურები. აღნიშნული კულტურები ხასიათდება მაღალმოსავლიანობით, ეროზიისადმი მედეგობით, შიდა და გარე ბაზრებზე წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობით. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მოსახლეობაზე თანაგადახდის პრინციპით მიწოდებული იქნას კაკლის, ამერიკული ლურჯი მოცვისა და თხილის ნერგები.

ხეხილოვანი კულტურების ნერგების შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ნერგების განაწილების წესის შემუშავებასა და ბენეფიციართა შერჩევას მათი განცხადებებისა და წარმოდგენილი სიების (მუნიციპალიტეტების გამგეობები, ქ.ბათუმის მერია) საფუძველზე, განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია. ხეხილოვანი ნერგების მოწოდება განხორციელდება სამინისტროს მიერ მითითებულ მისამართზე. შესყიდული კაკლის, მოცვისა და თხილის ნერგები ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაიცემა თანაგადახდის პრინციპით, ქვეპროგრამის ფარგლებში ხეხილოვანი ნერგების ღირებულების 30 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კაკლის ნერგი	ცალი	10,100	10	101,000
მოცვის ნერგი	ცალი	10,500	7.00	73,500
თხილის ნერგი	ცალი	32,000	0.7	22,400
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		52,600		196,900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დონისძიებები	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X			
2. კაკლის ნერგის მოწოდება და ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემა	X	X		X
3. მოცვის ნერგის მოწოდება და ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემა	X	X		X
4. თხილის ნერგის მოწოდება და ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემა	X	X		X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

1. ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული კაკლის ნერგი, მოცვის ნერგი, თხილის ნერგი.
2. გაშენებული ხეხილის ნარგაობები: კაკლი, მოცივი და თხილი.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული კაკლის ნერგი	10,100	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ფერმერებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის ქვითარი
ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული მოცვის ნერგები	10,500					
ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული თხილის ნერგი	32,000					
გაშენებული კაკლის ნარგაობა	40	ჰა				
გაშენებული მოცვის ნარგაობა	3					
გაშენებული თხილის ნარგაობა	85					

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა		
--	--	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

80303

ქვეპროგრამის დასახელება:

სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	500,000.0
სულ ბიუჯეტი:	500,000.0

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია რეგიონის ფერმერულ მეურნეობებში საადრეო ბოსტნეული კულტურების წარმოების ხელშეწყობა, იმპორტირებული პროდუქციის ნაწილობრივი ჩანაცვლება ადგილობრივი ბოსტნეულის პროდუქციით.

ქვეპროგრამის აღწერა:

ბოსტნეულზე ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძირითადად იმპორტირებული პროდუქციის ხარჯზე ხდება. რეგიონში ღია გრუნტზე წარმოებული ბოსტნეული პროდუქციის საშუალო მოსავლიანობა (კიტრი/პომიდორი 15–20 ტონა) ძალზე დაბალია, მაშინ როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 60 – 80 ტონის ფარგლებშია, ხოლო დახურულ გრუნტში 250 – 300 ტონას აღწევს. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ღია გრუნტში წარმოებული პროდუქცია სეზონური ხასიათისაა და ზაფხულის პერიოდში შემჭიდროებული ვადებით შემოიფარგლება. დახურული გრუნტის კიდევ უფრო განვითარებისა და ბოსტნეული კულტურების არასეზონური წარმოების ხელშეწყობისათვის აუცილებელია მარტივი ტიპის სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფა. რაც გაზრდის მათ ფინანსურ შემოსავლებს და იმპორტირებულ პროდუქციას ნაწილობრივ ჩანაცვლებს რეგიონში წარმოებული პროდუქციით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ.ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ბოსტნეულის წარმოებაზე ორიენტირებულ ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით 50 კვ.მ ფართობის სასათბურე კონსტრუქციის მიწოდება, რომელიც შედგება ლითონის კარკასისა და პოლიეთილენის ფირისაგან. დღეისათვის, სამინისტროში შემოსულია ფერმერთა განცხადებები 550–ზე მეტ ერთეულ სასათბურე კონსტრუქციის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

სასათბურე კონსტრუქციების შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო აღნიშნული სათბურის კონსტრუქციების ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემამდე დასაწყობების ხარჯები უნდა გაიღოს მომწოდებელმა მხარემ, არაუმეტეს ქვეპროგრამის მოქმედების პერიოდში.

სასათბურე კონსტრუქციების განაწილების წესის შემუშავებასა და ბენეფიციართა შერჩევას მათი განცხადებებისა და წარმოდგენილი სიების (მუნიციპალიტეტების გამგეობები, ქ.ბათუმის მერია) საფუძველზე, განხორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია,

შესყიდული სასათბურე კონსტრუქციები ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაიცემა თანაგადახდის პრინციპით, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონელის ღირებულების 30 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
50კვ.მ–იანი სასათბურე კონსტრუქცია (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი)		250	2000	500,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		250		500,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X		
50კვმ-იანი სასათბურე კონსტრუქციის (ლითონის კარკასი და პოლიეთილენის ფირი) მოწოდება და ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემა		X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

1. ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული სასათბურე კონსტრუქცია.
2. რეგიონში მოწყობილი ბოსტნეული კულტურების სასათბურე მეურნეობები.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	გაზომვის ერთეული, ცალი
1. ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული სასათბურე კონსტრუქცია	250	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ფერმერებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის ქვითარი
2. რეგიონში მოწყობილი ზოსტნეული კულტურების სასათბურე მეურნეობები.	1.25	ჰა				მონიტორინგი, მოწყობილი სასათბურე მეურნეობების დათვლიერება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მემცენარეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	080308

ქვეპროგრამის დასახელება:

ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	100,000
სულ ბიუჯეტი:	100,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია სახვადსხვა სახეობის ხილისა და ბოსტნეულის ნედლეულისაგან ჩირის პროდუქციის მიღება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. გარემოს ინტენსიური დაბინძურების ფონზე ადამიანის ორგანიზმის გაჯერება სასარგებლო მიკროელემენტებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს სასიცოცხლო პროცესების ნორმალურად წარმართვის საქმეში. ხილსა და ბოსტნეულს ადამიანის კვების რაციონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ახალი ხილი და ბოსტნეული 75-90% წყალს შეიცავს, ამიტომ ისინი ადვილად ფუჭდება და ლპება. ხილში წყლის შემცველობის 18-25 %-მდე შემცირებით იზრდება მიკროორგანიზმების მოქმედებისადმი მდგრადობა, არ ფუჭდება და შესაბამის პირობებში შენახვისას ხანგრძლივად ინარჩუნებს სამომხმარებლო თვისებებს. ამასთან გამხმარი ხილისა და ბოსტნეულის მოცულობა 3-5 ჯერ ნაკლებია ახალთან შედარებით.

ყოველწლიურად რეგიონში იწარმოება 10 ათას ტონამდე ბოსტნეული და 12 ათას ტონამდე კურკოვანი და თესლოვანი ხილი, რომლის ნაწილი ადგილზე მოიხმარება, ნაწილი – შიდა ბაზარზე რეალიზდება, ხოლო პროდუქციის გარკვეული ნაწილი გამოუყენებელი რჩება. როგორც ცნობილია, კერძო ფერმერულ მეურნეობებში ფერმერების მიერ მოყვანილი ხილ-ბოსტნეული მოკლებულია პესტიციდებისა და სასუქების ჭარბ გამოყენებას, ამიტომ მისგან მიღებული პროდუქცია ეკო-პროდუქტად შეიძლება ჩაითვალოს.

ვინაიდან, რეგიონში დღემდე არ ფუნქციონირებს ბოსტნეულისა და ხილის შესანახი ლოჯისტიკური ცენტრები და გადამამუშავებელი საწარმოები, ფერმერებს ექმნებათ პრობლემები მოსავლის მოკლე ვადებში რეალიზაციის თვალსაზრისით.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ამ პროდუქტების ჩირად შრობა, შენახვა, რეალიზაცია და მოხმარება მთელი წლის განმავლობაში.

რეგიონის სამომხმარებლო ბაზარზე ისეთი კულტურების ჩირის პროდუქცია, როგორიცაა ხურმა, ვაშლი, ლეღვი, მსხალი და სხვა საკმაოდ მაღალი ღირებულებისაა (1 კგ დაახლოებით 6-8 ლარი), რაც ფერმერთათვის დამატებითი შემოსავლის წყაროა.

ცნობილია, რომ რეგიონის ფერმერები ტრადიციული გზით ახორციელებენ ხილის ჩირად ჰაერზე შრობას, რაც შრომატევადი და უხარისხო პროცესია, რომელიც დაცული არ არის მწერების დაბინძურებისაგან და შრობა გრძელდება დიდხანს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2015 წლიდან განხორციელდეს წინამდებარე ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც რეგიონის ფერმერებს მიეცემათ საშუალება თანადაფინანსების პრინციპით შეიძინონ ელექტროენერგიის ხარჯზე მომუშავე ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ხილ-ბოსტნეულის უდანაკარგოდ რეალიზაციას, ფერმერების შემოსავლების ზრდას და იმპორტირებული ჩირის ჩანაცვლებას ადგილობრივი წარმოების ჩირის პროდუქციით.

შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქონლის განაწილების წესის შემუშავებასა და ბენეფიციართა შერჩევას მათი განცხადებებისა და წარმოდგენილი სიების (მუნიციპალიტეტის გამგეობები, ქ, ბათუმის მერია) საფუძველზე, განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია, საქონლის ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემამდე დასაწყობების ხარჯები უნდა გაიღოს მომწოდებელმა მხარემ, არაუმეტეს ქვეპროგრამის მოქმედების პერიოდში.

დანადგარები ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაიცემა თანაგადახდის პრინციპით ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარი	ცალი	125	800	100,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		125		100,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულების გაფორმება	X			
ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარების მიწოდება და ფერმერებზე გადაცემა		X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

1. ფერმერებზე მიწოდებული საშრობი დანადგარები; 2. გადამუშავებული ხილ-ბოსტნეულის ნედლეული

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული ხილისა და ბოსტნეულის საშრობი დანადგარები	125	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ფერმერებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და გადახდის ქვითარი
გადამუშავებული ხილ- ბოსტნეულის ნედლეული	75	ტ				

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება					
---	--	--	--	--	--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0804

პროგრამის დასახელება:

მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა					
--	--	--	--	--	--

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო					
---	--	--	--	--	--

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,642,000	382,000	420,000	420,000	420,000
სულ ბიუჯეტი:	1,642,000	382,000	420,000	420,000	420,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015–2018 წლები

პროგრამის მიზანი:

რძისა და რძის პროდუქციის ხარისხობრივ–რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის არსებული რეზერვების რაციონალური გამოყენება, თაფლისა და თაფლის პროდუქტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა.

პროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სიმჭიდროვისა და ტურისტული ნაკადის მატებასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (რძე და რძის პროდუქტები, თაფლი, ხორცი) მოთხოვნა-მიწოდებას შორის სხვაობა ძალზე დიდია. არსებული რეზერვების საშუალებით საჭიროა ისეთი ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე და კონკურენტუნარიანი პროდუქციის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მატებაზე, რომლის მისაღწევად საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ქვეპროგრამები:

1) თაფლის საწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა. 2) რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა. 3) მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავი დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა. ქვეპროგრამების განხორციელებით გათვალისწინებულია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების და ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის დამკვიდრების შესაძლებლობების ზრდა, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდა კერძო და ფერმერული მეურნეობების განვითარების პროგრამით გათვალისწინებული შესყიდვები განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შესყიდული საქონლის განაწილების წესის შემუშავებასა და შესაბამის ბენეფიციართა შერჩევას მათი განცხადებებისა და წარმოდგენილი სიების (მუნიციპალიტეტების გამგეობები, ქ. ბათუმის მერია) საფუძველზე, განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია. შესყიდული საქონელი აგრომეწარმეებზე და ფერმერებზე გაიცემა თითოეული ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანაგადახდის, ფერმერის მიერ გადასახდელი წილის, ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის საფუძველზე.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
თაფლისაწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	362,000	62,000	100,000	100,000	100,000

რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	1,000,000	250,000	250,000	250,000	250,000
მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვაკი დანადგარით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა	280,000	70,000	70,000	70,000	70,000
სულ პროგრამა	1,642,000	382,000	420,000	420,000	420,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2014 წელს მეცხოველეობის მიმართულებით კერძოდ მეფუტკრეობაში ქვეპროგრამის "მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა" ფარგლებში ფერმერებს მიეწოდა 964 ცალი პოლისტიროლისაგან დამზადებული დადანაშაულის ტიპის სკები, ასევე მიეწოდა 30 ცალი თანამედროვე ტიპის თაფლის საწური. თუმცა მეფუტკრეობაში მიწოდებული თაფლსაწური საერთო საჭიროების 10%-საც ვერ აკმაყოფილებს. მაღალტექნოლოგიებით დამზადებულ თაფლის საწურზე მოთხოვნა გაიზარდა 300 ერთეულამდე. ბოლო წლებში რეგიონში მეცხოველეობის განვითარების პოტენციური შესაძლებლობის გამოყენებაზე, კერძოდ რძისა და რძის პროდუქტების წარმოების ამაღლებაზე, შესაბამისად ფერმერთა მხრიდან გაჩნდა მოთხოვნა რძის გამოსახდელ აპარატებზე (სეპარატორებზე), გლეხური კარაქის წარმოების გაუმჯობესებაზე, მეცხოველეობაში საკვები ნედლეულის რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მიმდინარე წელს მეფუტკრეობის მიმართულებით დაიგეგმა 100 ერთეული თაფლსაწური მოწყობილობებით მეფუტკრეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რძის გადამამუშავებისა და რძისგან სხვადასხვა პროდუქტების (კარაქი, ყველი, ნაღული) წარმოების ზრდისათვის დაიგეგმა რძის სახდელი სეპარატორებითა და კარაქის ამომყვანი აპარატით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა; კერძოდ რძისა და რძის პროდუქტების წარმოებით ორიენტირებულ მეცხოველეობაზე მიწოდებული იქნება 500 ცალი სეპარატორი და 50 ცალი კარაქის ამომყვანი აპარატი, ასევე მეცხოველეობის საკვები ბაზის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვაკ-დამქუცმაცებელი 70 ერთეული წისქვილით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

1. მეფუტკრეობაში ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება წარმოებული პროდუქციის ხარისხი, მთლიანობაში 2015–2018 წლებში მეფუტკრეობაზე მიწოდებული იქნება 550 ერთეული თაფლსაწური მოწყობილობა. 2. მერმეული მიმართულების მეცხოველეობაზე მიწოდებული იქნება თანამედროვე ტიპის 200 ერთეული კარაქის დამამზადებელი აპარატები და 2000 ერთეული რძის სახდელი რძის სეპარატორი, გაუმჯობესებული იქნება რძისა და რძის გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები, საშუალოდ წლიურად გადამამუშავდება – 2500 ტონა რძე. წარმოებული კარაქი 100 ტონა. 3. ფერმერებზე მიწოდებული იქნება 280 ერთეული წისქვილი შედეგად სხვადასხვა უხეში საკვების ნედლეულიდან შესაძლებელი იქნება კომბინირებული საკვების დამზადება, ასევე ფერმერთა და აგრომეწარმეთა ხელით შრომის შემსუბუქება და დროის დანახარჯების შემცირება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
ხარისხიანი თაფლის წარმოება	მეფუტკრე ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემულია თაფლის საწური	100	150	200	250	ცალი	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	მონიტორინგი
	გამოწურული თაფლი	20	30	40	50	ტონა			
გაუმჯობესებული რძისა და რძის პროდუქტების წარმოება	ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემულია რძის სეპარატორი აპარატი	500	1000	1500	2000	ცალი	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	მონიტორინგი
	ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემულია კარაქის დამამზადებელი აპარატი	50	100	150	200	ცალი			
	გადამუშავებული რძე	2000	4000	6000	8000	ტონა			
	წარმოებული კარაქი	90	180	270	360	ტონა			
კომბინირებული საკვებისა და მარცვლეულის ფქვილის წარმოება	ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემულია საფქვავი დანადგარები	175	250	425	600	ცალი	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	მონიტორინგი
	დამზადებული კომბინირებული საკვები	450	900	1350	1800	ტონა			

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

080401

ქვეპროგრამის დასახელება:

თაფლის საწური აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	62 000
სულ ბიუჯეტი:	62 000

ქვეპროგრამის მიზანი:

წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა

ქვეპროგრამის აღწერა:

საქართველოში მეფუტკრეობა ოდითგანვე იყო გავრცელებული და სოფლის მეურნეობის მიმართულებათა შორის საინტერესო და მაღალშემოსავლიანი, ნაკლებად შრომატევადი და მიმზიდველი დარგია. რეგიონში ამჟამად 19 850 -ზე მეტი ფუტკრის ოჯახი ირიცხება, მათ შორის ქობულეთის მუნიციპალიტეტში – 8 000, ხელვაჩაურში – 4 500, ქედაში – 2 500, შუაქვეში – 2 350 და ხულოში – 2 500. თაფლის საშუალო წლიური წარმოება 350-400 ტონაა. რეგიონში არსებული თაფლოვანი მცენარეების სიუხვე (აკაცია, წაბლი, ცაცხვი, ხეხილოვანი და ალპური მდელოს მრავალფეროვანი ყვავილოვანი ბალახები) საშუალებას იძლევა სისტემატიურად გამოიკვებოს 60-70 ათასი ფუტკრის ოჯახი და თაფლის საშუალო წლიური წარმოება 2 000 ტონამდე გაიზარდოს.

თაფლის წარმოების ზრდასთან ერთად აუცილებელია ძოხდეს მეფუტკრე ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტიპის დანადგარ-მოწყობილობებით, რომელიც ხელს შეუწყობს თაფლის ხარისხის გაუმჯობესებას. გამომდინარე იქედან, რომ რეგიონის ფერმერები ძირითადად იყენებენ მოძველებულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო საშუალებებს, რაც მოქმედებს თაფლის ხარისხზე უარყოფითად, იმისათვის რომ გაუმჯობესდეს მიღებული პროდუქციის ხარისხი მეტად მნიშვნელოვანია მეფუტკრე ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფა მაღალტექნოლოგიებით დამზადებული თაფლის საწურებით, რაზედაც რეგიონის მასშტაბით მეფუტკრე ფერმერების მხრიდან მოთხოვნა დიდია.

თაფლის საწურების შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კახოხდებლობის შესაბამისად. ხოლო აღნიშნული მოწყობილობების ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემამდე დასაწყობების ხარჯები უნდა გაიღოს მომწოდებელმა მხარემ, არაუმეტეს ქვეპროგრამის მოქმედების პერიოდში. განაწილების წესის შემუშავებასა და ბენეფიციართა შერჩევას მათი განცხადებებისა და წარმოდგენილი სიების (მუნიციპალიტეტის გამგებები, ქ. ბათუმის მერია) საფუძველზე, განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია.

შესყიდული თაფლის საწური აპარატების ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაიცემა თანაგადახდის პრინციპით, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონელის ღირებულების 30 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
თაფლის საწური აპარატი	ცალი	100	620.00	62,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		100		62,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X		
თაფლის საწურის აპარატის შესყიდვა და ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემა		X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

1. მეფუტკრე ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული თაფლის საწური აპარატი;
2. გამოწურული თაფლი;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული თაფლის საწური აპარატი	100	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ფერმერებთან გაფორმებული მიღება ჩაბარების და გადახდის ქვითრი
გამოწურული თაფლი	20,000	კგ				

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა				
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		080402		
ქვეპროგრამის დასახელება:				
რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი აპარატებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:				
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო				
პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:				
დასახელება		2015 წელი		
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები		250,000		
სულ ბიუჯეტი:		250,000		
ქვეპროგრამის მიზანი:				
რძისგან წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება				
ქვეპროგრამის აღწერა:				
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგია მეცხოველეობა და შესაბამისად სამომხმარებლო ბაზარზე წარმოებული პროდუქციის საკმაოდ დიდი წილიც მეცხოველეობის პროდუქციას უკავია. რეგიონის მზარდი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე სამომავლოდ ძალიან მნიშვნელოვანია რძის გადამამუშავება და გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა, ამიტომაც პირველ რიგში საჭირო ხდება წარმოების არსებული საშუალებების თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩანაცვლება, რაც ხელს შეუწყობს მეცხოველეობაში დასაქმებულ ფერმერებს აწარმოონ მაღალხარისხიანი და ბაზარზე ორიენტირებული რძისა და რძის გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები, აქედან გამომდინარე რძის გადამამუშავების ტექნოლოგიების მდგომარეობის გაუმჯობესება პირდაპირ აისახება მეცხოველეობის დარგში დასაქმებული ფერმერების და აგრომეწარმეების ეკონომიკურ მდგომარეობასა და შემოსავალზე. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რეგიონის მეცხოველეობის დარგში დასაქმებულ ფერმერთა და აგრომეწარმეთა თანამედროვე ტიპის კარაქის დამამზადებელი აპარატისა და რძის მექანიკური სეპარატორების მიწოდება, რაც გაუმჯობესებს რძისა და რძის პროდუქტების ხარისხობრივ მაჩვენებლებს. თანამედროვე ტიპის კარაქის დამამზადებელი აპარატისა და რძის მექანიკური სეპარატორების შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული აპარატების ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემამდე დასაწყობების ხარჯები უნდა გაიღოს მომწოდებელმა მხარემ, არაუმეტეს ქვეპროგრამის მოქმედების პერიოდში. განაწილების წესის შემუშავებასა და ბენეფიციართა შერჩევას მათი განცხადებებისა და წარმოდგენილი სიების (მუნიციპალიტეტის გამგეობები, ქ. ბათუმის მერია) საფუძველზე, განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია. შესყიდული კარაქის დამამზადებელი აპარატისა და რძის მექანიკური სეპარატორების ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაიცემა თანაგადახდის პრინციპით, ქვეპროგრამის ფარგლებში შესყიდული საქონელის ღირებულების 30 %-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.				
დასახელება	ზომის ერთეული	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
რძის მექანიკური სეპარატორი	ცალი	500	450.0	225,000.0

კარაქის დამამზადებელი აპარატი	ცალი	50	500.0	25,000.0
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				250,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X		
კარაქის დამამზადებელი აპარატის მოწოდება და ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემა		X	X	X
რძის მექანიკური სეპარატორის მოწოდება და ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გადაცემა		X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

1. ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემულია რძის მექანიკური სეპარატორი; 2. ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე მიწოდებულია კარაქის დამამზადებელი აპარატი.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული კარაქის დამამზადებელი აპარატი	50	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ფერმერებთან გაფორმებული მიღება ჩაბარების და გადახდის ქვითრი
ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემული რძის სეპარატორი;	500	ცალი				
გადამუშავებული რძე	2000	ტონა				
წარმოებული კარაქი	90	ტონა				

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობა	
--	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

080403

ქვეპროგრამის დასახელება:

მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავე დანადგარებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	70,000
სულ ბიუჯეტი:	70,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის არსებული რეზერვების რაციონალური გამოყენება და თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვა

ქვეპროგრამის აღწერა:

სრულფასოვანი კვება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზრდა-განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს პირუტყვის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობაზე. დღეისათვის, მეცხოველეობაში კომბინირებული საკვების წარმოებისათვის მეტად მრავალფეროვანი, განსხვავებული ქიმიური შემადგენლობის, ყუათიანობისა და სპეციფიკური თვისებების მქონე პროდუქტები გამოიყენება, რომლებიც შეიძლება დაეყოს: მცენარეულ საკვებად, მცენარეული პროდუქტების ტექნიკური გადამუშავებით მიღებულ საკვებ ნარჩენებად, ცხოველური წარმოშობის საკვებად, მიკრობიოლოგიური და ქიმიური სინთეზის პოდუქტებად, მინერალურ და ვიტამინოვან დანამატებად. მცენარეული საკვები - კომბინირებული საკვების მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ინგრედიენტია, რომლის ფარგლებშიც იყენებენ მარცვლეულ კულტურებს. პურეულ მარცვლოვნებს მიეკუთვნება მცენარეთა დიდი ნაწილი, მაგრამ წარმოებაში განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება - სიმინდი, ქერი, ხორბალი, შვრია, ჭვავი, ფეტვი, სორგო და სხვა. როგორც ცნობილია, რეგიონში სიმინდი მთავარი მარცვლეულია, რომელსაც ადგილობრივი ფერმერები და აგრომეწარმეები ძირითადად იყენებენ, როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე მეფრინველეობაში და მეცხოველეობაში დამატებითი საკვების სახით. პირუტყვი დაღერდილ და დაფქვილ სიმინდის მარცვალს საკმაოდ კარგად ითვისებს, მარცვალი შეუცვლელი კომპონენტია კომბინირებული საკვების დამზადების საქმეში, მაღალი ყუათიანობით გამოირჩევა ასევე სიმინდის ტარო და ღერო, რომელსაც პირუტყვს აწვდიან მშრალი, დაქუცმაცებული სახით. ღეროები საკვებ ღირებულებას ინარჩუნებს მარცვლის სრული სიმწიფის ფაზაში და გამოიყენება სილოსის დასამზადებლად. მაგრამ დღეისათვის, რეგიონის ფერმერები და აგრომეწარმეები მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავ თანამედროვე ტექნოლოგიურ დანადგარებს მოკლებულია, მხოლოდ ერთეულ ფერმერთათვის თუ არის შესაძლებელი შინამეურნეობებში კუსტარულად დამზადებული მოწყობილობებით განახორციელონ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებწარმოება. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავე წისქვილის მობილური დანადგარი, გამოიყენება მარცვლეულის (სიმინდი, ხორბალი, სოიო და სხვა), ძირხვენა კულტურებისა და ჩალის ღეროების დასაქუცმაცებლად, რომლისგანაც მზადდება შინაური ფრინველისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვები. აღნიშნული დანადგარებით ფერმერებისა და აგრომეწარმეების უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს მეცხოველეობაში სხვადასხვა უხეში საკვების ნედლეულიდან - კომბინირებული საკვების დამზადების შესაძლებლობის ზრდას, რაც განაპირობებს ცხოველთა პროდუქტიულობის ამაღლებას.

შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დანადგარების განაწილების წესის შემუშავებასა და ბენეფიციართა შერჩევას მათი განცხადებებისა და წარმოდგენილი სიების (მუნიციპალიტეტის გამგეობები, ქ. ბათუმის მერია) საფუძველზე, განხორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია. დანადგარების ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემამდე დასაწყობების ხარჯები უნდა გაიღოს მომწოდებელმა მხარემ, არაუმეტეს ქვეპროგრამის მოქმედების პერიოდში.

დანადგარები ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე გაიცემა თანაგადახდის პრინციპით ღირებულების 30%-ის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მარცვლეულის უხეში საკვების საფქვავე დანადგარი	ცალი	70	1000	70,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				70,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ (ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X			
მარცვლეულის უხეში საკვების საფქვავე დანადგარების მოწოდება და ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემა		X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

1. ფერმერებზე მიწოდებული მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავე დანადგარები;
2. დამზადებული კომბინირებული საკვები;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე გადაცემულია საფქვავე დანადგარები	70	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ფერმერებთან გაფორმებული მიღება ჩაბარების და გადახდის ქვითრი
დამზადებული კომბინირებული საკვების	225	ტონა				

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0805

პროგრამის დასახელება:

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დარგობრივი განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4,921,100	1,171,100	1,250,000	1,250,000	1,250,000
სულ ბიუჯეტი:	4,921,100	1,171,100	1,250,000	1,250,000	1,250,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2015-2018 წელი

პროგრამის მიზანი:

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დარგობრივი საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროდუქციის მწარმოებლურობის ზრდა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება და კოოპერირების სიკეთით მოსახლეობის ფართო მასების დაინტერესების სტიმულირება.
--

პროგრამის აღწერა:

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, დღემდე არსებულ მეურნეობრიობის აპრობირებულ მოდელთა შორის მოწონებული და პრაქტიკულად მისაღები აღმოჩნდა ნებაყოფილებითი კოოპერატიული მეურნეობების ჩამოყალიბება და განვითარება, ვინაიდან კოოპერატივი არის ისეთი ორგანიზაციული ფორმა, რომელიც მცირე საწარმოო რესურსების გაერთიანების გზით იძლევა შესაძლებლობას ფართო მასშტაბებით დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიური და აგროტექნიკური სიახლეები, სწორედ ზემოთ აღნიშნული დაედო საფუძვლად საქართველოს კანონის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ შემუშავებას დამტკიცებასა და ამოქმედებას. კოოპერატივზე დაწესებული შეღავათებისა და სხვადასხვა სიკეთით სარგებლიანობის მიუხედავად, როგორც ქვეყანაში, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კოოპერატივები წელი ტემპით იქმნება, მოსახლეობის დამოკიდებულება კოოპერირებისადმი მაინც საეჭვო და არაერთგვაროვანია, საჭიროა ისეთი საპილოტე პროგრამების განხორციელება, რომლის სიცოცხლის უნარიანობაში მოსახლეობა თავად დარწმუნდება. ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ინიციატივების მიუხედავად, დღეის მდგომარეობით რეგიონში ამოქმედდა მხოლოდ 25 მდე სხვადასხვა საწარმოო მიმართულების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. წინამდებარე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთის მხრივ იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დარგობრივი საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, რომელთა საწარმოო-სამეურნეო მიმართულება ორიენტირებულია მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებისათვის და მეორეს მხრივ იმ კოოპერატივებისა, რომელთა ძირითადი სასოფლო სამეურნეო მიმართულებაა კენკროვანი მეხილეობის (მარწყვის კულტურა) მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობის განვითარება, რადგანაც აღნიშნული დარგების შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობა განპირობებულია რეგიონის პოტენციური შესაძლებლობებიდან და ბაზარზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საჭიროებებიდან გამომდინარე. ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით შესაძლებელია რეგიონის აგრარული სექტორის მოდერნიზაცია და პროდუქციის მაღალი სტანდარტებით წარმოება, გამომდინარე აქედან საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ქვეპროგრამები: 1) "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა", 2) "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა" პროგრამით გათვალისწინებული შესყიდვები განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შესყიდული საქონლის და მომსახურების განაწილების წესის შემუშავებასა და შესაბამის ბენეფიციართა (კოოპერატივების) შერჩევას მათი განცხადებების საფუძველზე. განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის

სამინისტროს შესაბამისი კომისია. შესყიდული საქონელი/მომსახურება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გაიცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელთაც კოოპერატივის კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული ექნებათ მეცხოველეობის ფერმის ამოქმედებისათვის მინიმუმ 2500 კვ/მ, ხოლო კენკროვანი ხილის სასათბურე მეურნეობის ამოქმედებისათვის მინიმუმ 500 კვ/მ მიწის ნაკვეთი, ასევე თითოეული ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღირებულების 20%-ის თანაგადახდის საფუძველზე, სადაც წინასწარ გამოყენებული იქნება სა საბანკო გარანტია. კოოპერატივზე ქონების გადაცემა განხორციელდება კოოპერატივის მიერ გადასახდელი წილის, ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა	2,423,700	623,700	600,000	600,000	600,000
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა	2,497,400	547,400	650,000	650,000	650,000
სულ პროგრამა	4,921,100	1,171,100	1,250,000	1,250,000	1,250,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2013 წელს სამინისტროს პროგრამის "ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა" ქვეპროგრამით "სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების სარეკლამო მოდელის ჩამოყალიბება და შემდგომი დანერგვის ორგანიზება ფარგლებში რეგიონში ჩამოყალიბდა 5 სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება, მათ შორის სამმა გაერთიანებამ საქართველოს კანონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ ამოქმედების შემდეგ მიიღო სტატუსი და ჩამოყალიბდნენ, როგორც სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები, ახლად ჩამოყალიბებული კოოპერატივები საფუძველი და სტიმულის მიმცემი გახდა სხვა ახალი კოოპერატივების შექმნისა, რომელმაც დასაბამი მისცა დამატებით ჩამოყალიბებულიყო 18 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მათგან 10 კოოპერატივში თანადაფინანსების პრინციპით მოეწყო 1 ჰა მოცვის, 2 ჰა ვენახისა და 2 ჰა კაკლის სადემონსტრაციო ნაკვეთები. კოოპერატივებში საწარმოო-სამეურნეო მიმართულება დარგობრივად სხვადასხვა მიმართულებისაა და ძირითადი პროფილი მეცხოველეობის, ან მრავალწლიან კულტურათა განვითარებაზეა ორიენტირებული. გამოწვევებიც სწორედ ამ დარგებში წარმოშობილი პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიებაშია, რაც გახდა საფუძველი წინამდებარე პროგრამის შემუშავებისა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

1. მიმდინარე წელს დაიგეგმა თანამედროვე ტიპის 6 ათსულისანი მერმეული მიმართულების მეცხოველეობის ფერმის მოწყობა 2. ასევე მარწყვის სათბურში წარმოების ტექნოლოგიის დანერგვისა და ამ გზით მარწყვის წარმოების მოცულობის გაზრდის მიზნით დაიგეგმა 23 ერთეული 200 კვ/მ –იანი სასათბურე მეურნეობებით კოოპერატივების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. თუმცა მოთხოვნილება ორივე მიმართულებით კვლავ აქტიურია და შესაბამისი პროგრამების განხორციელება მომავალშიც იგეგმება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

2015–2018 წლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების კუთხით განხორციელებული ქვეპროგრამებით ამოქმედდება 24 ერთეული ხალას ჯიშისანი მეწველი მიმართულების მეცხოველეობის ფერმა, ასევე მოქმედებაში შევა 200 კვ/მ–იანი 90 ზე მეტი მარწყვის სათბური, მათში საშუალოდ წლიურად წარმოებული იქნება 120 ტონამდე მარწყვი.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მოწყობილი მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმა	კოოპერატივების ტერიტორიაზე აგებული თანამედროვე ტიპის მეცხოველეობის ფერმა	6	6	6	6	ცალი	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	მონიტორინგი
	კოოპერატივებზე გაცემული მაღალპროდუქტიული ჯიშის ფური	60	60	60	60	სული			
	მეცხოველეობის ფერმებში მოწყობილი ბიოგაზის დანადგარები	6	6	6	6	ცალი			
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მოწყობილი მაღალტექნოლოგიური მარწყვის სასათბურე მეურნეობა	კოოპერატივების ტერიტორიაზე აგებული თანამედროვე ტიპის მარწყვის სასათბურე მეურნეობა	23	23	23	23	ცალი	აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	მონიტორინგი
	კოოპერატივებზე მიწოდებული სამაცივრე კამერები.	23	23	23	23	ცალი			
	თანამედროვე ტექნოლოგიებით ერთეულ ფართობზე წარმოებული მარწყვი,	28/0,46	28/0,46	28/0,46	28/0,46	ტ/ჰა			

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დარგობრივი განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

080501

ქვეპროგრამის დასახელება:

სასოფლო სამეურნეო კოპერატივების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	623,700
სულ ბიუჯეტი:	623,700

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშტაბით მაღალპროდუქტიული თანამედროვე ტიპის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეცხოველეობის ფერმების ამოქმედება.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარაში სოფლის მეურნეობის დარგებიდან მეცხოველეობას ყოველთვის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს და იგი დღესაც სოფლის მოსახლეობის თვითგამოკვებისა და შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. აჭარაში მეცხოველეობა დღეს ადგილობრივი ჯიშის პირუტყვითაა წარმოდგენილი, რომელიც საკმაოდ დაკნინებულია, ეს გამოიწვია პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და ხელოვნური განაყოფიერების სისტემის, ასევე ხელოვნური სელექციის მოშლამ, რის გამოც პირუტყვის ჯიშობრივი ხარისხი ყოველწლიურად უარესდება და მცირდება პროდუქტიულობა. 2014 წლის მონაცემებით რეგიონში ირიცხება 95 570-მდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, იწარმოება 4540 ტონამდე ხორცი, 48600 ტონამდე რძე და რძის პროდუქტები. რეგიონის მოსახლეობისათვის წლიურად საჭიროა 29 ათას ტონამდე ხორცი და ხორცპროდუქტები, ასევე 175 ათას ტონამდე რძე და რძის პროდუქტები, რაც არ არის საკმარისი მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რის გამოც არსებული დეფიციტის შევსება ხდება იმპორტირებული პროდუქციის საშუალებით. მიმდინარე პერიოდისათვის მეცხოველეობის დარგში არსებული პრობლემები მრავალმხრივია, რაც ზღუდავს ამ დარგის განვითარებას, ამიტომაც, პირველ რიგში საჭირო ხდება მეცხოველეობის განვითარების ახალი გზებისა და საშუალებების ძებნა, დარგში არსებული მენეჯმენტის გაუმჯობესება და მასში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

რეგიონის მაშტაბით ბოლო პერიოდში სასიკეთო ძვრები შეინიშნება წვრილი ფერმერების მხრიდან სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და მასში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რასაც დასაბამი მისცა "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებამ. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მეცხოველეობის მიმართულების კოოპერაციული მეურნეობების ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის რეგიონში 6 (ექვსი) 20 სულზე გათვლილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეცხოველეობის საპილოტე ფერმის ამოქმედება, აღჭურვა თანამედროვე ინვენტარით, რეგიონის ბუნებრივ - კლიმატური პირობების გათვალისწინებით შესაბამისი მაღალპროდუქტიული ჯიშის ფურების შემოყვანა, რაც უზრუნველყოფს რძისა და ხორცის პროდუქციის წარმოების ამაღლებას, ხელს შეუწყობს მეცხოველეობის მიმართულების კოოპერატივებში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას და მასში დასაქმებული ფერმერების შემოსავლების ზრდას.

ქვეპროგრამის მოსარგებლე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი თავისი თანამონაწილეობის ფარგლებში შეასრულებს ყველა სახის სამუშაოს რაც დაკავშირებული იქნება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეცხოველეობის ფერმის მოწყობასთან, კერძოდ: ფერმისათვის ადგილის შერჩევა, ფერმის საწარმოო საშუალებებით ელ. ენერგიითა და წყალით სტაბილური უზრუნველყოფა, ქვეპროგრამით მოსარგებლე კოოპერატივმა ასევე უნდა უზრუნველყოს ფერმის ტერიტორიის კაპიტალური შემოღობვა და მოწყობა. ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მიერ თანამონაწილეობით შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი განხორციელდება სამინისტროს მიერ.

შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბენეფიციართა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი) შერჩევას, შესაბამისი განცხადებებისა და წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, განხორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია. შესყიდული საქონელი/მომსახურება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გაიცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელთაც კოოპერატივის კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული ექნებათ მეცხოველეობის ფერმის ამოქმედებისათვის მინიმუმ 2500 კვ/მ, ასევე ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღირებულების 20%-ის თანაგადახდის საფუძველზე, სადაც წინასწარ გამოყენებული იქნება საბანკო გარანტია. კოოპერატივზე ქონების გადაცემა განხორციელდება კოოპერატივის მიერ გადასახდელი წილის, ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მეცხოველეობის ფერმის პროექტირება	ცალი	6	3000	18,000
მეცხოველეობის ფერმის აშენება და მონტაჟი	ცალი	6	35,000	210,000
მსხვილი რქოსანი პირუტყვი	ცალი	60	5500	330,000
რძის ბიდონები	ცალი	30	200	6,000
საწყურებელი	ცალი	60	70	4,200
საწველი აპარატი	ცალი	6	800	4,800
რძის სეპარატორი	ცალი	6	450	2,700
კარაქის დამამზადებელი აპარატი	ცალი	6	500	3,000
ბიოგაზის დანადგარი (3 კვ.მ ტევადობის)	ცალი	6	7500	45,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				623,700

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება	X	X		
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ ფირმას(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X		
მეცხოველეობის ფერმის პროექტების შესყიდვა	X	X		
მეცხოველეობის ფერმის აშენება		X	X	X
საწყურებელის შეძენა და გადაცემა		X	X	X
ბიოგაზის დანადგარის შეძენა და (3 კვ.მ ტევადობის) მონტაჟი		X	X	X
რძის ბიდონების მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X
საწველი აპარატების მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X
რძის სეპარატორების მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X

კარაქის დამამზადებელი აპარატების მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X
მსხვილი რქოსანი პირუტყვი მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X

მიმდინარე წლის მოსალოდნელი შედეგი

სასოფლო სამეურნეო მეცხოველეობის მიმართულების კოპერატივებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 6 მეცხოველეობის ფერმის ამოქმედება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მეცხოველეობის ფერმების მოწყობა	6	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგი
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე მიწოდებული მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	60	სული				
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე მიწოდებული ბიოგაზის დანადგარები.	6	ცალი				

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დარგობრივი განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

080502

ქვეპროგრამის დასახელება:

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში სასათბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	547,400
სულ ბიუჯეტი:	547,400

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ტექნოლოგიებითა და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით ბოლო წლებში განსაკუთრებული ინტერესი შეინიშნება წვრილი ფერმერების მხრიდან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და მასში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ვინაიდან კოოპერატივი არის ისეთი ორგანიზაციული ფორმა, რომელიც საწარმოო რესურსების გაერთიანების გზით იძლევა შესაძლებლობას ფართო მასშტაბებით დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიური და აგროტექნიკური სიახლეები, რომელსაც დასაბამი მისცა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამ. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისა და კოოპერაციული საქმიანობის სტიმულირებისათვის საწარმოო და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის ხელშეწყობა სასათბურე მეურნეობებში მარწყვის კულტურის წარმოების მიმართულებით, დღეის მდგომარეობით მარწყვის კულტურის განვითარებას დიდწილად აფერხებს დაბალხარისხიანი ჯიშები, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების ცოდნის დაბალი დონე და წვრილი ოჯახური მეურნეობები, სადაც გართულებულია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა-განხორციელება.

რეგიონის აგროკლიმატური პირობები ხელსაყრელ გარემოს ქმნის მარწყვის მოსაყვანად, ამასთან მარწყვის სარეალიზაციო ბაზარი პერსპექტიულია, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ იმ მწარმოებლებისათვის, ვისაც შეუძლია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მარწყვის სტაბილურად მიწოდება. ამიტომაც გრძელვადიან პერიოდში მარწყვის მოყვანისათვის საჭიროა ახალი რემონტატული და სუპერ საადრეო ჯიშების გავრცელება და ასევე თანამედროვე აგროტექნიკური ღონისძიებების დანერგვა სათბურში მარწყვის წარმოების განვითარების გზით, რაც მოგვცემს საშუალებას მარწყვის სეზონური წარმოებიდან გადავიდეთ 10-11 თვიან პერიოდზე, შესაბამისად გაიზარდება ერთეულ ფართობზე მოსავლიანობა და ფინანსური შემოსავლები. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შერჩეულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სასათბურე მეურნეობებს მიეწოდება, კერძოდ: 1) 200 კვ.მ-იანი სათბურის კონსტრუქცია (პოლიეთილენის ფირით, მულჩფირით, 2 ტონიანი სარწყავი ავზით, წვეთოვანი სარწყავი მილებით, წყლის საქაჩი ტუმბოთი). 2) ორგანული სასუქი (ბიოჰუმუსი); 3) მარწყვის მაღალხარისხიანი ჩითილები; 4) სამაცივრე კამერები.

ქვეპროგრამის მოსარგებლე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი თავისი თანამონაწილეობის ფარგლებში შეასრულებს ყველა იმ სხვა სამუშაოებს, რაც დაკავშირებული იქნება სასათბურე მეურნეობის საბოლოო მოწყობასთან, კერძოდ: კოოპერატივის ტერიტორიაზე სათბურებისათვის ადგილის შერჩევა და მომზადება, სათბურის საძირკვლის მოწყობა ბეტონით, სათბურის კონსტრუქციის მონტაჟი, სათბურის საწარმოო საშუალებებით ელექტრო ენერგიითა და სარწყავი წყლით სტაბილური უზრუნველყოფა. ქვეპროგრამით მოსარგებლე კოოპერატივმა ასევე უნდა უზრუნველყოს სამაცივრე დანადგარის მონტაჟისათვის საჭირო ტერიტორიის მოწყობა. ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მიერ თანამონაწილეობით შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი განხორციელდება სამინისტროს მიერ.

შესყიდვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გადასაცემი სათბურებისა და სამაცივრე დანადგარების ადგილის შერჩევას და ბენეფიციართა (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი) შერჩევას, შესაბამისი განცხადებებისა და წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, განხორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი კომისია. შესყიდული საქონელი/მომსახურება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გაიცემა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელთაც კოოპერატივის კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული ექნებათ კენკროვანი ხილის სასათბურე მეურნეობის ამოქმედებისათვის მინიმუმ 500 კვ/მ მიწის ნაკვეთი,

ასევე ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღირებულების 20%- ის თანაგადახდის საფუძველზე, სადაც წინასწარ გამოყენებული იქნება საბანკო გარანტია. კოოპერატივზე ქონების გადაცემა განხორციელდება კოოპერატივის მიერ გადასახდელი წილის, ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

დასახელება	ზომის ერთეული	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
200 კვ.მ-იანი სათბურის კონსტრუქცია (პოლიეთილენის ფირით, მულჩფირით, 2 ტონიანი სარწყავი ავზით, წვეთოვანი სარწყავი მილებითა და წყლის საქაჩი ტუმბოთი)	ცალი	23	11,000	253,000
ორგანული სასუქი (ბიოჰუმუსი)	ტ	69	500	34,500
მარწყვის მაღალხარისხიანი ჩითილები	ცალი	34,500	1.2	41,400
სამაცივრე კამერა		23	9500	218,500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				547,400

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შერჩევა და ხელშეკრულებების გაფორმება	X	X	X	
სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება და გამარჯვებულ (ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმება	X	X	X	X
ორგანული სასუქის (ბიოჰუმუსი) მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X
მარწყვის მაღალხარისხიანი ჩითილების მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X
200 კვ.მ-იანი სათბურის კონსტრუქცია (პოლიეთილენის ფირით, მულჩფირით, 2 ტონიანი სარწყავი ავზით, წვეთოვანი სარწყავი მილებითა და წყლის საქაჩი ტუმბოთი) მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X
სამაცივრე კამერის მოწოდება და კოოპერატივებზე გადაცემა		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

1. კოოპერატივებზე გადაცემული 200 კვ.მ-იანი სათბურის კონსტრუქციები (პოლიეთილენის ფირით, მულჩფირით, 2 ტონიანი სარწყავი ავზით, წვეთოვანი სარწყავი მილებითა და წყლის საქაჩი ტუმბოთი). 2. თანამედროვე ტექნოლოგიებით ერთეულ ფართობზე წარმოებული მარწყვი;
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული, ცალი	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
1) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გადაცემული 200 კვ.მ-იანი სათბურის კონსტრუქციები (პოლიეთილენის ფირით, მულჩფირით, 2 ტონიანი სარწყავი ავზით, წვეთოვანი სარწყავი მილებითა და წყლის საქაჩი ტუმბოთი).	23	ცალი	სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტი	წლის განმავლობაში ორჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მონიტორინგი
2) თანამედროვე ტექნოლოგიებით ერთეულ ფართობზე წარმოებული მარწყვი.	30/0,46	ტ/ჰა				
3) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე მიწოდებული სამაცივრე კამერები.	23	ცალი				

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 080601

პროგრამის დასახელება:

აგროსერვისცენტრის მომსახურების მიწოდება და მართვა

პროგრამის განმახორციელებელი:

ა (ა) იპ „აგროსერვისცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3,956,456	1,111,064	948,464	948,464	948,464
სხვა	544,000	87,000	137,000	160,000	160,000
1. ხელოვნური განაყოფიერება	305,000	60,000	75,000	85,000	85,000
2. ნერგების რეალიზაცია	75,000	5,000	20,000	25,000	25,000
3. ციტრუსისა და ხეხილის ნაყოფის რეალიზაცია	112,000	12,000	30,000	35,000	35,000
4. მანქანა-დანადგარების იჯარა და მომსახურების გაწევა	52,000	10,000	12,000	15,000	15,000
გრანტები	219,460	219,460			
სულ ბიუჯეტი:	4,719,916	1,417,524	1,085,464	1,108,464	1,108,464

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების მართვა, კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება. სუბტროპიკული და კონტინენტალური სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება, სწავლება-კონსულტირება, ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით. არსებული სუბტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა პერსპექტიული სარგავი და სათესლე მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვისა და მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა და განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად არსებული კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება და დატრენინგება. ნიადაგის ლაბორატორიული კვლევა. ბოსტნული კულტურებისთვის სასათბურე მეურნეობების მოწყობა და ფერმერთა სწავლება კონსულტირება.

პროგრამის აღწერა:

• სუბტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლება;
 მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვა;
 მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა;
 ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება.
 ფერმერთა და აგრომეწარმეთა ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
მომსახურების მიწოდება და მართვა	4,719,916	1,417,524	1,085,464	1,108,464	1,108,464
სულ პროგრამა	4,719,916	1,417,524	1,085,464	1,108,464	1,108,464

- იწარმოა ციტრუსის ნერგი და განთავსდა სათბურში.
- ციტრუსების სანერგე მეურნეობაში ქოთნებში არსებული საკოლექციო ნერგები გადატანილ იქნა სათბურში.
- გვარა-ხუცუბნის სანერგეში ჩაქვის სანერგედან ხეხილის ნერგებისა და ვაზის ნერგების გადასარგავად აიგემა ნაკვეთები და დაირგო ნერგები.
- გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანების სანერგეში ნარგავების დარგვის წინ გაფხვიერდა(მულჩირება) ნიადაგი.
- 960 კვ.მ-ზე აშენდა ორი ერთეული სათბური.
- განაყოფიერდა 1374 სული მსხ. რქოსანი პირუტყვი.
- მოეწყო ხელოვნური განაყოფიერების სადგურები (დიდაჭარა, ხიხადირი).
- მომზადდა მარანის მშენებლობის პროექტი და აშენდა მარანი.
- ციტრუსისა და ხილის დამხარისხებელი დანადგარებისა და სამაცივრე საკანისათვის მოეწყო ანგარი.
- მომზადდა სათბური გვარა ხუცუბნის ვაზისა და ხეხილის სანერგეში 500 კვ.მ პომიდორის ჩითილების დასარგავად.
- ჩაქვსა და გვარა ხუცუბნის სანერგე მეურნეობებში ჩატარდა ცელვითი სამუშაოები.
- შეიწამლა ვაზის ნაკვეთები.
- გაიწმინდა სადრენაჟო არხები.
- ინფორმირებული და კონსულტირებული იქნა 3000-ზე მეტი ფერმერი;

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები:

ციტრუსის ნერგის წარმოება, გვარაში 6 ჰა მიწის ფართობის აგეგმარება და ნერგების დარგვა, გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანების სანერგეში ნარგავების დარგვის წინ ნიადაგის გაფხვიერება(მულჩირება), 480 კვ.მ-ზე პომიდორის სადემონსტრაციო სათბურის მოწყობა, 480 კვ.მ-ზე მარწყვის სადემონსტრაციო სათბურის მოწყობა 4000 სული მსხ. რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება. 200 ფერმერულ მეურნეობაში ნიადაგის აგროქიმიური ანალიზის ჩატარება. 300 ფერმერზე განხორციელდება 20 ტონა ხილის გაყინვისა და შრობის ორგანიზება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

ფერმერთა საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიდწევების პრაქტიკაში დანერგვა, ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის და ცნობიერების ამაღლება. თანამედროვე ტექნიკური სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა. ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიით მიღებული პერსპექტიული, ჯიშთგანახლებული სარგავი მასალებითა და შესაბამისად ფერმერთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		ნიმუშის/სინჯის რაოდენობა							
		2015 წელი	2016წელი	2017წელი	2018 წელი				
ფერმერთა საერთაშორისო გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა, ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციის და ცნობიერების ამაღლება. თანამედროვე ტექნიკური სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა. ფერმერთა უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიით მიღებული პერსპექტიული, ჯიშგანახლებული სარგავი მასალებითა და შესაბამისად ფერმერთა ეკონომიური შესაძლებლობების გაუმჯობესებით.	კონსულტაცია გაეწია ფერმერს	20000	25000	25000	25000	რაოდენობა	ფერმერი	ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი	მონაცემთა შეგროვება ხდება „აგროსერვის ცენტრის“ საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით, სატელეფონო და წერილობითი მიმართევებით
	წარმოებული ციტრუსოვანთა ნერგი	20,000	30,000	45,000	50,000	რაოდენობა	ფერმერი		
	წარმოებული ვაშლის ნერგი, ვაზის ნერგი, მსხლის ნერგი, ფეიხოს ნერგი, ქლიავის ნერგი, ტყემლის ნერგი, ხურმის ნერგი, ბროწეულის ნერგი, ზეთისხილის ნერგი, კაკლის ნერგი,	5000 ვაშლის ნერგი, 20 000 ვაზის ნერგი).	8000 ვაშლის ნერგი, 500 ტყემლის ნერგი, 300 ბროწეულის ნერგი, 40000 ვაზის ნერგი).	10 000 ვაშლის ნერგი, 500 მსხლის ნერგი, 500 ფეიხოს ნერგი, 2000 ქლიავის ნერგი, 1000 ტყემლის ნერგი, 1500 ხურმის ნერგი, 500 ბროწეულის ნერგი, 500 ზეთისხილის ნერგი, 500 კაკლის ნერგი, 60 000 ვაზის ნერგი).	12 000 ვაშლის ნერგი, 1000 მსხლის ნერგი, 1000 ფეიხოს ნერგი, 5000 ქლიავის ნერგი, 1000 ტყემლის ნერგი, 3000 ხურმის ნერგი, 500 ბროწეულის ნერგი, 800 ზეთისხილის ნერგი, 2000 კაკლის ნერგი, 70 000 ვაზის ნერგი).	რაოდენობა	ფერმერი		
	ფერმერულ მეურნეობაში ჩატარებული მიწის აგროქიმიური ანალიზი	200	300	300	300	რაოდენობა	ფერმერი		
	ხელოვნურად განაყოფიერებული ფური	4000	5000	5700	6500	რაოდენობა	ფერმერი		

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0807

პროგრამის დასახელება:

ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	2,258,800	339,700	1,139,700	389,700	389,700
შემოსავლები ლაბორატორიული კვლევებიდან	1,530,000	350,000	370,000	390,000	420,000
სულ ბიუჯეტი:	3,788,800	689,700	1,509,700	779,700	809,700

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება, ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროს გაფართოება საერთაშორისო სტანდარტების (ISO) შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მიზნით სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სფეროში მიღწეული სერვისების ეფექტიანობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის, აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების ნიმუშების ორგანოლექტიკური, ქიმიური, მიკრობიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, სეროლოგიური) პარაზიტოლოგიური და რადიოლოგიური (რადიაქტიური ნივთიერებები) კვლევები; მცენარეთა საკვარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების გამოკვლევა; ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლების დადგენა, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების შემცველი ელემენტების გამოკვლევა; გამოკვლევების შედეგების შესაბამისად სათანადო რეკომენდაციების გაცემა.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
პროგრამა – ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება	3,788,800	689,700	1,509,700	779,700	809,700
სულ პროგრამა	3,788,800	689,700	1,509,700	779,700	809,700

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ლაბორატორიულმა კვლევითმა ცენტრმა გააფართოვა ლაბორატორიული კვლევების სფერო. შეძენილია თანამედროვე აპარატურა (ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრი), საკუთარი შემოსავლები გაზრდილია.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები :

მიმდინარე წელს ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი გეგმავს ლაბორატორიული კვლევების სფეროს გაფართოებას ევროპული რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, თანამედროვე აპარატურის შეძენას და საკუთარი შემოსავლების ზრდას.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა; სამამულო პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდა;

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
	საბაზისო (2014 წ.)	ნიმუშის/სინჯის რაოდენობა							
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
მოსახლეობის ხარისხიანი საკვები პროდუქტებითა და სასმელი წყლით მომარაგებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს რისკ-ფაქტორების შემცირება;	ჩატარებული სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის, აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევები; პრევენციული ღონიძირებები	4500	5000	5500	6000	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი; სტატისტიკის სამმართველო	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“;	მონიტორინგი, სტატისტიკური
წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა	გამოკვლეული მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმები	200	220	250	250	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“; სტატისტიკის სამმართველო		მონიტორინგი, სტატისტიკური
ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება	აგროქიმიურად გამოკვლეული ნიადაგის ნიმუშები	50	70	100	150	რაოდენობა	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“; სტატისტიკის სამმართველო		მონიტორინგი, სტატისტიკური

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება		ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა					
პროგრამული კოდი	დასახელება	2015 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	საკუთარი სახსრები	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
0601	განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა	1,624,110	1,624,110		1,574,110	1,574,110	1,574,110
0602	განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება	922,700	922,700		898,700	898,700	898,700
0603	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	6,472,686	6,472,686		4,950,000	3,700,000	3,700,000
0604	განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა	1,500,980	1,500,980		1,600,680	1,650,680	1,650,680
0605	განათლების ხარისხის გაუმჯობესება	156,200	156,200		260,000	265,000	265,000
0606	გაძლიერებული (ინგლისური ენა, ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლება	168,810	168,810		168,810	173,810	173,810
0607	უწყვეტი განათლება	1,180,200	1,121,400	58,800	1,091,400	1,091,400	1,091,400
0608	საჯარო სკოლების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც ახორციელებენ საპანსიონო მომსახურებას	767,080	767,080		767,080	767,080	767,080
0609	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	4,790,791	4,576,691	214,100	4,368,731	4,373,731	4,383,731
0610	სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	1,553,699	1,491,699	62,000	1,396,699	1,396,699	1,396,699
09	უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	2,350,000	2,350,000		2,350,000	2,350,000	2,350,000
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		21,487,256	21,152,356	334,900	19,426,210	18,241,210	18,251,210

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა		
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0602	

პროგრამის დასახელება:

განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება	
პროგრამის განმახორციელებელი:	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული რესურსცენტრები	
პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:	

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3,618,800	922,700	898,700	898,700	898,700
სულ ბიუჯეტი:	3,618,800	922,700	898,700	898,700	898,700

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

პროგრამის მიზანი:

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

საინფორმაციო ბაზის შექმნა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ;

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ბათუმის რესურსცენტრი	606,600	150,900	151,900	151,900	151,900
ქობულეთის რესურსცენტრი	582,800	145,700	145,700	145,700	145,700
ხელვაჩაურის რესურსცენტრი	601,600	150,400	150,400	150,400	150,400
ქედის რესურსცენტრი	599,600	149,900	149,900	149,900	149,900
შუახევის რესურსცენტრი	628,600	175,900	150,900	150,900	150,900
ხულოს რესურსცენტრი	599,600	149,900	149,900	149,900	149,900
სულ პროგრამა	3,618,800	922,700	898,700	898,700	898,700

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ 229 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან სასწავლო პროცესის ინფორმაციების მიღება;
მიღებული ინფორმაციების მიწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებზე.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა, ტრენინგების ჩატარება, სახელმწიფო პოლიტიკის გატარება საჯარო სკოლებში, კვლევებისა და მონიტორინგის ჩატარება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სკოლებში გაზრდილია სწავლის ხარისხი;
სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსებით;

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა		
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0603	

პროგრამის დასახელება:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა
პროგრამის განმახორციელებელი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	18,822,686	6,472,686	4,950,000	3,700,000	3,700,000
სულ ბიუჯეტი:	18,822,686	6,472,686	4,950,000	3,700,000	3,700,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას ზოგადი განათლების მიღებისათვის და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

პროგრამის აღწერა:

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა, რაც დღემდე ეტაპობრივად ხორციელდება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	13,268,520	4,268,520	3,000,000	3,000,000	3,000,000
საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	2,887,446	1,587,446	1,300,000	0	0
საჯარო სკოლების ინვენტარითა და ლაბორატორიებით აღჭურვა	866,720	266,720	200,000	200,000	200,000
სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში	1,800,000	350,000	450,000	500,000	500,000
სულ პროგრამა	18,822,686	6,472,686	4,950,000	3,700,000	3,700,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული 75% საჯარო სკოლა მოწესრიგდა ინფრასტრუქტურით და გაუმჯობესდა სასწავლო გარემო.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

6 საჯარო სკოლის მშენებლობა და 7 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია
 1 საჯარო სკოლასთან არსებული საპანსიონო კორპუსის მშენებლობა, 1 საპანსიონო კორპუსის რეაბილიტაცია;
 7 საჯარო სკოლის თანამედროვე სასკოლო ინვენტარით აღჭურვა;
 5 საჯარო სკოლის ლაბორატორიით (კომპლექსი) აღჭურვა;
 7 საჯარო სკოლის სპორტდარბაზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სკოლების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია; სკოლები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ლაბორატორიებით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
სკოლების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია; სკოლები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.	საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	6 საჯარო სკოლის მშენებლობა და 7 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, 3 პროექტი	8	6	6	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	1 პანსიონის მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა, 1 პანსიონის რეაბილიტაცია.	1	1	0	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	საჯარო სკოლების ინვენტარითა და ლაბორატორიებით აღჭურვა	7 საჯარო სკოლა აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო ინვენტარით, მათ შორის 5 საჯარო სკოლა თანამედროვე ლაბორატორიით.	8	6	6	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება	გაუმჯობესებულია 7 საჯარო სკოლის სპორტდარბაზის ინფრასტრუქტურა	10	10	10	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	მიღება ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060301	

ქვეპროგრამის დასახელება:

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	4,268,520
სულ ბიუჯეტი:	4,268,520

ქვეპროგრამის მიზანი:

საჯარო სკოლებში სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესება და მოსწავლეებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა.
--

ქვეპროგრამის აღწერა:

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა და აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შემდეგი საჯარო სკოლების შენობების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება: სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2014-2015 წელი); სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლა (მშენებლობა 2015-2016 წელი); სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკვამეხის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2015 წელი); სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2015 წელი); სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის N2 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2014-2015 წელი); სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამებას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია - 2015 წელი); სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ზედა ჭარნალის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2015-2016 წელი); სსიპ ბათუმის #1 საჯარო სკოლის ახალი კორპუსი (მშენებლობა 2015-2016 წწ.); სსიპ ქ. ბათუმის #26 საჯარო სკოლა (პირვ. სართულის რეაბილიტაცია შშმ მოსწავლეებისათვის 2015 წელი); სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხიხაძირის საჯარო სკოლა(გათბობის სისტ. რეაბილიტაცია 2015 წელი); სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ტუნაძეების საჯარო სკოლა (მშენებლობა 2015-2016 წწ.); სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა (სპორტული დარბაზის სახურავი და სკოლის ფასადის რეაბილიტაცია 2015 წელი); სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლა (შენობის ფასადის რეაბილიტაცია); სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწყვალთის საჯარო სკოლა (პროექტირება 2015 წელი); სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს #1 საჯარო სკოლა (პროექტირება 2015 წელი); სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლა (პროექტირება 2015 წელი);

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მშენებლობა-რეაბილიტაცია	13	314290	4085775
ტექნიკური ზედამხედველობა	13	5769	75000
საავტორო ზედამხედველობა	6	1811	10865
ექსპერტიზა	9	5556	50000
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	3	10667	32,000
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	1	1100	13200
მივლინება	72	20	1440
საკომუნიკაციო ხარჯი	12	20	240
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			4,268,520

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტენდერი	X	X	X	
მშენებლობა-რეაბილიტაცია-	X	X	X	X
ექსპერტიზა, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობა	X	X	X	X
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	6 საჯარო სკოლის მშენებლობა და 7 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, 3 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060302

ქვეპროგრამის დასახელება:

საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,587,446
სულ ბიუჯეტი:	1,587,446

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა.

ქვეპროგრამის აღწერა:

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლებში საადმინისტრაციო მომსახურების, საცხოვრებელი პირობების, მკურნალობისა და კვების ხარჯების დაფინანსებას. აჭარაში ოთხი საჯარო სკოლაა, სადაც მოსწავლეებს სთავაზობენ საპანსიონო მომსახურებას, აქედან სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლის პანსიონის ინფრასტრუქტურა კვლავაც სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დასრულდება და ინვენტარით აღიჭურვება სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლის საპანსიონო კორპუსი.
--

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მშენებლობა-რეაბილიტაცია-ინვენტარით აღჭურვა, ექსპერტიზა, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობა	2	793,723	1,587,446
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,587,446

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტენდერის გამოცხადება	X	X	X	X
მშენებლობა-რეაბილიტაცია-ინვენტარით აღჭურვა, ექსპერტიზა, ტექნიკური და საავტორო ზედამხედველობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა	1 პანსიონის მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა, 1 პანსიონის რეაბილიტაცია.	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060303

ქვეპროგრამის დასახელება:

საჯარო სკოლების ინვენტარითა და ლაბორატორიებით აღჭურვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	266,720
სულ ბიუჯეტი:	266,720

ქვეპროგრამის მიზანი:

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა და საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის აღწერა:

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ. და ა.დ.“ ქვეპუნქტის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სათანადო ინვენტარითა და ლაბორატორია/ლაბორატორიებით აღჭურვილი საკლასო ოთახები, კერძოდ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინვენტარითა და ლაბორატორიებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლები აღიჭურვებიან უახლესი და თანამედროვე ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით; სასკოლო დაფებით, საკლასო კარადებითა და მასწავლებლის კუთხით; თანამედროვე და მასწავლებლების საჭიროებებზე მორგებული სამასწავლებლო ოთახით. ასევე, საჯარო სკოლები აღიჭურვება ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიებით. სკოლებში ახალი სასკოლო ინვენტარი იქნება ეკოლოგიურად სუფთა და დააკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ინვენტარით სკოლების აღჭურვა გააუმჯობესებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეამცირებს მათი სქოლიოზისა თუ სხვა დაავადებების რისკს, ხოლო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა მოსწავლეებისათვის უფრო ხარისხიანსა და საინტერესოს გახდის საგაკვეთილო პროცესს.

7 საჯარო სკოლა აღიჭურვება ინვენტარით.

* სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ აგარის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2014-2015 წელი);

* სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2015 წელი);

* სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის N2 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2014-2015 წელი);

* სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამებას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2015)

* სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის საჯარო სკოლა (2009 წელი)

* სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის N2 საჯარო სკოლა (2009 წელი)

* სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა (2008 წელი)

ქვეპროგრამის ფარგლებში ლაბორატორიით აღიჭურვება ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტის თითო საჯარო სკოლა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მოსწავლის ერთადგილიანი მერხი და სკამი (კომპლექტი)	724	130	94,120
საკლასო კარადა (ცალი)	80	250	20,000
სასკოლო დაფა (ცალი)	80	200	16,000

მასწავლებლის მაგიდა და სკამი (კომპლექტი)	80	300	24,000
სამასწავლებლოს ინვენტარი (15 ადგილიანი მაგიდა 15 სკამით) (კომპლექტი)	6	2,100	12,600
ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია (კომპლექტი)	5	20,000	100,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			266,720

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტენდერის გამოცხადება	X	X	X	
ინვენტარის შეძენა/დისტრიბუცია		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საჯარო სკოლების 65% აღჭურვილია ახალი სასკოლო ინვენტარით

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საჯარო სკოლების ინვენტარითა და ლაბორატორიებით აღჭურვა	7 საჯარო სკოლა აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო ინვენტარით, მათ შორის 5 საჯარო სკოლა თანამედროვე ლაბორატორიით.	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060304

ქვეპროგრამის დასახელება:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	350,000
სულ ბიუჯეტი:	350,000

ქვეპროგრამის მიზანი:

საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების კეთილმოწყობა ხელს შეუწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას, ჯანსაღი და სპორტული ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და სხვადასხვა სპორტული სახეობების პოპულარიზაციას მოსწავლეთა შორის.

ქვეპროგრამის აღწერა:

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ.“ ქვეპუნქტის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად უნდა ჰქონდეს სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. აღსანიშნავია, რომ შერჩეული სკოლების რეაბილიტაცია/მშენებლობა განხორციელდა 2005 წლის შემდგომ პერიოდში, სკოლების სპორტულ დარბაზებს რეაბილიტაცია არ შეეხება. 2015 წელს კეთილმოწყობა არანაკლებ 7 (შვიდი) აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი.

- * სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის დაბა ხულოს საჯარო სკოლა;
- * სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა;
- * სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაიოს საჯარო სკოლა;
- * სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭარნალის საჯარო სკოლა;
- * სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა;
- * სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სახალავაშოს საჯარო სკოლა;
- * სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის საჯარო სკოლა

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
რეაბილიტაცია	7	48000	336000
ტექნიკური ზედამხედველობა	7	929	6500
ექსპერტიზა	7	1071	7500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			350,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
რეაბილიტაცია, ექსპერტიზა და ტექნიკური ზედამხედველობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.	გაუმჯობესებულია 7 საჯარო სკოლის სპორტდარბაზის ინფრასტრუქტურა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, სახელმწიფო შეყიდვების დეპარტამენტი, რესურსების მართვის დეპარტამენტი	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა		
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	0604	

პროგრამის დასახელება:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	6,403,020	1,500,980	1,600,680	1,650,680	1,650,680
სულ ბიუჯეტი:	6,403,020	1,500,980	1,600,680	1,650,680	1,650,680

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლის ხარისხის ამაღლება და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა

პროგრამის აღწერა:

- პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებისათვის კონკურსის წესით შეირჩევა და დასაქმდება 36 მასწავლებელი. - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული 25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსება წიგნადი ფონდით და გაიზრდება მხატვრული და სხვადასხვა ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. - სწავლის დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები მაღალმთიანი აჭარიდან, ობოლი, მრვალაშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. - კონკურსის წესით დაფინანსდება საშუალოდ 8 სტუდენტი, 8 ბენეფიციარი და ჩატარდება საშუალოდ 11 ღონისძიება; - 18 დან 32 წლამდე ასაკის საქრთველოს 10 მოქალაქე სტაჟირებას გაივლის ევროპის რომელიმე ქვეყანაში და აჭარის რეგიონში მიღებული იქნება არაუმეტეს 2 უცხოელი სტაჟიორი;
--

დასახელება	სულ	2015	2016	2017	2018
ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის	647,420	159,380	162,680	162,680	162,680
საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარება	400,000	100,000	100,000	100,000	100,000
სტუდენტთა დახმარება	4,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000	1,000,000
უმაღლესი განათლების ხელშეწყობა	1,224,500	224,500	300,000	350,000	350,000
უცხოეთში სტაჟირება	131,100	17,100	38,000	38,000	38,000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	6,403,020	1,500,980	1,600,680	1,650,680	1,650,680

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში • აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში კონკურსის წესით შეირჩა და დასაქმდა 35 მასწავლებელი. • 20 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო მხატვრული და სხვ. ლიტერატურით. • 2013-2014 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრში დაფინანსდა 372 სტუდენტი, ხოლო 2014-2015 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრში 418 სტუდენტი. • საზღვარგარეთ სასწავლებლად გაიგზავნა 4 სტუდენტი, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 4 აპლიკანტმა; ჩატარდა 3 კონფერენცია და დაფინანსდა 10 საჯარო ლექცია. • ევროპის რეგიონებში გაიგზავნა 6 სტაჟიორი და აჭარის რეგიონში მიღებული იქნა 2 უცხოელი სტაჟიორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში კონკურსის წესით შეირჩევა არაუმეტეს 36 მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიან დაახლოებით 3200 მოსწავლეს; 25 საჯარო სკოლა უზრუნველყოფილი იქნება მხატვრული და სხვ. ლიტერატურით; პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია არანაკლებ 570 სტუდენტი; პროგრამით ისარგებლებს საშუალოდ 8 სტუდენტი და 8 ბენეფიციარი, ჩატარდება საშუალოდ 11 ღონისძიება; ევროპის რეგიონებში გაიგზავნება არაუმეტეს 10 სტაჟიორი და აჭარის რეგიონში მიღებული იქნება არაუმეტეს 2 უცხოელი სტაჟიორი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა; მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია მხატვრული და სხვ. ლიტერატურა; გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია ევროპის რეგიონებში გაგზავნილია და აჭარის რეგიონში მიღებულია უცხოელი სტაჟიორები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
განათლების ხელმისაწვდომობა გაზრდილია	მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.	არაუმეტეს 36 მასწავლებელი, დაახლოებით 3200 მოსწავლე	არაუმეტეს 36 მასწავლებელი, დაახლოებით 3200 მოსწავლე	არაუმეტეს 36 მასწავლებელი, დაახლოებით 3200 მოსწავლე	არაუმეტეს 36 მასწავლებელი, დაახლოებით 3200 მოსწავლე	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურცენტრები, საჯარო სკოლები.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება
	მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მხატვრული და სხვ. ლიტერატურა	25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა	25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა	25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა	25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურცენტრები, საჯარო სკოლები.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი
	გაზრდილია უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სტუდენტებისათვის	არანაკლებ 570 სტუდენტი	არანაკლებ 600 სტუდენტი	არანაკლებ 600 სტუდენტი	არანაკლებ 600 სტუდენტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები, სოციალური მომსახურების სააგენტო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება. მიღება-ჩაბარების აქტი
	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია	საშუალოდ 8 სტუდენტი, 8 ბენეფიციარი, საშუალოდ 11 ღონისძიება	საშუალოდ 22 ბენეფიციარი, საშუალოდ 15 ღონისძიება	საშუალოდ 26 ბენეფიციარი, საშუალოდ 15 ღონისძიება	საშუალოდ 30 ბენეფიციარი, საშუალოდ 15 ღონისძიება	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტი, აჭარის ა/რ ტერიტორიაზე მოქმედი აკრედიტებული უნივერსიტეტები,	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი	ხელშეკრულება. მიღება-ჩაბარების აქტი
	ევროპის რეგიონებში გაგზავნილია და აჭარის რეგიონში მიღებულია უცხოელი სტაჟიორები.	გაგზავნილია არაუმეტეს 10; მიღებულია არუმეტეს 2	გაგზავნილია არაუმეტეს 15; მიღებულია არუმეტეს 2	გაგზავნილია არაუმეტეს 15; მიღებულია არუმეტეს 2	გაგზავნილია არაუმეტეს 15; მიღებულია არუმეტეს 2	რაოდენობა	ევროპის რეგიონთა ასამბლეის პროფესიული გაცვლითი პროგრამა „ევროდისია“	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აპარატი	ხელშეკრულება. მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა		
------------------------------------	--	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060401
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება:

ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	159,380
სულ ბიუჯეტი:	159,380

ქვეპროგრამის მიზანი:

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების შერჩევა და იმ სკოლებში დასაქმება, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა. რესურსცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციით სკოლებში არსებული ვაკანსიების შესახებ დგინდება, რომ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის (ქედა, შუახევი, ხულო) სკოლებში ამა თუ იმ საგნის მასწავლებელი საერთოდ არ არსებობს. განსაკუთრებით პრობლემატურია ინგლისური ენის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის ვადით შერჩეულ მასწავლებლებთან გაფორმდება ხელშეკრულება 2015-2016 სასწავლო წლისათვის. დარჩენილ ვაკანსიებზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კონკურსის წესით შეარჩევს მასწავლებლებს, რომლებიც იმუშავენ მუნიციპალიტეტების იმ საჯარო სკოლებში, სადაც ამის განსაკუთრებული საჭიროებაა.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება არ ააქვთ მოქმედ პედაგოგებს. ქვეპროგრამის მონაწილეები შეირჩევიან ორ ეტაპიანი კონკურსის საფუძველზე, რომელიც შედგება წერითი გამოცდისა და გასაუბრებისაგან. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი კრიტერიუმები:

- უმაღლესი განათლება - ბაკალავრის ხარისხი;
- უნდა იცნობდნენ ეროვნულ სასწავლო გეგმას;
- უნდა შეეძლოთ სწავლების თანამედროვე მეთოდის გამოყენება;
- ადვილად უნდა ეგუებოდნენ განსხვავებულ გარემოსა და ცვლილებებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეული მასწავლებლები დაიცვრიან სკოლებში არსებული ვაკანტური საგაკვეთილო საათებით. აღნიშნული საქმიანობისათვის ისინი მიიღებენ ანაზღაურებას 2005 წლის 21 ოქტომბრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის "საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" №576 ბრძანების შესაბამისად. ასევე, შერჩეული მასწავლებლები სრულ და არასრულ თვეზე დამატებით მიიღებენ შრომის ანაზღაურებას 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (10 თვე)	36	400	144,000
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	1	825	9900
მივლინება	5	15	75
კომუნიკაცია	1	30	360
სახელმძღვანელო	200	18	3600
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			1445
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			159,380

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (10 თვე)	X	X	X	X
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	X	X	X	X
მივლინება	X	X	X	X
კომუნიკაცია	X	X	X	X
სახელმძღვანელო	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში გაზრდილია განათლების ხელმისაწვდომობა.	არაუმეტეს 36 მასწავლებელი, დაახლოებით 3200 მოსწავლე	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები	წლიური	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060402

ქვეპროგრამის დასახელება:

საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	100,000
სულ ბიუჯეტი:	100,000

ქვეპროგრამის მიზანი:

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ხელშეწყობა და საჯარო სკოლების წიგნადი ფონდით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები შეივსება ქართული და მსოფლიო კლასიკოსების, საბავშვო, საყმაწვილო, შემეცნებითი ხასიათის, ლექსიკონებითა და სხვა სახის ლიტერატურით. მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული წიგნებით სკოლების აღჭურვა გააუმჯობესებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს. ქვეპროგრამის ფარგლებში 2015 წელს აქცენტი გაკეთდება ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებზე, რადგანაც მოსწავლეებს მუნიციპალიტეტებში ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი საბიბლიოთეკო ფონდზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტირებული/ახალაშენებული 25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს შესაბამისი პირობები, შეივსება მხატვრული და სხვ. ლიტერატურით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მხატვრული და სხვ. ლიტერატურა	10,000	10	100,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			100,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ტენდერის გამოცხადება		X	X	
დისტრიბუცია		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მხატვრული და სხვ. ლიტერატურა
--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მხატვრული და სხვ. ლიტერატურა	25 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შევსებულია წიგნადი ფონდით	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060403

ქვეპროგრამის დასახელება:

სტუდენტთა დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,000,000
სულ ბიუჯეტი:	1,000,000

ქვეპროგრამის მიზანი:

უმადლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან:

1. 2012 წელს შერჩეული ბენეფიციარები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 05 ივნისის N86 განკარგულებით დამტკიცებული 2012 წლის სტუდენტების დახმარების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შერჩეული ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს - სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
2. 2013 წელს შერჩეული ბენეფიციარები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 25 იანვრის N15 განკარგულებით დამტკიცებული 2013 წლის სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარები, რომლებიც გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ბარიერს - სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
3. 2014 წელს შერჩეული ბენეფიციარები - 2011, 2012 და 2013 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
4. 2015 წელს შერჩეული ბენეფიციარები - 2012, 2013 და 2014 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.

2015 წელს ბენეფიციარების შერჩევის წესი

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხით დაფინანსდება 2012, 2013 და 2014 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული არანაკლებ 152 სტუდენტი.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის დაფინანსება გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება სტუდენტზე გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ სემესტრის მიხედვით. იმ შემთხვევაში თუკი სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებს სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივ ოდენობას, სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მისი სწავლის საფასური შეივსება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, სამინისტროს მიერ დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს იმ პირმა (შემდგომში სტუდენტი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად 2012, 2013 და 2014 წელს ჩაირიცხა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვა სახელმწიფო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და განეკუთვნება ამ პროგრამით დადგენილ ერთ-ერთ კატეგორიას.

აბიტურიენტი, რომელმაც მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლება, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვერ მიიღებს დაფინანსებას სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში.

2015 წელს შერჩეულ ბენეფიციარებზე თანხის გაცემის წესი

სტუდენტების დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა გადაეცემა შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს:

1. 2012, 2013 და 2014 წელს ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო);

2. 2012, 2013 და 2014 წელს ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო);

3. 2012, 2013 და 2014 წელს ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი);

4. 2012, 2013 და 2014 წელს ჩარიცხულ სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე;

იმ სტუდენტის მონაცემები, რომელიც ერთდროულად განეკუთვნება ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიას, დაფინანსების მოსაპოვებლად განიხილება პირველი კატეგორიის მიხედვით, ხოლო შემდგომ ამ ქვეპროგრამით განსაზღვრული კატეგორიების ფარგლებში თანმიმდევრობის მიხედვით.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ პირველ კატეგორიაში შემავალი 2012, 2013 ან 2014 წელს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ ქვეპროგრამაში, აღემატება შესაბამისი კატეგორიისათვის გამოყოფილი ადგილების (შემდგომში ადგილი) რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის წინა სემესტრის (მაგალითად, 2014 წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის გამოყენებულ იქნება 2014-2015 სასწავლო წლის პირველი სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების ქულა) საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის საფუძველზე. სტუდენტები, რომელთა საშუალო აკადემიური მოსწრება ნაკლებია 71%-ზე, ვერ მიიღებენ ქვეპროგრამაში მონაწილეობას.

თუ სტუდენტის წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი ქულა, თანხა გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულების ჯამით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე რეიტინგის მიხედვით. თუ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს თანაბარი აბსოლუტური ქულების ჯამი, აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფინანსება გაიცემა ქვემოთ მოცემული კრიტერიუმებით, შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით:

1. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგადი უნარების გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

2. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

3. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უცხოური ენის გამოცდაში მიღებული უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობაზე, დარჩენილი რაოდენობა დამატება სხვა კატეგორიას თანმიმდევრობის დაცვით.

თუ ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა დარჩება რომელიმე კატეგორიაში ეკონომიის სახით, დარჩენილი თანხა გადანაწილდება ადგილების კატეგორიებში თანაბრად დამატების გზით. თუ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა დარჩება ეკონომიის სახით, აღნიშნული თანხა გადანაწილდება ადგილების კატეგორიებში თანაბრად დამატების გზით თანხის ამოწურვამდე.

სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი წარმოადგენს განცხადებას, განაცხადისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა მტკიცდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

თუკი სტუდენტი შეინარჩუნებს 71% და მეტ საშუალო აკადემიურ მოსწრებას ის ავტომატურად ხდება პრეტენდენტი შემდეგი სემესტრის დაფინანსების მიღებაზე.

აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, დამრგვალების გარეშე.

დაფინანსებული სტუდენტი, რომელსაც ბოლო სემესტრის რომელიმე საგანში ექნება F და FX შეფასება გამოეთიშება პროგრამას.

სტუდენტებს, რომლებიც ვერ გადალახავენ აკადემიური მოსწრების ბარიერს, უფლება აქვთ თავიდან გაიარონ კონკურსი სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში. სტუდენტს, რომელსაც სტუდენტის სტატუსი შეუჩერდება საზღვარგარეთ სწავლის ან ჯანმრთელობის მიზეზების გამო, შეუნარჩუნდება დაფინანსება, სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის პროგრამის არსებობის შემთხვევაში.

დაინტერესებულმა პირებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში.

მოპოვებული დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გაიაროს კონკურსი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაუმჯობესებულ დაფინანსებას, სხვა შემთხვევაში კი შეუნარჩუნდება ძველი დაფინანსება.

სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსება ჩაირიცხება სტუდენტის სახელზე უნივერსიტეტის ანგარიშზე სწავლის საფასურის დასაფარად. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში არ მოხდება სტუდენტის სწავლის საფასურის დავალიანებების დაფარვა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ბენეფიციარის დაფინანსება	951	1049	998,000
რეკლამა	1	1000	1000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	1	1000	1000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,000,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საბუთების მიღება	X		X	
ბენეფიციარების გამოვლენა	X	X	X	X
დაფინანსებული სტუდენტების აკადემიური მოსწრების დოკუმენტების გადამოწმება	X	X	X	X
დაფინანსება	X	X	X	X
რეკლამა	X		X	
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

უმადლესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიკიარებისათვის.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ, ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა და მაღალმთიანი რეგიონის ბენეფიარტათვის.	არანაკლებ 570 სტუდენტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, აკრედიტებული უნივერსიტეტები, სოციალური მომსახურების სააგენტო	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა	
------------------------------------	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060404
----------------------------------	--------

ქვეპროგრამის დასახელება:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	224,500
სულ ბიუჯეტი:	224,500

ქვეპროგრამის მიზანი:

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სწავლა საზღვარგარეთ:

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ან კანადაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მოპოვების დამადასტურებელ დოკუმენტს. უპირატესობა მიენიჭება იმ მოქალაქეებს, რომლებიც წარმოადგენენ სამინისტროს მიერ განსაზღვრულ უნივერსიტეტებში სწავლის უფლების მოპოვების დამადასტურებელ დოკუმენტს.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც სამაგისტრო (21-დან 35 წლამდე ასაკის მოქალაქე) და სადოქტორო (25-დან 45 წლამდე ასაკის მოქალაქე) ასევე საბაკალავრო პროგრამებზე (18-დან 25 წლამდე ასაკის მოქალაქე) ჩარიცხულ სტუდენტებს. უპირატესობა მიენიჭება სამაგისტრო, სადოქტორო და საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს აღნიშნული თანმიმდევრობის დაცვით.

ქვეპროგრამის მონაწილე სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯების (მაგ. სწავლის საფასური, ცხოვრების ხარჯები, სამედიცინო დაზღვევა, სასწავლო რესურსების შეძენა და ა.შ.) დაფინანსების მიზნით სამინისტროდან მიიღებს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემლის სახით არაუმეტეს 12500 ლარის ოდენობით. აღნიშნული დახმარება გაიცემა 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის და 2015 - 2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ხარჯების დაფარვის მიზნით (2015 საბიუჯეტო წელი). სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს დაფინანსებას ერთი სემესტრისათვის, ავტომატურად ხდება პრეტენდენტი მომდევნო სემესტრის დაფინანსების მიღებაზე, თუკი ის შეინარჩუნებს მაღალ აკადემიურ მოსწრებას, რაც განისაზღვრება საკონკურსო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. დაფინანსება გაიცემა მაქსიმუმ ორი სემესტრის მანძილზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე. ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები ქვეპროგრამით დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარებენ მიღებულ გამოცდილებას.

კვალიფიკაციის ამაღლება:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მეცნიერის სტაჟირებით მივლინებას უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში, ხელოვნებისა და სამეცნიერო - კვლევით ცენტრებში. დახმარება გაიცემა იმ განმცხადებლებზე, რომლებიც სტაჟირებას გაივლიან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და კანადაში.

ფინანსური დახმარების მოსაპოვებლად განაცხადის წარმოდგენა შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 45 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: არის დამამთავრებელი კურსის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური (მასთან გათანაბრებული) ხარისხი.

კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება, ახალგაზრდა მეცნიერთათვის საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და ხელშეწყობა გამოცდილების შეძენაში.

ფინანსური დახმარების ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერს შეიძლება აუნაზღაურდეს: მგზავრობის, ვიზის, ცხოვრებისა და სხვა ხარჯები. ქვეპროგრამის მონაწილე მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 3000 ლარის ოდენობით ერთჯერადი გასაცემლის სახით.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

ქვეპროგრამის ბენეფიციარები ქვეპროგრამით დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარებენ მიღებულ გამოცდილებას.

კონფერენციები და საჯარო ლექციები

ა) სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი და ხელი შეუწყოს ქართველი მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუდმივად ან ხელშეკრულებით მომუშავე მეცნიერებს – აკადემიური ხარისხის (მაგისტრი, დოქტორი) ან სამეცნიერო წოდების (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) მქონე მოქალაქეებს; აგრეთვე მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობენ ზემოთაღნიშნული იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციებში. დახმარება გაიცემა შემდეგი სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი. უპირატესობა მიენიჭებათ იმ განმცხადებლებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის მონაწილე მიიღებს ფინანსურ დახმარებას არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობით ერთჯერადი გასაცემლის სახით, რომელშიც შეიძლება შევიდეს მგზავრობის, ვიზის, ცხოვრებისა და სხვა ხარჯები.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

ბ) საჯარო ლექციები

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ორგანიზებას გაუწევს საჯარო ლექციების მოწყობას აჭარაში. საჯარო ლექციების თემატიკის განსაზღვრის მიზნით მინისტრის ბრძანებით შეიქმნება კომისია, რომელიც ისარგებლებს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით, საჯარო ლექციებს ორგანიზებას გაუწევს სამინისტრო. ლექციები გაიმართება სხვადასხვა აუდიტორიისათვის: სტუდენტები, ლექტორები, მასწავლებლები, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები და სხვ. ლექციების თემატიკა განისაზღვრება ქვეპროგრამის ფარგლებში შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. უპირატესობა მიენიჭება განათლების თემატიკას - მაგ. განათლების მართვა და პოლიტიკა, განათლების ხარისხი, განათლების ხელმისაწვდომობა, თანამედროვე ტენდენციები და პრობლემები და სხვ. საჯარო ლექციის თემატიკა შეიძლება მოიცავდეს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების ასპექტებს. ლექციების ორგანიზების ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს ჰონორარი, ტრანპორტირების, ღამისთევისა და კვების ხარჯები, თვალსაჩინოებების მომზადების ხარჯები და ა.შ.

გ) კონფერენციის მოწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს კონფერენციის მოწყობას, დაფინანსების მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (იურიდიული მისამართი) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს. ასევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს.

სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა ერთი კონფერენციისათვის არ უნდა აღემატებოდეს 20 000 ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- კონფერენციის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერსონალის საზღაური;
- კონფერენციის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;
- კონფერენციის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;
- კონფერენციის მონაწილეთა კვების ხარჯი;
- კონფერენციის მოსაწყობად საჭირო აპარატურის შესყიდვის ან/და დაქირავების ხარჯი;
- კონფერენციის ჩატარებისათვის საჭირო დარბაზის დაქირავების ხარჯები;
- კონფერენციის მასალების დაბეჭდვა;
- სხვა საქონელი და მომსახურება (საკანცელარიო და სხვ.).

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

კონფერენცია შეიძლება მოეწყოს ნებისმიერ თემაზე, რომელიც მნიშვნელოვანია რეგიონისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

დ) საზაფხულო სკოლა

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს საზაფხულო სკოლ(ებ)ის ორგანიზებასა და არსებულ საზაფხულო სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობას.

პროექტის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს:

საზაფხულო სკოლის ორგანიზატორთა ან/და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება;

საზაფხულო სკოლის მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი;

საზაფხულო სკოლის მონაწილეთა ტრანსპორტირების ხარჯი;

საზაფხულო სკოლის მონაწილეთა კვების ხარჯი;

საზაფხულო სკოლისათვის საჭირო ფართის დაქირავების ხარჯი;

სხვა საქონლისა და მომსახურების (საკანცელარიო და სხვ.) ხარჯი.

საზაფხულო სკოლის მოწყობის დაფინანსების მიღება შეუძლიათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (იურიდიული მისამართი) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს. ასევე, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს.

სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა ერთი პროექტისათვის არ უნდა აღემატებოდეს

10 000 ლარს.

ქვეპროგრამის ბენეფიციარებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია ღია კონკურსის საფუძველზე.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, შეფასების კრიტერიუმები და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სწავლა საზღვარგარეთ	8	12,500	100,000
კვალიფიკაციის ამაღლება	3	5,000	15,000
საჯარო ლექცია	6	2,500	15,000
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	5	2,500	12,500
კონფერენციის მოწყობა	3	20,000	60,000
საზაფხულო სკოლა	2	10,000	20,000
ქვეპროგრამის განხორციელების ხელშეწყობა		2,000	2,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			224,500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სწავლა საზღვარგარეთ	X	X	X	X
კვალიფიკაციის ამაღლება	X	X	X	X
საჯარო ლექცია	X	X	X	X
სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა	X	X	X	X
კონფერენციის მოწყობა	X	X	X	X
საზაფხულო სკოლა	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების ხელშეწყობა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
საგანმანათლებლო და სამეცნირო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება ხელმისაწვდომია	საშუალოდ 8 სტუდენტი; 8 ბენეფიციარი; საშუალოდ 11 ღონისძიება	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, უნივერსიტეტები.	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060405

ქვეპროგრამის დასახელება:

უცხოეთში სტაჟირება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	17,100
სულ ბიუჯეტი:	17,100

ქვეპროგრამის მიზანი:

უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის მიზანია კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად ახალგაზრდების მომზადება. უცხოეთში სტაჟირების ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს დაუბრუნდებიან კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ რეგიონის ადმინისტრაციულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და მომსახურების სფეროს მუშაობის დონის ამაღლების საქმეში.

ქვეპროგრამის საქმიანობის აღწერა:

ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრებ 18-დან 32 წლამდე ასაკის საქართველოს 10 მოქალაქეს, რომელსაც აქვს პროფესიული ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ფლობს იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც სტაჟირებას გაივლის.

სტაჟირების პერიოდი, რომლის ხანგრძლივობა 3-დან 7 თვემდეა, მოიცავს ერთთვიან უცხო ენის ინტენსიურ კურსს, პროფესიულ პრაქტიკას პროგრამის მონაწილე ევროპის რომელიმე რეგიონის კერძო ან საჯარო სტრუქტურაში და მიმდები რეგიონის მიერ შემუშავებულ კულტურულ პროგრამას. სტაჟირის ფინანსდება მასპინძელი რეგიონის ბიუჯეტიდან და აკომოდაციისა (შეწოვა/შეთანხმება) და კვების ხარჯების დაფარვის მიზნით, მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას 700-დან 800 ევრომდე. სტაჟირის დაზღვეული იქნება ევროპის რეგიონთა ასამბლეის მიერ. სტაჟირების პერიოდში, სტაჟირის მეურვეობას და სტაჟირების მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს მიმდები რეგიონის მიერ დანიშნული ადგილობრივი კოორდინატორი. მიმდები რეგიონი არ აანაზღაურებს სტაჟირის მგზავრობისა და ვიზის ხარჯებს.

ქვეპროგრამა ემყარება ახალგაზრდების ურთიერთგაცვლის პრინციპს, აქედან გამომდინარე, აჭარის რეგიონში 3 -თვიანი ვადით მოწვეულ იქნება 2 უცხოელი სტაჟირი, რომელთა მიღების ხარჯები დაიფარება ქვეპროგრამის ბიუჯეტიდან.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის სახელზე;
- სამინისტროს მიერ შემუშავებული სპეციალური სააპლიკაციო ფორმა;
- საერთაშორისო პასპორტისა და პირადობის მოწმობის ასლი;
- მოქალაქის საცხოვრებელი მისამართის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ერთი ფერადი ფოტოსურათი (3X4).

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიზნით წინა წლებში დარეგისტრირებული პირები, რომელთა კანდიდატურა მაღალი საკონკურსო პირობების გამო ვერ შეირჩა პარტნიორი რეგიონების მიერ, ხელახალი რეგისტრაციისათვის წარმოადგენენ მხოლოდ განცხადებას. საჭიროების შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია მოსთხოვოს აპლიკანტს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 10 იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით. აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება 2 ეტაპად:

პირველ ეტაპზე, სამინისტროში დარეგისტრირებულ აპლიკანტთა პირად საქმეს შეისწავლის მინისტრის ბრძანებით შექმნილი „უცხოეთში სტაჟირების“ ქვეპროგრამის ფარგლებში გასაგზავნ სტაჟირთა შესარჩევი კომისია. კომისია განიხილავს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან და აპლიკანტთან ზეპირი გასაუბრების საფუძველზე ამოწმებს მათ მოტივაციას და უცხო ენის ცოდნის დონეს. კომისიის გადაწყვეტილებით,

პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატს, უფლება ეძლევა დარეგისტრირდეს პროგრამა ევროოდისეას ვებ-გვერდის (www.eurodysee.eu) მეშვეობით, სააპლიკაციო ანკეტის განთავსების გზით. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კანდიდატის სააპლიკაციო ანკეტის გადაგზავნას პროგრამის ფარგლებში არსებულ ვაკანსიებზე. მეორე ეტაპზე, მიმღები რეგიონის კოორდინატორი, შეისწავლის კანდიდატის სააპლიკაციო ანკეტას და მასთან სატელეფონო გასაუბრების საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას სტაჟიორის შერჩევასთან დაკავშირებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტრო საბოლოოდ შერჩეულ კანდიდატებზე გასცემს ფინანსურ დახმარებას ერთჯერადი გასაცემის სახით - 950 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბენეფიციარები სტაჟირების დასრულების შემდეგ სამინისტროში წარმოადგენენ სტაჟირების სერტიფიკატს და ქვეპროგრამით დაინტერესებულ მხარეებს გაუზიარებენ მიღებულ გამოცდილებას.

ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველი უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არანაკლებ ექვსი თვით ადრე განცხადების შემოტანის დღიდან

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტაჟიორის თანადაფინანსების მიზნით ფინანსური დახმარება, ერთჯერადი გასაცემელი	10	950	9,500
უცხოელი სტაჟიორის მიღების ხარჯები (3 თვით)	2	3000	6,000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა (უცხოელი სტაჟიორების კულტურული პროგრამის ხარჯები, რეკლამა)	-	1600	1600
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			17,100

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სტაჟიორის თანადაფინანსების მიზნით ფინანსური დახმარება, ერთჯერადი გასაცემელი	X	X	X	X
უცხოელი სტაჟიორის მიღების ხარჯები (3 თვით)	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა (უცხოელი სტაჟიორების კულტურული პროგრამის ხარჯები)	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ სპეციალისტთა რაოდენობა

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ევროპის რეგიონებში გაგზავნილია და აჭარის რეგიონში მიღებულია უცხოელი სტაჟიორები	გაგზავნილია საშუალოდ 10; მიღებულია საშუალოდ 2	რაოდენობა	ევროპის რეგიონთა ასამბლეის პროფესიული გაცვლითი პროგრამა „ევროოდისია“	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0605

პროგრამის დასახელება:

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	946,200	156,200	260,000	265,000	265,000
სულ ბიუჯეტი:	946,200	156,200	260,000	265,000	265,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

განათლების ხარისხის ამაღლება. მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამები ხელს შეუწყობს სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მოსწავლეების ჩართულობას სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას.

დასახელება	სულ	2015	2016	2017	2018
სასკოლო კლუბების ხელშეწყობა	148,700	34,700	38,000	38,000	38,000
კონკურსები და ოლიმპიადები	607,500	121,500	162,000	162,000	162,000
ზოგადი განათლების ხელშეწყობა	190,000	0	60,000	65,000	65,000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	946,200	156,200	260,000	265,000	265,000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩა და დაფინანსდა 11 სასკოლო კლუბი.

კონკურსებისა და ოლიმპიადების კატეგორიაში ჩატარდა 4 კონკურსი (პოეზიის, ხატვის, ლიტერატურული მარათონის და ქართულ ენასა და მათემატიკაში დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის).

საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდა 6 საგანში.

მოეწყო ექსკურსიები - კონკურსის წესით შერჩეული 10 მოსწავლისათვის თურქეთის სამეცნიერო ბანაკში და 173 მედალოსანი მოსწავლისათვის შემეცნებითი ექსკურსია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული იყო 15000-ზე მეტი მოსწავლე.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეული და დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბი;

დაგეგმილ ღონისძიებებში ჩაერთვება არანაკლებ 15000 მოსწავლე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლებიდან;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო;

სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია;

სკოლებში გაზრდილია მასწავლებელთა მოტივაცია;

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (აბიექტური ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
გაზრდილია სწავლის მოტივაცია	გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	არანაკლებ 15000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი
	სკოლებში გაზრდილია მასწავლებელთა მოტივაცია		წახალისებულია არანაკლებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 12 თანამშრომელი, დაფინანსებულია საშუალოდ 10 პროექტი	წახალისებულია არანაკლებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 12 თანამშრომელი, დაფინანსებულია საშუალოდ 10 პროექტი	წახალისებულია არანაკლებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 12 თანამშრომელი, დაფინანსებულია საშუალოდ 10 პროექტი	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060501

ქვეპროგრამის დასახელება:

სასკოლო კლუბების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	34,700
სულ ბიუჯეტი:	34,700

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სასკოლო კლუბების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დააფინანსებს სასკოლო კლუბების ინიციატივებს. დაფინანსების მაქსიმალური თანხა შეადგენს 3 000 (სამი ათასი) ლარს.

გამარჯვებული სასკოლო კლუბის პროექტებს გამოავლენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლუბების პროექტის განაცხადი უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

1. თავფურცელი
2. ინფორმაცია განმცხადებლის და შემსრულებლის შესახებ
3. პროექტის აღწერა და შესრულების განრიგი
4. ბიუჯეტი

შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომლებიც:

1. წარმოადგენენ პროექტის განაცხადს სრული, ორგანიზებული და თანმიმდევრული ფორმით
2. დამაჯერებლად დაასაბუთებენ პროექტის ეფექტურობას
3. ჩართავენ თავიანთ აქტივობებში საზოგადოების სხვადასხვა ფენებს
4. უზრუნველყოფენ პროექტის საჯაროობას
5. აპლიკანტებს ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებიდან
6. აპლიკანტებს, რომლებსაც ქვეპროგრამის ფარგლებში 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში არ მიუღიათ დაფინანსება

შენიშვნა: შესაძლებელია დაფინანსდეს რამოდენიმე კლუბის ერთობლივი ინიციატივაც. კერძო სკოლების ინიციატივები დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგენენ ერთობლივ პროექტს საჯარო სკოლასთან ერთად. ამ შემთხვევაში თანხა ჩაირიცხება საჯარო სკოლის ანგარიშზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩარიცხული თანხებით სახელმწიფო შესყიდვებს განახორციელებს დაფინანსებული საჯარო სკოლა.

დასახელება	პროდუქტები		
	საშ. რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სასკოლო კლუბი	8	3000	24,000
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება (12 თვე)	1	825	9900
მივლინება	10	15	150
კომუნიკაცია (12 თვე)	1	30	360

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	-	290	290
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			34,700

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სასკოლო კლუბის დაფინანსება		X	X	
კოორდინატორის შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
მივლინება	X	X	X	X
კომუნიკაცია	X	X	X	X
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გაუმჯობესებულია სასწავლო გარემო	დაფინანსებულია არანაკლებ 8 სასკოლო კლუბის ინიციატივა	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება- ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060502

ქვეპროგრამის დასახელება:

კონკურსები და ოლიმპიადები

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	121,500
სულ ბიუჯეტი:	121,500

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება
--

ქვეპროგრამის აღწერა:

საგნობრივი ოლიმპიადა 2015 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს ჩაატაროს საგნობრივი ოლიმპიადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდება 2 ტურად შემდეგ საგნებსა და კლასებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა - VII, VIII, IX, X, XI-XII კლასები; 2. ინგლისური ენა - VII, VIII, IX, X, XI-XII კლასები; 3. მათემატიკა - VII, VIII, IX, X, XI-XII კლასები; 4. ფიზიკა - IX, X, XI-XII კლასები; 5. ქიმია - X, XI-XII კლასები; 6. ბიოლოგია - IX, X, XI და XII კლასები; რუსული სექტორის მოსწავლეებისათვის ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში ოლიმპიადა ჩატარდება რუსულ ენაზე. ოლიმპიადის ორივე ტური ჩატარდება ტესტირების ფორმით. საგნობრივ ოლიმპიადაში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კლასების მიხედვით გამოვლენილი საპრიზო ადგილის მფლობელები, წარჩინებული სკოლები და გამორჩეული მასწავლებლები სამინისტროსაგან მიიღებენ ჯილდოს. პოეზიის კონკურსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს ჩაატაროს კონკურსი პოეზიაში (პოეტ დეკლამატორთა კონკურსი), რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოავლინოს ნიჭიერი და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული მოსწავლეები. პოეზიის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საჯარო და კერძო სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. საპრიზო ადგილზე გასულ კონკურსანტებს გადაეცემათ დიპლომები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები. პირველ ათ ადგილზე გასული მოსწავლეებისათვის ჩატარდება თემატური ვორკშოპი. ლიტერატურული მარათონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს ჩაატაროს ლიტერატურულ მარათონი, რომლის მიზანია კითხვის პოპულარიზაცია მოსწავლეებში.
--

მარათონში მონაწილეობის მიღება შეეძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების VII-XII კლასის მოსწავლეებს.

კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. საპრიზო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს გადაეცემათ სერთიფიკატები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები.

სახვითი ხელოვნების კონკურსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს ჩაატაროს ხატვის კონკურსი, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების აღმოჩენა და წახალისება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს.

კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. საპრიზო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს გადაეცემათ დიპლომები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები. ჩატარდება თემატური ვორკშოპი.

ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს განახორციელოს შემეცნებითი ტურები საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ წარჩინებული მოსწავლეებისათვის. წარჩინებულ მოსწავლეებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ სხვადასხვა ისტორიული ადგილები, ასევე მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. ექსკურსიებში მონაწილეობის მიღება შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედ, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მოსწავლეებს.

კონკურსი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გეგმავს ჩაატაროს კონკურსი მათემატიკასა და ქართულ ენაში დაწყებითი საფეხურის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის. კონკურსში მონაწილეობის პირობები და ვადები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს შესაბამისი კომისია. საპრიზო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს გადაეცემათ დიპლომები და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საგნობრივი ოლიმპიადა	1	63,000	63,000
პოეზიის კონკურსი; ლიტერატურული მარათონი	1	8,000	8,000
სახვითი ხელოვნების კონკურსი	1	4,500	4,500
კონკურსი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის მათემატიკასა და ქართულ ენაში	1	16,000	16,000
ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ			30,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			121,500

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
საგნობრივი ოლიმპიადა	X	X	X	X
პოეზიის კონკურსი; ლიტერატურული მარათონი	X	X	X	X
სახვითი ხელოვნების კონკურსი	X	X	X	X
კონკურსი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის მათემატიკასა და ქართულ ენაში	X	X	X	
ექსკურსიები საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ		X	X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სკოლებში გაზრდილია სწავლის მოტივაცია	არანაკლებ 15 000 მოსწავლე ჩართულია კონკურსებსა და ოლიმპიადებში	რაოდენობა	განათლების დეპარტამენტი, რესურსცენტრები, საჯარო სკოლები	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	ხელშეკრულება, მიღება- ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

0606

პროგრამის დასახელება:

გადლიერებული (ინგლისური ენა, ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ-ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლის უცხო ენების გაძლიერებული სწავლება;
 სსიპ-ქალაქ ბათუმის N6 საჯარო სკოლის გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკისა და ინკლუზიური სწავლება.

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	685240	168810	168810	173810	173810
სულ ბიუჯეტი:	685240	168810	168810	173810	173810

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

- სკოლაში უცხო ენების (განსაკუთრებით ინგლისური ენის) გაძლიერებული, ინტენსიური შესწავლა თანამედროვე, საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით;
- ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის გამო სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სირთულეების დასაძლევად და მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად შესაბამისი პირობების შექმნა.

პროგრამის აღწერა:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენისა და ფიზიკა - მათემატიკის გაძლიერებული სწავლების მიზნით ქ. ბათუმის საჯარო სკოლის მოსწავლეები უცხო ენის სწავლების გაძლიერებულ კურსებს გაივლიან ქ. ბათუმის №4 საჯარო სკოლაში და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებულ კურსს ქ. ბათუმის №6 სკოლაში. საგნის/საგნების გაძლიერებულად (სპეციალიზირებულად) სწავლება მსოფლიოში მიღებული და გავრცელებული პრაქტიკაა. საგნის/საგნების სპეციალიზირებულად სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებას, სპეციალიზირებული სკოლის სტატუსი ხელს უწყობს სკოლებს შორის კონკურენციასა და არჩევანის გაზრდას. სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს. ქ. ბათუმის სპეციალური №6 საჯარო სკოლაში მასწავლებლები ზრუნავენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შშმ მოსწავლეები სასწავლო პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნებიან მათთვის საჭირო მომსახურებით.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
სსიპ-ქალაქ ბათუმის N4 საჯარო სკოლის უცხო ენების გაძლიერებული სწავლება	140000	35000	35000	35000	35000

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსწავლეები შეისწავლიან მხატვრული ქსოვის, ავეჯის, ხეზე კვეთისა და ქვაზე კვეთისა და ტიხრული მინანქრის დამზადებას.	არანაკლებ 46 მოსწავლე გაივლის სამხატვრო ხელოვნების სრულ კურსს	რაოდენობა	ა(ა)იპ ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა	წლის განმავლობაში	ა(ა)იპ ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა	ხელშეკრულებები
	ჩატარდება არანაკლებ 8 ღონისძიება					ხელშეკრულებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060907

ქვეპროგრამის დასახელება:

ა.(ა)ი.პ. ქ.ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა.(ა)ი.პ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	320,600
იჯარა	20,000
სხვა შემოსავლები	10,000
სულ ბიუჯეტი:	350,600

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა და ფიზიკური გაჯანსაღება, ცოდნის გაღრმავება, მათი ინტელექტის, მსოფლმხედველობისა და ინტერესების სფეროების გაფართოება, ქვეყნის ისტორიული წარსულის, ფოლკლორული და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, მოვლა, შენარჩუნება, ტურიზმის პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

სხვადასხვა სასწავლებელსა და ორგანიზაციებში სამეცნიერო-ტექნიკური, ტურისტული მოგზაურობების, ექსკურსიებისა და სხვა საწვრთნო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მოწყობა. სამეცნიერო-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება, განათლების სისტემაში ჯგუფური, საერთო შემეცნებითი და მხატვრულ-ესთეტიკური ღონისძიებების კოორდინირება.

პროგრამის ფარგლებში მოქმედებს შემდეგი განყოფილებები:

მასობრივი განყოფილება, მხატვრულ-ესთეტიკური განყოფილება, ტექნიკურ-შემოქმედებითი განყოფილება, ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილება, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა წრეები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	53		201,600
საქონელი და მომსახურეობა			130,000
არაფინანსური აქტივები			19,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			350,600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურეობა	X	X	X	X
არაფინანსური აქტივები	X	X		

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

საქალაქო და რეგიონალური მასშტაბით საგანმანათლებლო და სასწავლო შემეცნებით პროექტებში ჩაერთვება არანაკლებ 5000 ბავშვი, არანაკლებ 3000 ბავშვი ჩაერთვება სხვადასხვა სოციალურ პროექტებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
მოსწავლე ახალგაზრდების საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში ჩართვა სამოქალაქო აქტიურობის გაზრდა და ინტეგრაცია, განვითარება და მაქსიმალური რეალიზება. რეგიონალური განვითარების მხარდაჭერა, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა, მათი მხარდაჭერა და თანამშრომლობა.	საქალაქო და რეგიონალური მასშტაბით საგანმანათლებლო და სასწავლო შედეგებით პროექტებში ჩაერთვება არანაკლებ 5000 ბავშვი, არანაკლებ 3000 ბავშვი ჩაერთვება სხვადასხვა სოციალურ პროექტებში	რაოდენობა	ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“	წლის განმავლობაში	ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“	ხელშეკრულებები

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა
--

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 0610

პროგრამის დასახელება:

სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა
--

პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ქალაქ ბათუმის სასპორტო სკოლა;

ა(ა)იპ ქალაქ ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი;

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	5,681,796	1,491,699	1,396,699	1,396,699	1,396,699
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები:	248,000	62,000	62,000	62,000	62,000
1. ფასიანი სწავლება	91,200	22,800	22,800	22,800	22,800
2. ფასიანი მომსახურება	140,000	35,000	35,000	35,000	35,000
4. აბონემენტით მომსახურება	6,200	1,550	1,550	1,550	1,550
5. იჯარიდან შემოსავალი	10,600	2,650	2,650	2,650	2,650
სულ ბიუჯეტი:	5,929,796	1,553,699	1,458,699	1,458,699	1,458,699

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

პროგრამის მიზანი:

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

პროგრამის აღწერა:

ბავშვთა და მოზარდთა მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, პერსპექტიული სპორტსმენებისაგან აჭარის ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.
სპორტსმენებისათვის მის სარგებლობაში არსებული სპორტული ინვენტარის ხელმისაწვდომობა, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ყველა რანგის შეჯიბრებებში მონაწილეობა, ორგანიზება და ღონისძიების ჩატარება, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა, საწვრთნელი საქმიანობის განხორციელება.

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა(ა)იპ „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა“	4,956,416	1,299,479	1,218,979	1,218,979	1,218,979
ა(ა)იპ „ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“	973,380	254,220	239,720	239,720	239,720
სულ პროგრამა	5,929,796	1,553,699	1,458,699	1,458,699	1,458,699

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

1 500 მოზარდი ჩართული იყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა;
- სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;
- საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობა;
- საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის ამაღლება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

სპორტის სხვადასხვა სახეობაში საქართველოსა და აჭარის ასაკობრივი ნაკრები გუნდები შევსებულია პერსპექტიული სპორტსმენებით.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
სპორტულ შეჯიბრებებზე მასშტაბურად მაღალი შედეგების ჩვენება	ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სასპორტო სკოლა“	სკოლაში სპორტის 21 სახეობაში საწვრთნო მეცადინეობებს გადის 1380 სპორტსმენი; მაყურებელთა რაოდენობა - 21 000; საქართველოს მასშტაბით - 80 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება; საზღვარგარეთ - 11 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება	სკოლაში სპორტის 21 სახეობაში საწვრთნო მეცადინეობებს გადის 1380 სპორტსმენი; მაყურებელთა რაოდენობა - 21 000; საქართველოს მასშტაბით - 80 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება; საზღვარგარეთ - 11 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება	სკოლაში სპორტის 21 სახეობაში საწვრთნო მეცადინეობებს გადის 1380 სპორტსმენი; მაყურებელთა რაოდენობა - 21 000; საქართველოს მასშტაბით - 80 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება; საზღვარგარეთ - 11 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება	სკოლაში სპორტის 21 სახეობაში საწვრთნო მეცადინეობებს გადის 1380 სპორტსმენი; მაყურებელთა რაოდენობა - 21 000; საქართველოს მასშტაბით - 80 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება; საზღვარგარეთ - 11 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობის მიღება	რაოდენობა	ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სასპორტო სკოლა“; შეჯიბრებებზე მომწვევი მხარე; მაყურებელი;	ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის სასპორტო სკოლა“	ხელშეკრულებები
	ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“	არანაკლებ 220 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში.	არანაკლებ 220 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში.	არანაკლებ 220 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში.	არანაკლებ 220 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში.	რაოდენობა	ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“; შეჯიბრებებზე მომწვევი მხარე; მაყურებელი	ა(ა)იპ „ქალაქ ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“	ხელშეკრულებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061001

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,244,479
სხვა შემოსავლები	55,000
	20000
1.ფასიანი სწავლებიდან	35000
სულ ბიუჯეტი:	1,299,479

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ნაკრები გუნდებისათვის ჭაბუკ სპორტსმენთა მომზადება. სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დამკვიდრება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, პერსპექტიული სპორტსმენებისაგან აჭარის ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	182		882,579
საქონელი და მომსახურება			321,900
არაფინანსური აქტივების ზრდა			95,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,299,479

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურება	X	X	X	X
არაფინანსური აქტივების ზრდა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სასპორტო სკოლაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მომზადდებიან აჭარის ნაკრები გუნდებისათვის ჭაბუკი სპორტსმენები: სასპორტო სკოლის სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს რეგიონებში და საზღვარგარეთ სხვადასხვა სპორტულ ტურნირებში.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენთა მომზადება	სკოლაში მოქმედებს 21 სპორტის სახეობა	რაოდენობა	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის სპორტსმენები	წლის განმავლობაში	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა	განცხადებები
	21 სპორტის სახეობაში ჩართული იქნება 1380 სპორტსმენზე მეტი	რაოდენობა	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის სპორტსმენები	წლის განმავლობაში	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა	განცხადებები
სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა	საქართველოს ფარგლებში 80 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობა	რაოდენობა	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის სპორტსმენები	წლის განმავლობაში	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა	ხელშეკრულება
	საზღვარგარეთ 11 სხვადასხვა სპორტულ ტურნირში მონაწილეობა	რაოდენობა	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის სპორტსმენები	წლის განმავლობაში	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა	ხელშეკრულება

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061002

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ ქ.ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ ქ.ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	247,220
სხვა შემოსავლები	7,000
აბონემენტით მომსახურება	1,550
ფასიანი სწავლება	2,800
იჯარიდან შემოსავალი	2,650
სულ ბიუჯეტი:	254,220

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, პროფესიული სპორტის განვითარებას, სპორტილი ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზებას და სხვა.

ქვეპროგრამის აღწერა:

საჩოგბურთო კომპლექსი, შესაბამისი პირობების არსებობისას უზრუნველყოფს: სპორტსმენებისათვის მის სარგებლობაში არსებული სპორტული ინვენტარის ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ყველა რანგის შეჯიბრებების მიღებას, ორგანიზებასა და ჩატარებას, საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობას, საწვრთნელი საქმიანობის განხორციელებას.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	22		166,320
საქონელი და მომსახურება			49,900
არაფინანსური აქტივების ზრდა			38,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			254,220

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურება	X	X	X	X
არაფინანსური აქტივების ზრდა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენება და მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; შენობის რეაბილიტაცია;

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენება	2015 წელის ბოლოსათვის არანაკლებ 220 მოზარდი ჩაერთვება ჩოგბურთის სახეობაში	რაოდენობა	სკოლები, მოსახლეობა	წლის განმავლობაში	ა(ა)იპ ქ.ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი	ხელშეკრულება

პროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა		
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	09	
პროგრამის დასახელება:		
უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა		
პროგრამის განმახორციელებელი:		
სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“; სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“		

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	9,400,000	2,350,000	2,350,000	2,350,000	2,350,000
სულ ბიუჯეტი:	9,400,000	2,350,000	2,350,000	2,350,000	2,350,000
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2015-2018 წლები				

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის, მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ხელოვნების უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ და სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ სუბსიდირება					
დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	6,400,000	1,600,000	1,600,000	1,600,000	1,600,000
სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის საზღვაო აკადემია“	0	0	0	0	0
სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“	3,000,000	750,000	750,000	750,000	750,000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	9,400,000	2,350,000	2,350,000	2,350,000	2,350,000

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

• გაუმჯობესებულია სამეცნიერო საქმიანობა;
 • გაუმჯობესებულია მატერიალური-ტექნიკური ბაზა;
 • უზრუნველყოფილია სახელოვნებო დარგის საშემსრულებლო-შემოქმედებითი უნარების განვითარებითა და ხელოვნების შესაბამისი დარგის თეორიული კვლევების საშუალებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება.

მხარჯავი დაწესებულების პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები

პრიორიტეტის დასახელება		კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია					
პროგრამული კოდი	დასახელება	2015 წელი	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	საკუთარი სახსრები	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
061101	კულტურის მენეჯმენტის განვითარების ხელშეწყობა	192,000	192,000		400,000	500,000	550,000
061104	სამემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა	200,000	200,000		250,000	250,000	250,000
061105	აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	400,000	400,000		450,000	450,000	450,000
061106	ფოლკლორის ხელშეწყობა	170,000	170,000		200,000	200,000	200,000
061107	კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია	780,000	780,000		920,000	920,000	820,000
061109	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია	1,654,702	1,554,702	100,000	1,781,102	1,184,102	1,184,102
061110	მუზეუმებისა და გალერეების განვითარება	2,438,628	2,253,828	184,800	1,577,328	1,577,328	1,577,328
061111	სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა	9,231,611	8,836,711	394,900	8,537,100	8,537,100	8,565,100
061112	პროფესიულ-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერა	122,000	122,000		122,000	122,000	122,000
0404	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	235,000	200,000	35,000	200,000	0	0
სულ ბიუჯეტი		15,423,941	14,709,241	714,700	14,437,530	13,740,530	13,718,530

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061101

პროგრამის დასახელება:

კულტურის მენეჯმენტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,642,000	192,000	400,000	500,000	550,000
სულ ბიუჯეტი:	1,642,000	192,000	400,000	500,000	550,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015 - 2018 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რეგიონში კულტურის მენეჯმენტისა და კულტურის დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

კულტურის მენეჯმენტში კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით აჭარის რეგიონიდან დიდი ბრიტანეთის წამყვან უნივერსიტეტებში, მაგისტრატურაში სასწავლებლად გაემგზავრებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება ბრიტანეთის საბჭოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობით. ბრიტანეთის საბჭო საქართველოში უზრუნველყოფს პროგრამის ადმინისტრირებას: პროგრამის პრომოუშენს, კონკურსის ორგანიზებას, კონკურსანტების გამოცდებს ინგლისურ ენაში (IELTS), უნივერსიტეტებისა და პროგრამების შერჩევას, გამარჯვებული კანდიდატების განთავსებას უნივერსიტეტებში, სტუდენტების სასწავლო პროცესების მონიტორინგს დიდ ბრიტანეთში, სტუდენტების კოორდინირებას სასწავლო და ყოფითი საკითხების ირგვლივ დიდ ბრიტანეთში, კურსდამთავრებულთა კონსულტაციებს კარიერული განვითარებისა და კონტაქტების დამყარების ხელშეწყობის მიზნით და სხვა საორგანიზაციო დეტალებს.

სამინისტრო დააფინანსებს ბრიტანეთში სწავლისა და სხვა საჭირო ხარჯებს (მაგისტრატურის სრული კურსის სწავლის საფასური, ცხოვრების ხარჯები, სამედიცინო დაზღვევა, სასწავლო რესურსების შეძენა და ა. შ.)

გამარჯვებულებს გამოავლენს ბრიტანეთის საბჭოსთან არსებული საკონკურსო კომისია კონკურსის საფუძველზე. საკონკურსო კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ სამინისტროს წარმომადგენლები. პროგრამაში მონაწილეობის ვადები, უნივერსიტეტები და პრიორიტეტული პროგრამები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება სამინისტროს წარდგინებით ბრიტანეთის საბჭოს მიერ.

სტუდენტის სრული აკადემიური წლის (2015-2016 წწ) დაფინანსების ხარჯი შეადგენს სულ 123 500 ლარს. მათ შორის, 2015 წელს ერთ სტუდენტზე გაიხარჯება 88 500 ლარი, ხოლო 2016 წელს 35 000 ლარი.

სტუდენტი, რომელიც 2015 წლის პროგრამის ფარგლებში მოიპოვებს დაფინანსებას (2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი) ავტომატურად ხდება პრეტენდენტი მომდევნო სემესტრის დაფინანსების მიღებაზე, თუკი ის შეინარჩუნებს მაღალ ან საშუალო აკადემიურ მოსწრებას, რაც განისაზღვრება საკონკურსო პირობებისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სტუდენტი ვალდებულია წარმატებით დაასრულოს პროგრამა და მიიღოს მაგისტრის ხარისხი. სტუდენტი ასევე ვალდებულია პროგრამის დასრულების შემდეგ დაბრუნდეს რეგიონში და ითანამშრომლოს სამინისტროსთან, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სტუდენტის დასაქმებას. სტუდენტის დაფინანსების მექანიზმი, თანხის ოდენობა, ვალდებულებები და მოვალეობები განისაზღვრება სტუდენტსა და ბრიტანეთის საბჭოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება სამინისტროსთან შეთანხმებით).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტუდენტების სწავლასთან დაკავშირებული ხარჯი	2	88500	177000
პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების მხარდაჭერის ხარჯი			15000

სულ პროგრამის ბიუჯეტი			192000
-----------------------	--	--	--------

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

ღონისძიებები	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კონკურსის ორგანიზება და გამარჯვებული კონკურსანტების დაფინანსება	x	x	x	x
პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების მხარდაჭერის ხარჯი	x	x	x	x

მიმდინარე წლის გამოწვევები

აჭარის რეგიონი გამოირჩევა, როგორც მდიდარი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით, ასევე კულტურისა და ხელოვნების მიმართულებების, ამ სფეროში რეგიონში არსებული ორგანიზაციების მრავალფეროვნებით. ჩვენთან ფუნქციონირებს 3 დრამატული თეატრი, 19 მუზეუმი, მუსიკალური ცენტრი, რომელიც მოიცავს საოპერო სტუდიას, ორკესტრს, ახალგაზრდულ მუსიკალურ თეატრს, ასევე, საგამოფენო სივრცეები, საზაფხულო თეატრი, სახელოვნებო სკოლები და ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ბოლო წლებში, აჭარის რეპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებით მნიშვნელოვანწილად მოწესრიგდა კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დღესდღეობით ბათუმი თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების დეფიციტს აღარ განიცდის. ამ ყველაფრის მიუხედავად, რეგიონში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კულტურის ობიექტთა მენეჯმენტის და მყურებლის/დამთვალეირებლის მოზიდვის პრობლემები, რაც განპირობებულია აღნიშნულ სფეროში კვალიფიციური კადრების ნაკლებობით. კულტურის პოლიტიკისა და მართვის სწავლებას ევროპულ უნივერსიტეტებში ათწლეულების ისტორია აქვს. საქართველოში 2007 წლიდან დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამა და ჯერ კიდევ საცდელ ეტაპზეა, შესაბამისი ლიტერატურა ქართულ ენაზე ძალიან მწირია. თუმცა, როდესაც საუბარია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, უდაოა ბრიტანულ უნივერსიტეტებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების უპირატესობა, სადაც კულტურა პოსტ-საბჭოთა რეალობისგან განსხვავებით იმართება და კულტურის თანამედროვე მენეჯმენტის ძირითადი პრინციპი არის კულტურის კრეატიულ ინდუსტრიად მოაზრება, რომელიც არ არის 100%-ით დამოკიდებული სახელმწიფო დაფინანსებაზე და აქვს უნარი თვითრეალიზებისათვის საჭირო რესურსების შექმნის და მოძიების. ამასთანავე, მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგის საუკეთესო ასეულში მეტწილად ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტები არის წარმოდგენილი. კულტურის პოლიტიკის მართვისა და აკადემიური სწავლების ბრიტანული გამოცდილება უფრო მეტად არის რელევანტური ქართული რეალობასთან ვიდრე შეერთებული შტატების სისტემა, სადაც სახელმწიფო მინიმალურად აფინანსებს კულტურას და კერძო ფონდების და საზოგადოების შენატანი არის მნიშვნელოვანი. ამასთანავე, ბრიტანეთში მენეჯმენტის მიმართულებებით მაგისტრატურის სრული კურსი ერთ აკადემიურ წელს მოიცავს განსხვავებით შეერთებული შტატებისგან (მენეჯმენტის სწავლება 2 წლისგან შედგება), რაც მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსების დაზოგვის მხრივ.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

მომზადდება აჭარის რეგიონში კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით კადრები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში კულტურის მენეჯმენტის განვითარებას.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	20178 წელი				
აჭარის რეგიონში კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით მომზადდება მაღალკვალიფიციური კადრები, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში კულტურის მენეჯმენტის განვითარებას.	პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა	2	4	4	4	რაოდენობა	ხელშეკრულება ბრიტანეთის საბჭოსა და სამინისტროს შორის; სტუდენტები;	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; ბრიტანეთის საბჭო საქართველოში	მონიტორინგი; ბრიტანეთის საბჭოს და სტუდენტების ანგარიშები; ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061104

პროგრამის დასახელება:

საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	950000	200,000	250,000	250,000	250,000
სულ ბიუჯეტი:	950000	200,000	250,000	250,000	250000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015 - 2018 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარაში საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, საშემსრულებლო ხელოვნების დაწესებულებებში შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესება და საშემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება.

პროგრამის აღწერა:

საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში ბრიტანეთის და აჭარის თეატრების, მუსიკალური ცენტრის და სხვა სახელოვნებო ორგანიზაციების თანამშრომლობას, რომელიც განხორციელდება პროფესიული განვითარების და შემოქმედებითი მიმართულებით.

აჭარაში, საშემსრულებლო ხელოვნების დაწესებულებების ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას აუდიტორიის მოზიდვის პრობლემები და მაყურებლის სიმცირე განაპირობებს, რაც პირდაპირ აისახება თეატრების და სხვა საშემსრულებლო ხელოვნების დაწესებულებების წარმატებულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ პროგრამის ფარგლებში პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელდება:

1. აუდიტორიის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი: 2014 წელს, ბრიტანელი ექსპერტის მონაწილეობით განხორციელდა ქართული, კერძოდ აჭარის აუდიტორიის კვლევა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციების დოკუმენტი - "სტრატეგიული მარკეტინგი და აუდიტორიის განვითარება კულტურის ორგანიზაციებისათვის". აღნიშნული რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოს საფუძველზე, აუდიტორიის საჭიროებების, ინტერესების და არსებული მოთხოვნების შესაბამისად 2014 წლის ბოლომდე პროგრამის მონაწილე სახელოვნებო ორგანიზაციები (სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი და სსიპ ბათუმის მუსიკალური ცენტრი) შეიმუშავებენ აუდიტორიის განვითარების სტრატეგიას და სამოქმედო გეგმის დოკუმენტს.

აუდიტორიის (ანუ მაყურებლის, მსმენელის) მოზიდვასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის და მაყურებლის მოზიდვის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტური განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია ბრიტანელი ექსპერტის მიერ პროგრამაში მონაწილე თეატრებსა და მუსიკალურ ცენტრში მონიტორინგისა და პროფესიული კონსულტაციების განხორციელება. კერძოდ, ბრიტანელი ექსპერტი გაუწევს კონსულტაციებს და ჩაატარებს ვორკშოპებს თითოეული საშემსრულებლო ხელოვნების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ასევე, ჩატარდება ერთი ვორკშოპი ყველა საშემსრულებლო ხელოვნების ორგანიზაციის წარმომადგენელთათვის. ინდივიდუალურ ვორკშოპებზე ექსპერტი გაეცნობა თეატრების წარმომადგენლების მიერ აუდიტორიასთან მუშაობის და მოზიდვის მიზნით გატარებული ღონისძიებების წარმატებულ და ნაკლებად წარმატებულ მაგალითებს. ექსპერტი განახორციელებს მონაწილეთაგან მიღებული ინფორმაციის და თვალსაჩინო მასალების ანალიზს, რომელსაც წარუდგენს თითოეულ ორგანიზაციას ინდივიდუალურად და შესთავაზებს პრაქტიკულ საქმიანობაში შესატანი ცვლილებების რეკომენდაციებს და კონსულტაციებს.

2. აუდიტორიის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პრაქტიკა და კონსულტაციები: აუდიტორიის განვითარებისა და მარკეტინგის 4 ბრიტანელი სპეციალისტი/კონსულტანტი, ბრიტანელი ექსპერტის ხელმძღვანელობით ითანამშრომლებს აჭარაში მოქმედ თეატრებთან და მუსიკალურ ცენტრთან. ერთ ორგანიზაციასთან ინდივიდუალურად ითანამშრომლებს ერთი კონსულტანტი და ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიმუშავებენ აუდიტორიის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელები გზებს.

პროექტის ფარგლებში აჭარის თეატრებში და მუსიკალურ ცენტრში ბრიტანეთის საბჭოს მიერ კონკურსის გზით შერჩეული კონსულტანტები ერთი თვის განმავლობაში იმუშავებენ ადგილობრივი კოლეგებთან ერთად, ბრიტანული გამოცდილების და საერთაშორისო მეთოდების გამოყენებით, ერთობლივი მუშაობის შედეგად განახორციელებენ აუდიტორიის მოზიდვისა და აუდიტორიასთან მუშაობის სამოქმედო გეგმას. ბრიტანელი კონსულტანტებს უხელმძღვანელებს და საორიენტაციო ბრიფინგებს ჩაუტარებს ბრიტანელი ექსპერტი, რომელიც იცნობს რეგიონში მაცურებლის მოზიდვასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და საჭიროებებს.

3. აჭარის სამემსრულებლო ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ვიზიტი დიდ ბრიტანეთში: აჭარის კულტურისა და ხელოვნების სფეროს 4 წარმომადგენელი წარგზავნილი იქნება ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ბრიტანული სამემსრულებლო ხელოვნების ორგანიზაციების მართვის სტრუქტურის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, მარკეტინგულ საქმიანობის და მაცურებლის მოზიდვის ბრიტანული მეთოდების გაცნობას; აგრეთვე, ინფორმაციას თანამედროვე თეატრების ტექნოლოგიების, ახალი მედიის და ციფრული ხელოვნების შესახებ.

შემოქმედებითი მიმართულებით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

1. ქართულ-ბრიტანული ერთობლივი სპექტაკლი (კო-პროდუქცია) - ამ მიზნით ბრიტანული მხარე შეარჩევს და დაგვავშირებს ახალი თაობის ბრიტანელ რეჟისორს, რომელიც აჭარაში მოქმედ თეატრთან, ადგილობრივ მსახიობებთან და რეჟისორთან თანამშრომლობით განახორციელებს ერთობლივ სპექტაკლს. ერთობლივი სპექტაკლის მეშვეობით ქართველი მაცურებელი გაეცნობა თანამედროვე ბრიტანული თეატრის ასპექტებს, ხოლო, ქართველი მსახიობები და რეჟისორები გაეცნობიან თანამედროვე ბრიტანული თეატრისა და დრამატურგიის მიმდინარეობებს, რაც საბოლოოდ, აჭარაში სამემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენელთა პროფესიული დონის ამაღლებას და საერთო შემოქმედებითი პროცესების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ბრიტანეთის საბჭო საქართველოში უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის პარტნიორების, ტრენერების, კონსულტანტების, ხელოვნების მოძიებას და მათთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას, ანგარიშგებისა და საფინანსო საკითხების შესაბამისი სტანდარტების დაცვას; ადმინისტრაციულ საკითხებში დახმარების და ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ შესაბამისი ინფორმაციების და რეკომენდაციების მიწოდებას. ბრიტანეთის საბჭო საქართველოში 2015 წლის პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებს თანადააფინანსებს 61 000-მდე (სამოცდაერთი ათასი) ლარით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
პროფესიული განვითარების ღონისძიებები			
აუდიტორიის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი (ბრიტანელი ექსპერტის ხარჯები)	1	16,000	16,000
აუდიტორიის განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელების პრაქტიკა და კონსულტაციები (4 კონსულტანტის ხარჯი)	1	23,000	23,000
პროფესიული განვითარების მიზნით აჭარის კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ვიზიტი და მონაწილეობა ედინბურგის ფესტივალზე კულტურულ -საგანმანათლებლო პროგრამაში (4 პიროვნების ხარჯი)	1	24,000	24,000
შემოქმედებითი ღონისძიება			
ბრიტანულ-ქართული ერთობლივი სპექტაკლი (კო-პროდუქცია)	1	121,000	121,000
პროგრამის კოორდინატორის ანაზღაურება (12 თვე)	1	825	9,900
პროგრამის კოორდინატორის საკომუნკაციო ხარჯი (12 თვე)	1	480	480
პროგრამის კოორდინატორის მივლინების ხარჯები			1,350
პროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	1	4,270	4,270
სულ პროგრამის ბიუჯეტი			200,000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

ღონისძიებები	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
პროფესიული განვითარების ღონისძიებები	x	x	x	x
შემოქმედებითი ღონისძიება		x	x	x

პროგრამის კოორდინატორის ანაზღაურება	X	X	X	X
პროგრამის კოორდინატორის საკომუნიკაციო ხარჯი	X	X	X	X
პროგრამის კოორდინატორის მივლინების ხარჯები	X	X	X	X
პროგრამის განხორციელების მხარდაჭერა	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარაში სამემსრულებლო ხელოვნების მნიშვნელოვანი გამოწვევა მაყურებლის სიმცირით და ზოგადად აუდიტორიის მოზიდვის პრობლემებით არის განპირობებული, რაც თავის მხრივ ნეგატიურად აისახება საერთო შემოქმედებით პროცესებზე. აღნიშნული პროცესების დროულად მოუგვარებლობა გამოიწვევს აუდიტორიის კიდევ უფრო დაშორებას და გაუცხოებას სამემსრულებლო ხელოვნების დაწესებულებებთან. 2014 წელს განხორციელდა აჭარაში სამემსრულებლო ხელოვნების აუდიტორიის განვითარების კვლევა, მომზადდა რეკომენდაციების დოკუმენტი და სახელმძღვანელო "სტრატეგიული მარკეტინგი და აუდიტორიის განვითარება კულტურის ორგანიზაციებისათვის"; ჩატარდა ვორკშოპები აჭარის ა.რ. არსებული თეატრებისა და სახელოვნებო ორგანიზაციებისთვის. სულ მონაწილეობა მიიღო 28 კულტურის სფეროს წარმომადგენელმა. ვორკშოპები ჩატარდა სტრატეგიულ მარკეტინგში და აუდიტორიის მოზიდვის ხელოვნებაში. ვორკშოპში მონაწილე ორგანიზაციებმა/დაწესებულებებმა მოამზადეს საშოქმედო გეგმის დოკუმენტის პირველადი ვერსია. მიმდინარეობს მუშაობა ქართულ-ბრიტანულ ერთობლივ სპექტაკლზე. 2014 წელს ბრიტანეთი საბჭო სხვადასხვა აქტივობებს აფინანსებს 77 000-მდე ლარით.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროფესიული განვითარების მიმართულებით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- აუდიტორიის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი: ბრიტანელი ექსპერტი გაუწევს კონსულტაციებს და ჩაატარებს ვორკშოპებს თითოეული სამემსრულებლო ხელოვნების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ასევე, ჩატარდება ერთი ვორკშოპი ყველა სამემსრულებლო ხელოვნების ორგანიზაციის წარმომადგენელთათვის. ინდივიდუალურ ვორკშოპებზე ექსპერტი გაეცნობა თეატრების წარმომადგენლების მიერ აუდიტორიასთან მუშაობის და მოზიდვის მიზნით გატარებული ღონისძიებების წარმატებულ და ნაკლებად წარმატებულ მაგალითებს.
- აუდიტორიის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პრაქტიკა და კონსულტაციები: აუდიტორიის განვითარებისა და მარკეტინგის 4 ბრიტანელი სპეციალისტი/კონსულტანტი, ბრიტანელი ექსპერტის ხელმძღვანელობით ითანამშრომლებს აჭარაში მოქმედ თეატრებთან და მუსიკალურ ცენტრთან. ერთ ორგანიზაციასთან ინდივიდუალურად ითანამშრომლებს ერთი კონსულტანტი და ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიმუშავენ აუდიტორიის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელები გზებს.
- აჭარის სამემსრულებლო ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ვიზიტი დიდ ბრიტანეთში; შემოქმედებითი მიმართულებით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქართულ-ბრიტანული ერთობლივი სპექტაკლი (კო-პროდუქცია).

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ამაღლდება აჭარაში სამემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენელთა პროფესიული დონე და გაუმჯობესდება საერთო შემოქმედებითი პროცესები.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ამაღლება აჭარაში საშემსრულებლო ხელოვნების წარმომადგენელთა პროფესიული დონე და გაუმჯობესდება საერთო შემოქმედებითი პროცესები.	აჭარის თეატრებსა და მუსიკალურ ცენტრში აუდიტორიის ზრდის საშუალო პროცენტული მაჩვენებელი	5%	10%	15%	15%	რაოდენობა	აჭარის რეგიონში არსებული თეატრები; მუსიკალური ცენტრი, კულტურის დეპარტამენტი;	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სსიპ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი და სსიპ ბათუმის მუსიკალური ცენტრი	თეატრებიდან და მუსიკალური ცენტრიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია;
	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შემოქმედებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების რაოდენობა	4	5	5	5	რაოდენობა	აჭარის რეგიონში არსებული თეატრები; მუსიკალური ცენტრი კულტურის დეპარტამენტი; ბრიტანეთის საბჭო საქართველოში;	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ბრიტანეთის საბჭო	ბრიტანეთის საბჭოდან მიღებული ინფორმაცია; მიღება ჩაბარების აქტი; განხორციელებული შემოქმედებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ფოტო დოკუმენტაცია.
	პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ შემოქმედებით-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილე აჭარის საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების არანაკლებ რაოდენობა	30 მონაწილე	35 მონაწილე	40 მონაწილე	40 მონაწილე	რაოდენობა	აჭარის რეგიონში არსებული თეატრები; კულტურის დეპარტამენტი; ბრიტანეთის საბჭო საქართველოში;	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ბრიტანეთის საბჭო	ბრიტანეთის საბჭოდან მიღებული ინფორმაცია; მიღება ჩაბარების აქტი; განხორციელებული შემოქმედებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების ფოტო დოკუმენტაცია.

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061105

პროგრამის დასახელება:

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,750,000	400,000	450,000	450,000	450,000
სულ ბიუჯეტი:	1,750,000	400,000	450,000	450,000	450,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

რეგიონში კინოხელოვნების განვითარება, კინოწარმოებისა და კინოგანათლების ხელშეწყობა; რეგიონის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, სტუდენტების, კინოპროფესიონალების და სხვა მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენლების გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა, რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1. აჭარაში კინოწარმოების ხელშეწყობა; პროგრამით განსაზღვრული თანხა პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმების გათვალისწინებით სამინისტროს მიერ გაიცემა კინოწარმოებელზე აჭარის რეგიონში კინოწარმოებაზე გასაწევი თანხების დასაფინანსებლად, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის აჭარის რეგიონში წარმოებისათვის ერთ კინოწარმოებელზე გაიცემა არაუმეტეს 80 000 ლარი, დოკუმენტური ფილმის წარმოებისათვის ერთ კინოწარმოებელზე გაიცემა არაუმეტეს 25 000 ლარი და მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარმოებისათვის ერთ კინოწარმოებელზე გაიცემა არაუმეტეს 10 000 ლარი.

გარდა სამინისტროსგან მიღებული თანხისა, სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმის წარმოებელმა რეგიონში დამატებით უნდა დახარჯოს მიღებული თანხის არანაკლებ 50%.

პროგრამაში მონაწილეობის პირობები:

- დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს: კინოპროექტს, რომელსაც მოპოვებული აქვს ალტერნატიული დაფინანსება - ფილმის სრული ბიუჯეტის არანაკლებ 50%.
- საქართველოში დარეგისტრირებულ იურიდიულ პირს.
- სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან კო-პროდუქციის (თანამშრომლობის) შემთხვევაში, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართველი კო-პროდუქტორის ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მიღების შესაძლებლობა აქვთ მხატვრული სრულმეტრაჟიანი, დოკუმენტური და მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმების პროექტებს.

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე პრიორიტეტად მიჩნეულია მხატვრული სრულმეტრაჟიანი ფილმების დაფინანსება.

- უპირატესობა მიენიჭება კინოპროექტს, რომელიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების გამოყენებას, აქვს ალტერნატიული თანადაფინანსების და აჭარის რეგიონში კინოწარმოებაზე გასაწევი თანხების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, მისცემს საშუალებას რეგიონის კინო პროფესიონალებს, სტუდენტებს და კინოსთან დაკავშირებული სხვა პროფესიის ადამიანებს დასაქმდნენ და მიიღონ მონაწილეობა კინოწარმოების პროცესში, შეუწყობს ხელს რეგიონის პოპულარიზაციას.

კინოპროექტის დაფინანსების პირობები

- განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, სამინისტროდან მიიღებს დაფინანსებას რეგიონში გასაწევ დანახარჯზე.
- კონკურსის პირობები, საკონკურსო დოკუმენტაცია და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.
- განაცხადებს განიხილავს და შეაფასებს სამინისტროს მიერ შექმნილი კომისია განაცხადების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ ერთობლივად.

* საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და შეფასების საფუძველზე კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის არაუმეტეს 80 000 ლარით, დოკუმენტური ფილმის არაუმეტეს 25 000 ლარით და მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის არაუმეტეს 10 000 ლარით დაფინანსებაზე.

* იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული კინოპროექტი წინასწარ გაუთვალისწინებელი, ხელისშემშლელი გარემოებების საფუძველზე უარს განაცხადებს დაფინანსებაზე და/ან ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ან სხვა გარემოებების საფუძველზე პროგრამის შემდეგ პუნქტში - "კინოპროექტების დაფინანსება (ფილმებისა და ვიდეოჩანაწერების წარმოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა)" - გაჩნდება თავისუფალი თანხა, შექმნილი ეკონომიის ფარგლებში სამინისტროს გადაწყვეტილებით შესაძლებელია გამოცხადდეს ხელახალი კონკურსი.

ინფორმაცია აჭარაში კინოწარმოებისას გასაწევი დანახრჯის შესახებ, რომელსაც სამინისტრო დააფინანსებს:

რეგიონში ქირავნობა, მათ შორის: სხვადასხვა დანიშნულების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, გარდერობის, რეკვიზიტის, აპარატურის, დეკორაციების და ა.შ. ქირავნობა ან/და დამზადება რეგიონში.

მომსახურების შესყიდვა რეგიონში, მათ შორის: კვება რეგიონის ტერიტორიაზე, ცხოვრების ხარჯები – სასტუმროს, უძრავი ქონების ქირა, ტრანსპორტირების და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების შესყიდვის ხარჯი.

კინოწარმოების პროცესში დასაქმებულთა ანაზღაურება: რეგიონში კინოწარმოების პროცესში მონაწილე პირების შრომის ანაზღაურება, ჰონორარი - უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში რეგისტრირებული პირი (რომელიც იხდის გადასახადებს საქართველოს ბიუჯეტში) დაქირავებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ან/და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი. კინოწარმოების პროცესში დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამინისტროდან მოთხოვნილი თანხის 40 %-ს.

2. კინოგანათლების ხელშეწყობა: კინოგანათლების ხელშეწყობის მიმართულებით პროგრამა მოიცავს საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას, კინოხელოვნებასთან დაკავშირებული პუბლიკაციების საგამომცემლო მხარდაჭერას.

აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო ამ სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დააფინანსებს საგანმანათლებლო აქტივობებს, მათ შორის საზაფხულო კინოსკოლის ორგანიზებას სტუდენტებისთვის და რეგიონში მოღვაწე კინოსთან დაკავშირებული სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის. აღნიშნული აქტივობების მიზანია რეგიონში კინოგანათლების ხელშეწყობა და ახალგაზრდა, სტუდენტი, კინოხელოვანების პროფესიული უნარ ჩვევების ამაღლება.

3. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ - ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება ქ. ბათუმში და მისი მიზანია ხელი შეუწყოს ანიმაციური ჟანრის განვითარებას და პოპულარიზაციას, მსოფლიო ანიმაციის სამყაროში მიმდინარე ტექნოლოგიური მიღწევების გაშუქებასა და გაცნობას ქართული ანიმაციის წარმომადგენელთათვის. აგრეთვე, კრეატიული აზროვნების, გამოცდილების, ახალი ტექნოლოგიების თუ მუშაობის სტილის გაცნობა-გაზიარებას ახალგაზრდა თაობაში. ფესტივალის ფარგლებში აჭარის ა.რ. მასშტაბით გაიმართება საბავშვო ანიმაციური ფილმების საკონკურსო ჩვენებები, გაიმართება ადგილობრივი ან/და უცხოეთიდან მოწვეული ანიმატორების, რეჟისორების მასტერკლასები და ვორკშოპები.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
პროგრამის კოორდინატორის ანაზღაურება	1	825	9,900
პროგრამის კოორდინატორის მივლინების ხარჯები			1,500
პროგრამის კოორდინატორის საკომუნიკაციო ხარჯი (თორმეტი თვე)	1	40	480
პროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯი			5,000
საკონკურსო კომისიის შრომის ანაზღაურება (5 პიროვნება)	5	960	4,800
კინოპროექტების დაფინანსება (ფილმებისა და ვიდეოჩანაწერების წარმოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა) არანაკლებ	5	55,000	275,000
ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“	1	60,000	60,000
საგანმანათლებლო აქტივობები (მათ შორის საზაფხულო კინოსკოლა) და საგამომცემლო მხარდაჭერა			43,320
სულ			400,000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამინისტროში განაცხადების მიღება და განხილვა	X	X	X	X
კინოპროექტების დაფინანსება (ფილმებისა და ვიდეოჩანაწერების წარმოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა)	X	X	X	X

საგანმანათლებლო აქტივობები და საგამომცემლო მხარდაჭერა (მათ შორის საზაფხულო კინოსკოლა)	X	X	X	X
პროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X
ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“		X	X	X
პროგრამის კოორდინატორის ანაზღაურება	X	X	X	X
პროგრამის კოორდინატორის მივლინების ხარჯები	X	X	X	X
პროგრამის კოორდინატორის საკომუნიკაციო ხარჯი (თორმეტი თვე)	X	X	X	X
საკონკურსო კომისიის შრომის ანაზღაურება (5 პიროვნება)		X	X	

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში აჭარის რეგიონში 2014 წელს გამოცხადდა ორი კონკურსი: სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების, ასევე მხატვრული მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების კონკურსი. სულ ჯამში შემოვიდა 19 განაცხადი, საიდანაც 8 გამარჯვებული კინოპროექტი გამოვლინდა: 2 სრულმეტრაჟიანი მხატვრული, 4 დოკუმენტური და 2 მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტები. ორივე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოება (გადაღებები) აჭარის რეგიონში უკვე დასრულდა. პროცესების მიმდინარეობის დროს დასაქმდა 130 ფიზ/იურ პირზე მეტი, ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ჩატარდა 2 მასტერკლასი, გადაღებების პროცესში ჩაერთო 10 სტუდენტი.

2014 წლის ბოლომდე დასრულდება გამარჯვებული დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი წარმოება (გადაღებები) აჭარის რეგიონში.

პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა წიგნი „ბათუმი კინოში“, თანდართული დისკით. დაფინანსდა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები და კინოგანათლების ხელშეწყობ ღონისძიებებში მოსწავლეების მონაწილეობა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

პროგრამის ფარგლებში აჭარის რეგიონში 2015 წელს განხორციელდება არანაკლებ ხუთი კინოწარმოების პროექტი; კინოწარმოების პროცესებში დასაქმდება და ჩართვება არანაკლებ 80 ფიზ/იურ პირი, სტუდენტი; ჩატარდება არანაკლებ 3 საგანმანათლებლო აქტივობა; ანიმაციური ფილმების ფესტივალს "თოფუზი" დაესწრება საშუალოდ 2000 მაყურებელი, ფესტივალის ფარგლებში განხორციელდება არანაკლებ 5 ვორქშოპი/მასტერკლასი.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარის რეგიონში დასაქმებულია კინო პროფესიონალები, სტუდენტები და სხვა მომიჯნავე პროფესიის ადამიანები, გაზრდილია მათი კვალიფიკაციის დონე. რეგიონში ვითარდება კინოხელოვნება.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი	
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი					2018 წელი
პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კინოწარმოებისა და კინოგანათლების ხელშეწყობის აქტივობების შედეგად რეგიონში ვითარდება კინოხელოვნება	აჭარის რეგიონში განხორციელებული კინოპროექტების არანაკლები რაოდენობა	5	6	6	6	რაოდენობა	ხელშეკრულება კინომწარმოებელსა და სამინისტროს შორის; სტუდენტები; კულტურის დეპარტამენტი	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; კინომწარმოებლის და პროგრამის კოორდინატორის ანგარიში;
	პროგრამის ფარგლებში კინოპროექტებში დასაქმებული ფიზიკურ პირების, ჩართული სტუდენტების არანაკლებ რაოდენობა	80	90	90	90	რაოდენობა	ხელშეკრულება კინომწარმოებელსა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; კინომწარმოებლის და პროგრამის კოორდინატორის ანგარიში.
	აჭარის რეგიონში ჩატარებული საგანმანათლებლო აქტივობების არანაკლებ რაოდენობა	3	4	4	4	რაოდენობა	ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი; პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი სხვა ორგანიზაციები	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; პარტნიორი ორგანიზაციისა და კოორდინატორის ანგარიში.
	ფესტივალზე დამსწრეთა საშუალო რაოდენობა	2000	2500	2500	2500	რაოდენობა	ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი; ა(ა)იპ "პერსონაჟი",	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; პარტნიორი ორგანიზაციისა ანგარიში.
	ფესტივალის ფარგლებში გამართული ვორქშოპების, მასტერკლასების არანაკლებ რაოდენობა	5	7	7	7	რაოდენობა	ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციასა და სამინისტროს შორის; კულტურის დეპარტამენტი; ა(ა)იპ "პერსონაჟი",	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მონიტორინგი; პარტნიორი ორგანიზაციისა ანგარიში.

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია		
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	061106	

პროგრამის დასახელება:

ფოლკლორის ხელშეწყობა

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	770,000	170,000	200,000	200,000	200,000
სულ ბიუჯეტი:	770,000	170,000	200,000	200,000	200,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

ქართული ფოლკლორის შენარჩუნება და პოპულარიზაცია; ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში; ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეთა გაზიარება. აჭარაში არსებული ფოლკლორული ანსამბლების სასცენო კოსტიუმებითა და აქსესუარებით უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი ღირსეულ ადგილს იკავებს საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში. ხალხური შემოქმედება ერის ცოცხალი მატენია, მასში დასურათებულია ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება, ქართველი ერის თვითმყოფადობა და ეთნოკულტურა.

ფოლკლორის საარსებო სოციალური გარემოს შეცვლამ – ტექნიკურმა პროგრესმა, ყოფიდან მრავალი წეს-ჩვეულების გაქრობამ და სხვა, სუბიექტურ-ობიექტურმა მიზეზებმა უარყოფითად იმოქმედა ხალხურ შემოქმედებაზე. პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივი (აჭარულ-ლაზური) უნიკალური მუსიკალური მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისა და აჭარის რაიონებში ავთენტური ფოლკლორის პოპულარიზაციის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

1. აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი: ოლიმპიადის მიზანია ტრადიციული ხელოვნების, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის წარმოჩენა და პოპულარიზაცია ახალგაზრდა თაობაში, ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეთა გაზიარება. ოლიმპიადის მიზანია მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლების, კულტურის ცენტრებისა და სახელოვნებო სკოლების სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლებს, ინდივიდუალურ შემსრულებლებს;

2. სასცენო კოსტიუმებითა და აქსესუარებით უზრუნველყოფა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ფოლკლორული ანსამბლები. ანსამბლების უმეტესობას არ აქვს სასცენო ჩაცმულობა, ან სარგებლობენ მოძველებული სასცენო კოსტიუმებით და აქსესუარებით. ყოველწლიურად აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით ტარდება სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი. აღნიშნული ოლიმპიადის შედეგად გამოვლინდა არაერთი წარმატებული მონაწილე, თუმცა, აღნიშნული ანსამბლების შემოქმედებითი ზრდის ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სასცენო ჩაცმულობის უქონლობა. პროგრამის ფარგლებში სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები გადაეცემათ აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებულ მონაწილეებს ანსამბლების საჭიროებების შესაბამისად. სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები ასევე გადაეცემათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის ცენტრებთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს საჭიროებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შესყიდვა განხორციელდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე კოსტიუმები/აქსესუარები გადაეცემათ კულტურის ცენტრებთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს, ხოლო მეორე ეტაპზე ოლიმპიადის გამარჯვებულ მონაწილეებს.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სასცენო კოსტიუმებისა და აქსესუარების შეძენა (მუნიციპალიტეტებში კულტურის ცენტრებთან არსებული არანაკლებ 5 ანსამბლი)	5		40,000
აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადი	1	25,000	25,000

სასცენო კოსტუმებისა და აქსესუარების შეძენა (ოლიმპიადში გამარჯვებული არანაკლებ 12 ანსამბლს)	12		100,000
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი			5,000
სულ პროგრამა			170,000

პროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
აჭარის კულტურის ცენტრებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლების სასცენო კოსტიუმებით და აქსესუარებით უზრუნველყოფა (ტენდერის გამოცხადება, შესყიდვა)	X	X		
აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის	X	X		
აჭარის ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო კოსტიუმებით და აქსესუარებით უზრუნველყოფა (ტენდერის გამოცხადება, შესყიდვა)		X	X	X
პროგრამის მხარდაჭერის ხარჯი	X	X	X	X

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2014 წელს პროგრამის - „ფოლკლორის ხელშეწყობა“ ფარგლებში, სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები გადაეცათ: ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის კულტურის ცენტრებთან არსებულ 10 ფოლკლორულ ანსამბლს (128 შემსრულებლს);
აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებულ 14 ანსამბლს (489 შემსრულებელს).

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

2015 წელს პროგრამის - „ფოლკლორის ხელშეწყობა“ ფარგლებში, სასცენო კოსტიუმები და აქსესუარები გადაეცემათ: ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის კულტურის ცენტრებთან არსებულ არანაკლებ 5 ფოლკლორულ ანსამბლს და შემსრულებლს;
აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებულ არანაკლებ 12 ანსამბლს და შემსრულებლს.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

გამოვლენილია ნიჭიერი შემსრულებლები, სასცენო კოსტუმით უზრუნველყოფილია არანაკლებ 89 ფოლკლორული ანსამბლი;
გაზიარებულია მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეები;
ახალგაზრდა თაობაში წარმოიქმნეოდა ტრადიციული ხელოვნება, ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
ახალგაზრდა თაობაში წარმოჩენილია ტრადიციული ხელოვნება, ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა.	ოლიმპიადაში მონაწილე ანსამბლების არანაკლებ რაოდენობა; ოლიმპიადაში მონაწილე ბავშვების არანაკლებ რაოდენობა.	60 ანსამბლი; 1800 მონაწილე	60 ანსამბლი; 1800 მონაწილე	60 ანსამბლი; 1800 მონაწილე	60 ანსამბლი; 1800 მონაწილე	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი
გაუმჯობესდება ფოლკლორული ანსამბლების სასცენო ატრიბუტიკა	სასცენო კოსტიუმებითა და აქსესუარებით აღჭურვილი ანსამბლების არანაკლებ რაოდენობა	17	24	24	24	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061107

პროგრამის დასახელება:

კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია
--

პროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	3,440,000	780,000	920,000	920,000	820,000
სულ ბიუჯეტი:	3,440,000	780,000	920,000	920,000	820,000

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, რეგიონში კულტურული აქტივობების, ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ჩვენი რეგიონის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია კულტურული ტურიზმის განვითარებაზე და რეგიონში კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებაზე. ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების განხორციელება ხელს უწყობს არა მხოლოდ ხელოვნების და კულტურის პოპულარიზაციას, ქვეყნისა და რეგიონის პოპულარიზაციას, არამედ განსაკუთრებული წვლილი შეაქვს კულტურული ტურიზმის განვითარებაში. აღნიშნულის საუკეთესო დასტური კი შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალია, რომელიც უამრავ ადგილობრივ და უცხოელ მაყურებელს იზიდავს.

პროგრამის ფარგლებში არაერთი ხელოვნებისა და კულტურის პროექტი განხორციელდება, გაიმართება კონკურსები, სხვადასხვა ფესტივალები, კონცერტები, გამოფენები და სხვა აქტივობები, როგორც ქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტებში (სოფლებში), რაც ხელს შეუწყობს ხელოვანების შემოქმედებით ზრდას, რეგიონში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას და კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდას.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების განაცხადისა და საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშგების ფორმა მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია	3,185,000	725,000	820,000	820,000	820,000
კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა სოფლად	255,000	55,000	100,000	100,000	0
სულ პროგრამა	3,440,000	780,000	920,000	920,000	820,000

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2014 წლის 15 აგვისტომდე პროგრამის „კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია“ ქვეპროგრამის „ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში განხორციელდა 9 აჭარის რეგიონში არსებული შემოქმედებითი ჯგუფების და ინდივიდუალური შემსრულებლების საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა; გაიმართა 7 ფესტივალი, კონცერტი და სხვა წარმოდგენა; სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მიმართულებით განხორციელდა 4 პროექტი, მათ შორის 3 გამოფენა. განხორციელდა 2 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, ბათუმის სახელოვნებო სკოლებისა და საბალეტო სკოლის სტუდენტები და მოსწავლეები ჩაერთნენ ქვეყნის შიგნით გამართულ საგანმანათლებლო პროექტებში; თავისუფალი პროექტების კონკურსის ფარგლებში შემოვიდა 18 განაცხადი და დაფინანსდა 6 პროექტი, ჩაერთო 2733 ხელოვანი მონაწილე და დაესწრო 18140 -მდე მაყურებელი; სულ გაიმართა 32 ხელოვნებისა და კულტურის ღონისძიება

აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში იმართება არაერთი ხელოვნებისა და კულტურის ღონისძიება, მათ შორის ფესტივალები, კონცერტები, გამოფენები და სხვა. რეგიონში კულტურული ცხოვრების გააქტიურებისა და მისი პოპულარიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის გაზრდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2015 წლის განმავლობაში პროგრამის „კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია“ ქვეპროგრამის „ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია“ ფარგლებში საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდება 10 პროექტი; გაიმართება 7 ფესტივალი, კონცერტი და სხვა წარმოდგენა; სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მიმართულებით განხორციელდება 7 პროექტი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობი 5 პროექტი, თავისუფალი პროექტების მიმართულებით დაფინანსდება 5 პროექტი, სულ გაიმართება 46 ხელოვნებისა და კულტურის ღონისძიება.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

განხორციელებული აქტივობების შედეგად მიიღწევა კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნება რეგიონში.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიიღწევა კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნება რეგიონში	პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად განხორციელებული ხელოვნებისა და კულტურის პროექტების არანაკლებ	46	50	50	55	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტი, ფიზიკური პირი; პროგრამის პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი სხვა ორგანიზაციები	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06110701

ქვეპროგრამის დასახელება:

ხელოვნებისა და კულტურის საქმიანობის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	725,000
სულ ბიუჯეტი:	725,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ხელოვნებისა და კულტურის პროექტების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული შემოქმედებითი ჯგუფების, ინდივიდუალური შემსრულებლების საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, კულტურული ტურიზმის ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა რეგიონში ხელოვნებისა და კულტურის ღონისძიებების განხორციელებას, კულტურის სფეროში სამინისტროს სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას და აჭარის რეგიონში არსებული შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობას როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ გამართულ საერთაშორისო ფესტივალებში, გამოფენებში, კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში, 2015 წელს ქვეპროგრამა შემდეგი მიმართულებებით განხორციელდება:

1. საქართველოს და საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა - ითვალისწინებს წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში არსებული შემოქმედებითი ჯგუფების, ინდივიდუალური შემსრულებლების, მხატვრების საქართველოს და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც ხელოვანთა შემოქმედებითი განვითარებისა და ზრდის, ასევე რეგიონის კულტურის პოპულარიზაციის მხრივ.
2. ფესტივალების, კონცერტების და სხვა წარმოდგენების ორგანიზება - ითვალისწინებს საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სხვა ფესტივალების, კონცერტების და სხვა წარმოდგენების ხელშეწყობას.
3. სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობა - ითვალისწინებს სახვითი, გამოყენებითი, თანამედროვე ხელოვნების გამოფენების ორგანიზების ხელშეწყობას, ბეჭდვითი, აუდიო-ვიზუალური მასალების მომზადება/გამოცემას, სახვითი, გამოყენებითი, თანამედროვე ხელოვნების მხარდაჭერი სხვა აქტივობების განხორციელებას.
4. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა - ითვალისწინებს სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების, სხვა სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა და მოსწავლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების გატარებას; მათ შორის, აჭარის რეგიონში არსებულ მუსიკალურ სკოლებში საორკესტრო მიმართულების განვითარების ხელშეწყობას. ასევე, სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლების კონკურსებში, ტრენინგებში, მასტერ-კლასებში, უორქშოპებსა და სხვა, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას. სახელოვნებო ლიტერატურის ბეჭდვითი მასალების მომზადება-გამოცემასა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების ხელშეწყობას.
5. კულტურის სფეროს დამსახურებული, ღვაწლმოსილი მოღვაწეების შემოქმედებითი საღამოების ორგანიზების ხელშეწყობა

6. შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი რეგულარულად ყოველ ზაფხულს იმართება ბათუმში და ჯაზის-მოყვარულებს აძლევს საშუალებას მოუსმინონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ ჯაზის კლასიკოსებს, თანამედროვე შემსრულებლებს. ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებაა, რომელიც ხელს უწყობს, როგორც მუსიკის ამ ჟანრის პოპულარიზაციას, ასევე რეგიონის პოპულარიზაციას ქვეყნის გარეთ და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

7. კონცერტები ტურისტულ სეზონზე - ვინაიდან კულტურული ტურიზმის როლი მეტად მნიშვნელოვანია აჭარის რეგიონის განვითარებისთვის, კულტურული ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით ზაფხულში, ტურისტულ სეზონზე მოეწყობა ფოლკლორული და სხვა კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ აჭარაში არსებული სასიმღერო და საცეკვაო შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

8. ბათუმის ეზოს ამბები - სახელოვნებო პროექტია, რომელიც ითვალისწინებს კულტურული თვალსაზრისით საინტერესო და საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ბათუმის ისტორიების თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრების სახით წარმოჩენას. პროექტის ფარგლებში ქართველი და უცხოელი ხელოვნების ბათუმის მაცხოვრებლებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის საფუძველზე მოეწყობა უნიკალური გამოფენები ქალაქის ღია სივრცეში, კერძოდ ქუჩებსა და ეზოებში, რაც გარკვეული დროით სრულიად შეცვლის აღნიშნული სივრცეების იერსახეს.

9. Batumi Street Art Festival - გრაფიტის ფესტივალია, რომელიც ითვალისწინებს ქართველი და უცხოელი არტისტების თანამშრომლობას და ფესტივალის ფარგლებში ბათუმის ქუჩების/კედლების მოხატვას. ფესტივალი 2014 წელს მეორედ ჩატარდა, ფრანგმა და ქართველმა მხატვრებმა ბათუმის ქუჩებში 27 ნამუშევარი შექმნეს. ფესტივალი ხელს უწყობს ქართველი და უცხოელი ხელოვნების თანამშრომლობას.

10. თავისუფალი პროექტების (ახალი ინიციატივების) მხარდაჭერა - ითვალისწინებს ხელოვნების ახალი მიმართულებების, შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეების მხარდაჭერას, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელებას, აქტუალური საკითხების კულტურისა და ხელოვნების გზით წარმოჩენას და საზოგადოებისთვის გაცნობას, გაუთვალისწინებელი და სამინისტროს მიერ ინიცირებული ღონისძიებების დაფინანსებას. თავისუფალი პროექტების გამოვლენა მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე. ამასთან, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დაფინანსდეს გაუთვალისწინებელი ღონისძიებებიც. საკონკურსო პირობები, დაფინანსების ოდენობა, შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებში და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა	10	13500	135000
ფესტივალების, კონცერტების, და სხვა წარმოდგენების ორგანიზების ხელშეწყობა	7	12857	90000
სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების მხარდაჭერა	7	12857	90000
სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	5	20000	100000
კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი, დამსახურებული, მოღვაწეების შემოქმედებითი საღამოების ორგანიზების ხელშეწყობა	4	5000	20000
აჭარის რეგიონში შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი	1	50000	50000
კონცერტები ტურისტულ სეზონზე	5	14000	70000
სახელოვნებო პროექტი ბათუმის ეზოს ამბები	1	35000	35000
Batumi Street Art Festival	1	30000	30000
თავისუფალი პროექტების და ახალი ინიციატივების მხარდაჭერა	5	20000	100000
ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა			5000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	46		725,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ღონისძიება 1	X	X	X	X
ღონისძიება 2	X	X	X	X
ღონისძიება 3	X	X	X	X
ღონისძიება 4	X	X	X	X
ღონისძიება 5	X	X	X	X
ღონისძიება 6		X	X	
ღონისძიება 7		X	X	
ღონისძიება 8		X	X	
ღონისძიება 9		X	X	
ღონისძიება 10	X	X	X	X
ღონისძიება 11	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

რეგიონში რეგულარულად ხორციელდება ხელოვნებისა და კულტურის პროექტები/ღონისძიებები; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული შემოქმედებითი ჯგუფები, ინდივიდუალური შემსრულებლები, მხატვრები მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს და საერთაშორისო ღონისძიებებში

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
რეგიონში რეგულარულად ხორციელდება ხელოვნებისა და კულტურის პროექტები/ღონისძიებები; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული შემოქმედებითი ჯგუფები, ინდივიდუალური შემსრულებლები, მხატვრები მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს და საერთაშორისო ღონისძიებებში	ხელოვნებისა და კულტურის არანაკლებ 36 პროექტი	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ფიზიკური პირი, ა(ა)იპ "Micro-ფონი", შ.პ.ს. "ისთერნ პრომოუშენს" პროგრამის პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი სხვა ორგანიზაციები	წელიწადში ერთჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული და ფინანსური ანგარიში; მონიტორინგი;
	არანაკლებ 10 შემოქმედებითი ჯგუფი და ინდივიდუალური შემსრულებელი;	რაოდენობა	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ფიზიკური პირი; პროგრამის პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი სხვა ორგანიზაციები	წელიწადში ერთჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი; პროგრამული და ფინანსური ანგარიში; მონიტორინგი;

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული ცხოვრების გააქტიურება და პოპულარიზაცია		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06110702	

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული ცხოვრების ხელშეწყობა სოფლად

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
--

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	55,000
სულ ბიუჯეტი:	55,000

ქვეპროგრამის მიზანი:

რეგიონში არსებული კულტურული რესურსების და საჭიროებების კვლევა; მუნიციპალიტეტებში არსებული კულტურული რესურსების რეალიზების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აჭარის რეგიონში ხელოვნებისა და კულტურის რესურსებისა და საჭიროებათა კვლევა, კვლევის შედეგების საფუძველზე შეიქმნება კვლევისა და რეკომენდაციების დოკუმენტი. კულტურული რესურსების შესწავლა და კვლევების ჩატარება მნიშვნელოვანია რეგიონში არსებული გამოწვევების, საჭიროებების, რესურსების შესწავლის და კულტურის განვითარების სტრატეგიის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული კვლევისა და რეკომენდაციების საფუძველზე და გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ სამომავლოდ განხორციელდება საპილოტე სახელოვნებო პროექტი, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტ(ებ)ში არსებული კულტურული რესურსების რეალიზებას, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას და მოსახლეობის უზრუნველყოფას კულტურულ-სახელოვნებო აქტივობებით.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
კულტურული რესურსების კვლევა და კვლევისა და რეკომენდაციების დოკუმენტის შემუშავება	1	55000	55000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			55,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
კულტურული რესურსების კვლევა და კვლევისა და რეკომენდაციების დოკუმენტის შემუშავება	X	X	X	X
მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი				
ქვეპროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შედეგად გამოვლინდება რეგიონში არსებული კულტურული რესურსები და საჭიროებები; ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტებში არსებული კულტურული რესურსების რეალიზებას.				

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შედეგად გამოვლინდება რეგიონში არსებული კულტურული რესურსები და საჭიროებები; ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტებში არსებული კულტურული რესურსების რეალიზებას	კულტურული რესურსებისა და საჭიროებათა კვლევა; შეიქმნება 1 კვლევისა და რეკომენდაციების დოკუმენტი	რაოდენობა	აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი, პარტნიორი ორგანიზაცია, მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრები	წელიწადში ერთჯერ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	მიღება-ჩაბარების აქტი, განხორციელებული აქტივობების ფოტო დოკუმენტაცია

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061109

პროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	5,704,008	1,554,702	1,781,102	1,184,102	1,184,102
სხვა:	400,000	100,000	100,000	100,000	100,000
1. ბილეთების რეალიზაცია	320,000	80,000	80,000	80,000	80,000
2. სუვენირების რეალიზაცია	80,000	20,000	20,000	20,000	20,000
სულ ბიუჯეტი:	6,104,008	1,654,702	1,881,102	1,284,102	1,284,102

პროგრამის განხორციელების პერიოდი: 2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

პროგრამის აღწერა:

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, ასევე არსებული მუზეუმების რეაბილიტაცია, პოპულარიზაცია და სამუზეუმო ქსელის გაფართოება.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
კულტურული მემკვიდრეობის მართვა	3,272,408	833,102	813,102	813,102	813,102
კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	2,831,600	821,600	1,068,000	471,000	471,000
სულ პროგრამა	6,104,008	1,654,702	1,881,102	1,284,102	1,284,102

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ხიხანის ციხის მეოთხე კოშკის რეაბილიტაცია, ხიხანის ციხეზე საბაგიროს მოწყობა, ისტორიული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა, ხინოს ნაეკლესიარის საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა, პეტრას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა, ქ. ბათუმში ავარიულ მდგომარეობაში არსებული 3 ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა; გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის არქეოლოგიური უბნების კონსერვაცია. ქ. ბათუმში ხულოს ქ.10-ში მდებარე შენობის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების 1/3

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

ხიხანის ციხის პირველი კოშკის რეაბილიტაცია-კონსერვაცია, პეტრას ციხის რეაბილიტაცია, მახოსა და ხაბელაშვილების ხიდების რეაბილიტაცია, გონიოს ციხის სამი კოშკისა და აჭარის ა/რ საზღვრებში არსებული ციხეებიდან ერთერთის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა; სამუზეუმო შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება; ოთხი არქეოლოგიური ექსპედიციის მოწყობა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

აჭარაში დასრულებულია ხიდების რეაბილიტაცია, რეაბილიტაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა აჭარაში არსებულ საინჟინრო, საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგლების 35 %;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეაბილიტირებული იქნება 1 სამუზეუმო შენობა;

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალები უაღრესად საინტერესო ინფორმაციას მოგვცემს ჩვენი მხარის ისტორიის და კულტურის შესასწავლად და ასევე გაამდიდრებს სამუზეუმო კოლექციებს და ფონდებს.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
აჭარაში დასრულებულია თაღოვანი ხიდების რეაბილიტაცია; რეაბილიტაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა აჭარაში არსებული საინჟინრო, საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგლების 35 %; რეაბილიტირებული იქნება 1 სამუზეუმო შენობა ; არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალები უაღრესად საინტერესო ინფორმაციას მოგვცემს ჩვენი მხარის ისტორიის და კულტურის შესასწავლად და ასევე გამდიდრებს სამუზეუმო კოლექციებს და ფონდებს.	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	3	2	1	1	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი; მუნიციპალიტეტებ იდან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	სსიპ - "აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო"	მიღება-ჩაბარების აქტი
	რეაბილიტირებული სამუზეუმო შენობა	1	1			რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი; მუნიციპალიტეტებ იდან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები		მიღება-ჩაბარების აქტი
	არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა	4	4	4	4	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება-ჩაბარების აქტი
	2014 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა	1	1	1	1	რაოდენობა	სააგენტოს მონიტორინგი		მიღება-ჩაბარების აქტი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06110901

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის მართვა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	733,102
სხვა:	100,000
1. ბილეთების რეალიზაცია	80,000
2. სუვენირების რეალიზაცია	20,000
სულ ბიუჯეტი:	833,102

ქვეპროგრამის მიზანი:

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება;

ქვეპროგრამის აღწერა:

სააგენტო მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შენარჩუნებას და სამუზეუმო ქსელის გაფართოებას.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	51		505,152
საქონელი და მომსახურება			254,950
სხვა ხარჯები			53,000
არაფინანსური აქტივები			20,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			833,102

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურება	X	X	X	X
სხვა ხარჯები	X	X	X	X
არაფინანსური აქტივები	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ხორციელდება არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და ასევე სამუზეუმო ქსელის გაფართოება და პოპულარიზაცია;

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06110902

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება
--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	821,600.0
სულ ბიუჯეტი:	821,600.0

ქვეპროგრამის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, რეაბილიტაცია-კონსერვაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ტურისტების რიცხვის ზრდა იწვევს აუცილებლობას რატა რეგიონში არსებული მუზეუმები შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს. ამ მიზნით უკვე რეაბილიტირებულია სხვადასხვა მუზეუმები, რომლებსაც შეუძლია მოიზიდოს სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორები. თუმცა დღესდღეობით ქ. ბათუმში არ არის ჩვენი ქალაქის ისტორიის ამსახველი მუზეუმი, რომელიც ჩამოსულ სტუმრებს მიაწოდებს სრულ ინფორმაციას და შეუქმნის ნათელ წარმოდგენას ჩვენს ქალაქზე. ამიტომ დაიგეგმა ქ. ბათუმში, ხულოს ქ. N10 მდებარე შენობაში ახალი მუზეუმის გახსნა. ამ მიზნით მუზეუმის მოწყობის პროექტი სააგენტოს მიერ შეძენილი იქნა 2012 წელს. სამუზეუმო ექსპონატების სპეციფიკიდან გამომდინარე 2014 წელს მასში შევიდა ცვლილებები. იმავე წელს დაიწყო აღნიშნული შენობის რეაბილიტაცია. 2015 წელს ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში გეგმიური არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

ქვეპროგრამის აღწერა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საჭიროებს რეაბილიტაციას. სააგენტო ყოველწლიურად ახდენს პრიორიტეტების მიხედვით სხვადასხვა ტიპის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას. უკვე რეაბილიტირებულია რეგიონში არსებული თაღოვანი ხიდები, კონსერვირებულია არქეოლოგიური უბნები, შეძენილია სხვადასხვა კატეგორიის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები. 2015 წლისათვის რეაბილიტაციის მიმართულებით პრიორიტეტებად განისაზღვრა ხიხანის ციხე, პეტრას ციხე და ისტორიული ხიდები, აგრეთვე გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი. ზემოაღნიშნული უძრავი ძეგლების რეაბილიტაციის აუცილებლობა განპირობებულია ამ ობიექტების კულტურული ფასეულობებიდან გამომდინარე. ისინი ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს წარმოადგენს და მათი რეაბილიტაციის პროექტები უკვე შეძენილია;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში ტურისტების რიცხვის ზრდა იწვევს აუცილებლობას რატა რეგიონში არსებული მუზეუმები შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს. ამ მიზნით უკვე რეაბილიტირებულია სხვადასხვა მუზეუმები, რომლებსაც შეუძლია მოიზიდოს სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორები. თუმცა დღესდღეობით ქ. ბათუმში არ არის ჩვენი ქალაქის ისტორიის ამსახველი მუზეუმი, რომელიც ჩამოსულ სტუმრებს მიაწოდებს სრულ ინფორმაციას და შეუქმნის ნათელ წარმოდგენას ჩვენს ქალაქზე. ამიტომ დაიგეგმა ქ. ბათუმში, ხულოს ქ. N10 მდებარე შენობაში ახალი მუზეუმის გახსნა. ამ მიზნით მუზეუმის მოწყობის პროექტი სააგენტოს მიერ შეძენილი იქნა 2012 წელს. სამუზეუმო ექსპონატების სპეციფიკიდან გამომდინარე 2014 წელს მასში შევიდა ცვლილებები. იმავე წელს დაიწყო აღნიშნული შენობის რეაბილიტაცია. 2015 წელს ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობს არქეოლოგიური სამუშაოები. 2012 წლიდან არქეოლოგიური გათხრების დაფინანსება და ორგანიზებას ახდენს სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო. გასულ წლებში არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ბათუმის ციხეზე, ფიჭვნარის ანტიკური ხანის სამაროვანზე, გონიო-აფსაროსის ციხის შიდა ტერიტორიაზე, ჩაქვში ჩაისუბანის ტერიტორიაზე, შუახევის მუნიციპალიტეტში სოფ. ფურტიოში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში-მახოში, თხილნარსა და სიმონეთში. ხულოს მუნიციპალიტეტში-ხიხანის ციხეზე. მოპოვებულია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა. სამუზეუმო საგანძური გამდიდრდა უახლესი მონაპოვრებით. შეიქმნა ძვირფასი, მეტად საშური წყაროთმცოდნეობითი ბაზა ძველი ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია თუ სხვა სახის ნაშრომი. ბევრი მათგანი უცხოურ ენებზეც. აღნიშნული გათხრების დაფინანსებას სააგენტო ახდენდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის ღონისძიების ფარგლებში.

2015 წლიდან სააგენტოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება არქეოლოგიური გათხრების ორგანიზების ცალკე ქვეპროგრამად გამოყოფის შესახებ. ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწეობა არანაკლებ 4 ექსპედიცია. გაგრძელდება არქეოლოგიური გათხრები ხიხანის ციხიზე, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალში, ფიჭვნარის ტერიტორიაზე. შესწავლილი იქნება შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელი ჯაბნიძეები (ადგილი ქაშუეთი).

დასახელება		პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაცია და კონსერვაცია	ხიხანის ციხის პირველი კოშკის რეაბილიტაცია-კონსერვაცია	1	66,000	66,000
	პეტრას ციხის რეაბილიტაცია	1	155,600	155,600
	მახოსა და ხაბელაშვილების ხიდების რეაბილიტაცია	2	30,000	60,000
	გონიოს ციხის სამი კოშკის რეაბილიტაციის პროექტი	1	20,000	20,000
	აჭარის საზღვრებში არსებული ციხის სარეაბილიტაციო პროექტი, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას	1	15,000	15,000
მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაცია	ბათუმში, ხულოს ქ.10-ში მდებარე შენობის 2/3 რეაბილიტაცია	1	400,000	400,000
არქეოლოგიური კვლევა-ძიება აჭარაში	არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა	4	22,500	90,000
	2014 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა (1000 ცალი ტირაჟი)	1	15,000	15,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		12		821,600

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ხიხანის ციხის პირველი კოშკის რეაბილიტაცია-კონსერვაცია		X	X	
პეტრას ციხის რეაბილიტაცია	X	X	X	X
მახოსა და ხაბელაშვილების ხიდების რეაბილიტაცია		X	X	
გონიოს ციხის სამი კოშკის სარეაბილიტაციო პროექტი		X	X	
აჭარის საზღვრებში არსებული ციხის პროექტი, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას		X	X	
ბათუმში, ხულოს ქ.10-ში მდებარე შენობის 2/3 რეაბილიტაცია	X	X		
არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა		X	X	
2014 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა		X		

რეაბილიტირებული პეტრას ციხე, ხიხანის პირველი კოშკი, მახოსა და ხაბელშვილების ხიდები, დასრულებული გონიოს ციხის სამი კოშკისა და ერთერთი ციხესიმაგრის სარეაბილიტაციის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები;
დასრულდება ქ. ბათუმში ხულოს ქ. N10 მდებარე შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
მოწყობილია ოთხი არქეოლოგიური ექსპედიცია;
გამოცემულია 1000 ცალი წიგნი 2014 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უმრავი ძეგლების რეაბილიტაცია და კონსერვაცია	რეაბილიტირებული ისტორიული ხიდები (მახოსა და ხაბელაშვილების ხიდი)	2 ხიდი	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება-ჩაბარების აქტი
	რეაბილიტირებული საფორტიფიკაციო ნაგებობები (ხიხანისა და პეტრას ციხეები)	1 ციხე-სიმაგრე სრულად (პეტრას ციხე), 1 ციხე-სიმაგრის (ხიხანის ციხე) 1/9 ნაწილი	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება-ჩაბარების აქტი
	საფორტიფიკაციო ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტი (გონიოს ციხის სამი კოშკი)	1 ციხე-სიმაგრის 1/6	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება-ჩაბარების აქტი
	საფორტიფიკაციო ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტი (ნებისმიერი ციხე რეაბილიტაციის აუცილებლობიდან გამომდინარე)	1 ციხე-სიმაგრე	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება-ჩაბარების აქტი
მუზეუმების მშენებლობა-რეაბილიტაცია	რეაბილიტირებული შენობა - მუზეუმი	1 მუზეუმი	სააგენტოს მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებთან კორესპოდენციები და მოქალაქეთა მომართვები	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება-ჩაბარების აქტი

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი ი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
არქეოლოგიური გათხრების გზით მუზეუმის ფონდების შევსება და ისტორიული მტკიცებულებების მოძიება	არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა	4 ექსპედიცია	სააგენტოს მონიტორინგი	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება-ჩაბარების აქტი
	2014 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა	1000 ცალი ტირაჟი	სააგენტოს მონიტორინგი	წელიწადში ერთხელ	სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	მიღება-ჩაბარების აქტი

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

061110

პროგრამის დასახელება:

მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ „აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი“;

სსიპ „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი“;

სსიპ „აჭარის ხელოვნების მუზეუმი“

ა(ა)იპ „თანამედროვე ხელოვნების სივრცე“

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	6,985,812	2,253,828	1,577,328	1,577,328	1,577,328
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	739,200	184,800	184,800	184,800	184,800
1. ბილეთების რეალიზაცია	236,000	59,000	59,000	59,000	59,000
2. სუვენირების რეალიზაცია	80,000	20,000	20,000	20,000	20,000
3. ბუკლეტები და სამეცნიერო ლიტერატურა	2,400	600	600	600	600
4. გრანტი	289,200	72,300	72,300	72,300	72,300
5. სხვა შემოსავლები	35,600	8,900	8,900	8,900	8,900
6. ხელოვნების კაბინეტი (სტუდია)	48,000	12,000	12,000	12,000	12,000
7. იჯარა	48,000	12,000	12,000	12,000	12,000
სულ ბიუჯეტი:	7,725,012	2,438,628	1,762,128	1,762,128	1,762,128

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2015-2018 წლები

პროგრამის მიზანი:

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მეთოდებითა და შესაბამისად და მუზეუმებში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება, მეცნიერული შესწავლა, დაცვა;

- სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარება;
- გასვლითი გამოფენების მოწყობა;
- არქეოლოგიური ექსპედიციების წარმოება;
- ექსპოზიციების რეგულარული განახლება;
- მრავალფეროვანი სინთეზური პროექტების (გამოფენები, კამერული კონცერტები, თეატრალიზებული წარმოდგენები, დოკუმენტური ფილმების ჩვენება) განხორციელება.

. რეაბილიტაცია უტარდება აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს.

პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა

დასახელება	სულ	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
სსიპ „აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი“;	3,505,028	1,361,132	714,632	714,632	714,632

სსიპ „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი“;	2,614,624	676,156	646,156	646,156	646,156
სსიპ „აჭარის ხელოვნების მუზეუმი“	1,075,880	268,970	268,970	268,970	268,970
ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე	529,480	132,370	132,370	132,370	132,370
სულ პროგრამა	7,725,012	2,438,628	1,762,128	1,762,128	1,762,128

წინა წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

მუზეუმებში მოწყობილი გამოფენებისა და ექსპოზიციების ვიზიტორთა 20%-ით ზრდა.

მიმდინარე წლის შედეგი, მ.შ. გამოწვევები

- . რეაბილიტაცია უტარდება აჭარის ხარიტონ ახლედიაწის სახელობის მუზეუმს;
- . ჩატარდება არანაკლებ 36 კომფერენცია;
- . მოეწყობა არანაკლებ 15 გამოფენა;
- . მოეწყობა არანაკლებ ორი ექსპედიცია;
- . გამოიცემა არანაკლებ ორი ბუკლეტი;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

- გააქტიურებულია მუზეუმებისა და გალერეების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობა;
- განვითარებულია კულტურული ტურიზმი.
- . რეაბილიტირებულია ქ. ბათუმში სამუზეუმო ინფრასტრუქტურა.

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
მუზეუმების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. მუზეუმებში გამოფენების, ექსპოზიციები და სხვა შესაბამისი ღონისძიებების მოწყობა.	ა(ა)იპ აჭარის ხარითონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	მოეწეობა 8 გამოფენა; 10 ღონისძიება და არანაკლებ 15 000 დამთვალიერებელი	მოწესრიგებულ ია მატერიალურ ტექნიკური ბაზა; მოეწეობა არანაკლებ 50 ღონისძიება; მუზეუმს ეყოლება არანაკლებ 20 000 დამთვალიერებელი.	მოეწეობა არანაკლებ 50 ღონისძიება; მუზეუმს ეყოლება არანაკლებ 20 000 დამთვალიერებელი.	მოეწეობა არანაკლებ 50 ღონისძიება; მუზეუმს ეყოლება არანაკლებ 20 000 დამთვალიერებელი.	რაოდენობა	ტურისტული სააგენტოები; დამთვალიერებლები;	ა(ა)იპ აჭარის ხარითონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	ხელშეკრულებები
	სსიპ აჭარის ხელოვნების მუზეუმი	მოწყობა არანაკლებ 12 გამოფენა, მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 5 000 დამთვალიერებელი.	მოწყობა არანაკლებ 15 გამოფენა, მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 8 000 დამთვალიერებელი.	მოწყობა არანაკლებ 15 გამოფენა, მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 8 000 დამთვალიერებელი.	მოწყობა არანაკლებ 15 გამოფენა, მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 8 000 დამთვალიერებელი.	რაოდენობა	ტურისტული სააგენტოები; დამთვალიერებლები;	სსიპ აჭარის ხელოვნების მუზეუმი	ხელშეკრულებები
	ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე	მოწყობა არანაკლებ 20 გამოფენა/ღონისძიება	მოწყობა არანაკლებ 20 გამოფენა/ღონისძიება	მოწყობა არანაკლებ 20 გამოფენა/ღონისძიება	მოწყობა არანაკლებ 20 გამოფენა/ღონისძიება	რაოდენობა	ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე; დამთვალიერებელი; ტურისტული სააგენტო	ა(ა)იპ თანამედროვე ხელოვნების სივრცე	ხელშეკრულება; მირება ჩაბარების აქტი

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი				
მუზეუმების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. მუზეუმებში გამოფენების, ექსპოზიციები და სხვა შესაბამისი ღონისძიებების მოწყობა.	სსიპ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	ექსპოზიციების არანაკლებ 8 საერთო გამოფენა, ოქროს საგანძურის გამოფენა და მოძრავი გამოფენები მოწყობა; მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 7000 დამთვალიერებელი; ჩატარდება არაფორმალური განათლებისათვის (თემატური გაკვეთილები, კონფერენციებისთვის თემების მომზადება, მასტერკლასები მასწავლებლებისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, საზაფხულო სკოლა);	ექსპოზიციების არანაკლებ 8 საერთო გამოფენა, ოქროს საგანძურის გამოფენა და მოძრავი გამოფენები მოწყობა; მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 7000 დამთვალიერებელი; ჩატარდება არაფორმალური განათლებისათვის ს (თემატური გაკვეთილები, კონფერენციების თვის თემების მომზადება, მასტერკლასები მასწავლებლებისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, საზაფხულო სკოლა);	ექსპოზიციების არანაკლებ 8 საერთო გამოფენა, ოქროს საგანძურის გამოფენა და მოძრავი გამოფენები მოწყობა; მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 7000 დამთვალიერებელი; ჩატარდება არაფორმალური განათლებისათვის ს (თემატური გაკვეთილები, კონფერენციების თვის თემების მომზადება, მასტერკლასები მასწავლებლებისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, საზაფხულო სკოლა);	ექსპოზიციების არანაკლებ 8 საერთო გამოფენა, ოქროს საგანძურის გამოფენა და მოძრავი გამოფენები მოწყობა; მუზეუმს დაათვალიერებს არანაკლებ 7000 დამთვალიერებელი; ჩატარდება არაფორმალური განათლებისათვის ს (თემატური გაკვეთილები, კონფერენციების თვის თემების მომზადება, მასტერკლასები მასწავლებლებისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, საზაფხულო სკოლა);	რაოდენობა	ტურისტული სააგენტოები; დამთვალიერებელი;	სსიპ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი	ხელშეკრულებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მუზეუმებისა და გალერეების განვითარება		
---------------------------------------	--	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06111001

ქვეპროგრამის დასახელება:

ა(ა)იპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2015 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	1,326,132
1.ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხა	35,000
სულ ბიუჯეტი:	1,361,132

ქვეპროგრამის მიზანი:

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად

ქვეპროგრამის აღწერა:

სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარება, ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვება, საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ინტელექტუალური გაკვეთილების ჩატარება; რეაბილიტირებული მუზეუმის შენობა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	69		531,940
საქონელი და მომსახურება			172,692
არაფინანსური აქტივები			656,500
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			1,361,132

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შრომის ანაზღაურება	X	X	X	X
საქონელი და მომსახურება	X	X	X	X
არაფინანსური აქტივები	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ექსპოზიციების განახლება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, ვიზიტორთა მოზიდვა მომსახურება; რეაბილიტირებული მუზეუმის შენობა.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გამოფენების, ექსპოზიციებისა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების მოწყობა	მოეწყობა 8 გამოფენა და 10 ღონისძიება არანაკლებ 15 000 დამთვალიერებელი	რაოდენობა	ს(ს)იპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	წლის განმავლობაში	ს(ს)იპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	ხელშეკრულებები
რეაბილიტირებული მუზეუმის შენობა	მოწესრიგებულია მატერიალურ- ტექნიკური ბაზა	რაოდენობა	ს(ს)იპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	წლის განმავლობაში	ს(ს)იპ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი	ხელშეკრულებები

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მუზეუმებისა და გალერეების განვითარება		
---------------------------------------	--	--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06111002

